


1239
2006



საქართველოს სტილი



ISSN 1512-0880

№3 2006



რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გულიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ. 93-26-82



შურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი-მთავარი
რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი
მდივანი
მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი
გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური
და კორესპონდენტებთან მუშაობის
რედაქტორ-კოორდინატორი



ინფორმაცია „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს
პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს
საბიბლიოთეკო ასოციაცია



საქართველოს ბიბლიოთეკა №3-06
შინაარსი

საბიბლიოთეკო საქმის კონცეფციისათვის 4

ისტორიის ფურცლებიდან

ფრიდონ სიხარულიძე – ერთიანი საქართველოს წიგნები 6

ჩვენი ბიბლიოთეკები, წარსული და აწმყო

თინა ურთქმელიძე – ქართველი მწერლები ხაშურელ მკითხველებთან მოგონებანი (1954-2003) 9

უცხოეთის გამოცდილება

ნატო მჭედლიშვილი – წარსული, რეალობა, პერსპექტივები 15

კვირული - 2006

გურამ თაყნიაშვილი – ბიბლიოთეკართა და ბიბლიოთეკის მეგობართა ფორუმი 18

ქეთევან გრიგალაშვილი – აღმოუფხვრელი ძმობის ფესვი 33

იუბილე

დარეჯან კოტეტიშვილი – ოთარ კასრაძე-80 34

ზუბრუდ გოდერძიშვილი – მწერალი, მემკვიდრე - (ფიქრები ღვაწლმოსილ შემოქმედზე) 37

ბიბლიოთეკართა დასახმარებლად

გუგული ჯინჭარაძე – წიგნობრივი ფონდების სისტემატიზაციის ზოგიერთი ასპექტი 41

სახელოვანი წინაპრები

გიორგი სარაჯიშვილი – გიგო გაბაშვილის ქრონიკის დეტალები 43

ლიმიტრი ბაქრაძე – 180 54

ინფორმაცია

ქართველები გერმანიაში 55

ქართველი მხატვარი გერმანიაში 57

ნელი ჯარიაშვილი – მსოფლიო მოგზაური სტუმრად ბიბლიოთეკაში 60

საყოველთაო მნიშვნელობის კრებული 62

საოჯახო წიგნი 63

რევიუ

დავით გიგინეიშვილი – მოცარტი – 2006 – ზალცბურგის სამების ფესტივალი 64

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები 68

Библиотека Грузии - №3-06

Содержание

К концепции библиотечного дела.....4

Страницы истории

Фридон Сихарулидзе - Книги единой Грузии6

Наши библиотеки - прошлое и настоящее

Тина Урткмелидзе - Писатели Грузии в гостях у Хашурских читателей9

Опыт зарубежных коллег

Нато Мchedlishvili - Прошлое, реальность, перспективы.....15

Неделя Библиотеки - 2006

Гурам Такниашвили - Форум библиотекарей и друзей библиотеки18

Кетеван Григалашвили - Нёискоренимые корни братства33

Юбилей

Дареджан Котетишвили - Отар Касрадзе - 8034

Зумруд Годердзишвили - Писатель, летописец-размышления о заслуженном деятеле37

В помощь библиотекарю

Гугули Джинчарадзе - Некоторые аспекты систематизации книжных фондов41

Прославленные предшественники

გიორგი სარაჯიშვილი - Детали хроники Гуго Габашвили43

Димитрий Бахрадзе - 180.....54

Информация

Грузины в Германии.....55

Грузинский художник в Германии.....57

Нелли Джариашвили - Известный путешественник в гостях у библиотеки.....60

Сборник всемирного значения.....62

Домашняя книга63

Ревю

Давид Гигинеишвили - Моцарт - 2006 - Фестиваль Зальцбургской Святой Троицы64

Хроника

Библиотечная жизнь Грузии: события. фаткы.....68

Georgian Library N3-06
Content

For the conception of library affair.....	4
From the history pages	
Fridon Sikharulidze-The books of united Georgia	6
Our libraries, Past and Present	
Tina Urtkmelidze - Georgian writers at Khashuri readers. Memories (1945-2003)	9
Foreign experience	
Nato Mchedlishvili - Past, Reality, Perspectives.....	15
Week-2006	
Guram Takniashvili - The Forum of librarians and their friends	18
Ketevan Grigalashvili - An uneradicated root of fraternity	33
Jubilee	
Darejan Kotetishvili - Otar Kasradze-80.....	34
Zumrud Goderzishvili - Writer, Chronicler (annalist) (Thought about merit creator).	37
To help librarians	
Guguli Dzincharadze - Some aspects of the ordering of book fund	41
Distinguished Ancestors	
Giorgi Saradzishvili - Gigo Gabashvili - Chrinic	43
Dimitri Bakradze - 180	54
Information	
Georgian people in Germany	55
Georgian painter in German	57
Neli Dzariashvili - World traveler on a visit at the library.....	60
The collection of common significance	62
House book	63
Review	
David Gigineishvili - Mozart - 2006 - Salzburg trinity festival.....	64
Chronicle	
The chronicle of library life: Events Facts.....	68

საქართველოს ბიბლიოთეკა
საქართველოს ბიბლიოთეკა
საქართველოს ბიბლიოთეკა
საქართველოს ბიბლიოთეკა



საბიბლიოთეკო საქმის კონსერვაციისათვის

კონსერვაცია გულისხმობს რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის გარეგნულ-გაგებას, განმარტებას, ძირითადი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას, მოქმედების წესის განსაზღვრასა თუ სახელმძღვანელო იდეის ანალიზს. სხვადასხვა დარგებში ამ ტერმინს გამოიყენებენ აგრეთვე ძირითადი ჩანაფიქრის გასაფრცობად და პრინციპების აღსანიშნავად. დაახლოებით იგივე ითქმის საბიბლიოთეკო კონსერვაციაზე.

ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავამუსკოთ, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინ „საბიბლიოთეკო საქმეში“, ეს ტერმინი ჩვენებური გამოთქმით ყველა ქვეყანაში და ყველა ენაზე ერთნაირად არ გამოიყენება. ჩვენ ამ დროს ვგულისხმობთ ყველაფერს, რაც ბიბლიოთეკასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ბიბლიოთეკას უამრავი რამ უკავშირდება და ამიგომაც იგი დიფერენცირებულია სხვადასხვა მიმართულებათა მიხედვით. საბიბლიოთეკო საქმე, ფაქტობრივად, გულისხმობს ქვეყნად არსებული ბიბლიოთეკების მოქმედების მთელ სარბიელს, და ამ სფეროს სრულ სპექტრს მოიცავს. საბიბლიოთეკო საქმეში შედის როგორც მოსახლეობის უმრუნველყოფა ბეჭდური პროდუქციით, ისე ინფორმაციით ბიბლიოთეკების მეშვეობით. თანამედროვე კონსერვაცია სწორედ ამგვარად წარმოადგენს საბიბლიოთეკო საქმეს და ის ამიგომაც განიხილება როგორც საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურება.

საბიბლიოთეკო საქმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საბიბლიოთეკო სისტემა წარმოადგენს. იგი ერთგვარად განმამოგადებელი ცნებაა, რომელშიც იგულისხმება: საბიბლიოთეკო სისტემის აგება, მართვა, ხელმძღვანელობა, დაფინანსება, საკადრო პოლიტიკა, დარგის მეცნიერულ-მეთოდური უმრუნვე-

ლყოფა, მოვლედ, სისტემა მოიცავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნად საბიბლიოთეკო ქსელის აგებასა და მშენებლობასთან; მეცნიერულად მას შეისწავლის მთავარი ბიბლიოთეკათმცოდნეობა და სწორედაც მის კვლევის საგანს საბიბლიოთეკო საქმის აგება და მშენებლობა წარმოადგენს ყველა კანონზომიერებით.

ბიბლიოთეკების მოღვაწეობას უკავშირდება აგრეთვე მრავალი კონკრეტული მოქმედების შემცველი საქმიანობა, კერძოდ, საბიბლიოთეკო ოპერაციები და პროცესები, რომლებიც ჯგუფდება მათი დანიშნულების, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით, და ამრიგად, რამდენიმე ჯგუფი მიიღება. ესენია: საძიებო სისტემები (დამუშავება-კატალოგიზაცია, სისტემატიზაცია); ფონდების ფორმირება (დაკომპლექტება, მეორადი შერჩევა, განლაგება, ორგანიზაცია და მართვა, დაცვა); კითხვის პროცესების მართვა და ორგანიზაცია (მომხმარებელთა მომსახურება, ინდივიდუალური და მასობრივი მუშაობა, გექნივური ოპერაციები); საბიბლიოთეკო მენეჯმენტი (ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაცია, მართვა, ხელმძღვანელობა, ფინანსების განხარგვა, გექნივური ოპერაციები). ესენი ყველა თავიანთი განშტოებებით საბიბლიოთეკო საქმის შემადგენელი ნაწილებია. საბიბლიოთეკო საქმე, უმოგადესი გაგებით, ბიბლიოთეკებთან დაკავშირებულ მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნება. მის თეორიულ ბაზას კი ბიბლიოთეკათმცოდნეობა წარმოადგენს.

რაც შეეხება საბიბლიოთეკო საქმის კონსერვაციას, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მთელი საბიბლიოთეკო საქმის თანამედროვე გაგებას, იმის გარეგნულს, თუ რა როგორ უნდა ავსხნათ, ჩამოვაყალიბოთ ძირითადი თვალსაზრისი,

განვსაზღვროთ მთავარი მიმართულებები, მოქმედების წესები, შევექმნათ იდეური საფუძვლები, შევიმუშაოთ უმთავრესი პრინციპები, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმის მთელ სპექტრს მოიცავს.

კონცეფცია შეიძლება შეეხებოდეს არა მთლიანად საბიბლიოთეკო საქმეს, არამედ ცალკეულ მომართულებებს, ცალკეულ პრაქტიკულ საქმიანობას – ფორმებსა თუ მეთოდებს, პროცესებსა თუ ოპერაციებს. მაგალითად, დაკომპლექტების კონცეფცია, ახალი ტექნოლოგიებით მომსახურების კონცეფცია, ფონდების დაცვის კონცეფცია და ა.შ.

კონცეფცია შეიძლება გამოხატავდეს როგორც არსებულ ვითარებას, ისე სამომავლო საქმიანობასაც, როდესაც ლაპარაკია რომელიმე დარგის, მოვლენის, პროცესის გარდაქმნასა თუ განვითარებაზე.

კონცეფცია თავისი არსით (ხშირად ფორმითაც), საგრძნობლად უახლოვდება ლეზულებს, მოგჯერ წესებსაც კი, მაგრამ მათი გაიგივება არ შეიძლება. ლეზულებები და წესები გამოხატავენ კონკრეტული მოქმედების დახანონებულ ნორმებს, გვიჩვენებენ, რა როგორ უნდა იქნეს მიღებული, როგორ უნდა გაკეთდეს (ინსტრუქცია), როგორ უნდა მოგვარდეს ესა თუ ის საქმე, რა გზით, რა საშუალებებით იქნეს მიღწეული და ა.შ. ყოველივე ეს პრინციპულად გამომდინარეობს კონცეფციისაგან.

კონცეფცია განსაზღვრავს, რა როგორი უნდა იყოს და არა რა როგორ უნდა გაკეთდეს.

საბიბლიოთეკო საქმის კონცეფცია მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ განმარტავს, განსაზღვრავს, აანალიზებს, ითვალისწინებს იმას, თუ რა უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, რა როგორ უნდა იქნეს გაგებული, რა პრინციპებზე უნდა იყოს საქმე აგებული, რა მიმართულებები არსებობს, რა უნდა იქნეს მიღწეული და ა.შ.

ჩვენი თანამედროვე საბიბლიოთეკო პრაქტიკის ისტორიაში, შედარებით ადრეულ პერიოდში, საგანგებოდ კონცეფციები არ მუშავდებოდა. უბრალოდ, არც იყო ამის გრადიცია.

კონცეპტუალური საკითხები ყალიბდებოდა ლეზულებსა და ბრძანება-დადგენილებებში პრეამბულების სახით, უმეტესად ისინი ამიგომაც ერთგვარ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაც ხშირად ვლინდებოდა წინააღმდეგობრიობაში იდეასა და მის პრაქტიკულ ხორცშესხმაში. თუ გვინდა ამას ავცდეთ, სისტემატურად უნდა ვიმუშაოთ კონცეფციაზე და ვეცადოთ, მან რეალური ასახვა ჰპოვოს კანონებსა, ლეზულებებსა, წესდებებსა და ინსტრუქციებში. კონცეფცია საფუძვლად უნდა დაედოს ამ დოკუმენტებს, რასაც საჭიროა მოჰყვეს აღსრულებაზე ზუსტი ბეღამხედველობა და კონტროლი.

ხელმძღვანელ ორგანოებში არაერთხელ ითქვა, რომ სამუშაო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში დიდად გვიშლის ხელს საერთო კონცეფციის უქონლობა. დაუშვებელია ამდენი ხნის განმავლობაში ისე იმ ინერციით ვმოქმედებდეთ, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირიდან გამოგვყვა. შეიცვალა დრო, პირობები, საქმისაღში იდეურ-მორალური დამოკიდებულება, ბიბლიოთეკის დანიშნულება და ამოცანები, ფუნქციები და მეთოდები, ჩვენ კი ამ დროს არა და არ ვახდენთ ყოველივე ამის გაანალიზებასა და საჭირო ზომების მიღებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო სამოგაღობამ ქურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციასთან ერთად, კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდატერით, უკვე კარგა ხანია დაიწყო მუშაობა ახალ საბიბლიოთეკო საქმის კონცეფციაზე. სასურველია, ყველა გამოცდილი სპეციალისტი აქტიურად გამოეხმაუროს ამ მოვლენას და თავისი სიტყვა თქვას.

ქურნალს განმზარხული აქვს, მასალის შემოსვლის მიხედვით, შეუფერხებლად გააშუქოს ყოველგვარი საკითხი, რაც საბიბლიოთეკო საქმის კონცეფციასთან არის დაკავშირებული, გამოაქვეყნოს კონცეფციის პროექტები, გამოხმაურება, წინადადებები, მოსაზრებები, რაც დააჩქარებს ამ მეგად საშურ საქმეს.

ფრიდონ სიხარულიძე
პროფესორი

პრტიანი საქართველოს წიგნები

ახალი, ქრისტიანული ათასწლეულის დამდეგადან სამოგადოების სოციალურ-ეკონომიკურმა წინსვლამ დიდად იმოქმედა ყოფაცხოვრების გარდაქმნაზე, კულტურის განვითარებაზე, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ ლურსმული წარწერები, ქვაზე თუ თიხის ფირფიცებზე, პაპირუსების, ქალაღებისა და გრაგნილების გვერდით, გაჩნდა თანამედროვე კოდექსური წიგნის კრებულები, რასაც ქართლის სახელმწიფოში განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართველობა ისე შემოქმედებითად იყო დაკავშირებული იმდროინდელ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს, რომ მისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო წიგნის პერსპექტივის ღრმად შეცნობა. შეიძლება ითქვას, ხელნაწერების განვითარებაში ჩვენმა წინაპრებმა დიდი როლი შეასრულეს, ეს ძეგლები თავიდანვე მათი მაღალი ხელოვნებით გამოირჩეოდა.

წიგნის წარმოქმნას, მწერლობის ახალ საფუძველზე განვითარებას ხელს უწყობდა წინაპართა იდეური ფერისცვალება. ახალი ქრისტიანული რწმენა წიგნიერი სარწმუნოება იყო და მას ფართო საღვთოსმსახურო მოღვაწეობაში იყენებდნენ. ეკლესია-მონასტრებში ლიტურგიისთვის მეტად საჭირო იყო კრებულები, ხალხთან მისაგანი გვეადი, ჭემპარიგი უფლის სიგყვა.

ეს რთული ამოცანა სასულიერო და საერო მოღვაწეთა ერთობლივი ძალისხმევით გადაიჭრა.

საქართველოსა და ქართული კულტურის უცხოეთში არსებულ კერებში ღვთისმსახურება იმთავითვე მაღალ დონეზე წარიმართა. შეიქმნა და სალოცავებში დაიდო ვრცელი ლიტურგიული წიგნები, რომლებსაც ადგილსამყოფელის მიხედვით შეერქვათ შემდეგ სახელები.

ქამთა სიავის გამო დიდი ხნის მანძილზე ეს უნიკალური ხელნაწერი წიგნები გაიფანტა და მოგიც ისე, რომ ძნელი აღმოჩნდა მისი გამოყენება.

XIX საუკუნეში სწავლელებმა შეძლეს მრავალი სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა, როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში ქართული კულტურის კერებში.


თანდათან გაიხსნა დაცული საგანძურები და თაობებმა იხილეს დიდებული ლიტერატურული ძეგლები.

არ შეიძლება ამ შემთხვევაში არ ითქვას ისეთი მაღალიდერი თხზულების გამოვლენაზე, როგორც გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ეპოქალური ძეგლი არის. მათი აღმოჩენისთანავე მეცნიერები ენერგიულად შეუდგნენ კვლევას და საკმაოდ დიდ შედეგებსაც მიაღწიეს.

ნ. მარის გამოკვლევებმა მაშინვე მიიქცია ქართველოლოგების ყურადღება სამშობლოსა თუ უცხოეთში.

სად არ წააწყდებოდა მევლევარი ღვთისმსახურების ძეგლებს. სვანეთში აღმოჩენილმა დიდებულმა ძეგლმა „იერუსალიმის განჩინებამ“ სპეციალისტები განაცვიფრა. ეს დიდი წიგნი დღეს მეცნიერებისათვის ძვირფას ლიტურგიულ განძს წარმოადგენს.

ქართულ სახელმწიფოში ქრისტიანობის გარიჟრაჟზე ჩამოყალიბებულმა ეკლესიამ მე-3-4 საუკუნეებში თავისი საკუთარი სალიტერატურო ენა შეიმუშავა. ჩამოყალიბებული სამწერლო ენა აადვილებდა ცივილიზაციის მონაპოვარს (ქრონოლოგიის გაეროვნებას – „დასაბამითგან ქვეყნისა“, კალენდრისა და სხვათა), ბერძნულ-ქართული მრავალმხრივი თანამშრომლობიდან აღსანიშნავია ლიტერატურული ურთიერთობის



გაფართოება, რამაც ორმხრივი გავლენების გამოვლენა გამოიწვია. თავდაპირველად ბევრი რამ მოგვცა ბერძნულმა სამყარომ – ბერძნულ ენაზე უფრო მეტი იყო ათვისებული საქრისტიანო ლიტერატურებიდან.

შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, როცა ქართველებმა ათვისეს არა მარტო ბიზანტიელთა, არამედ სხვა სახელმწიფოებში შემავალ ხალხთა კულტურული მონაპოვრები და განვითარების დამოუკიდებელ გზას დაადგინენ. ფართო მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ, რასაც ქართველი საეკლესიო მამები – გამოჩენილი მთარგმნელები, მწერლები განახორციელებდნენ, კაცობრიობას შემოუნახა საქრისტიანო ცივილიზაციის მრავალი წერილობითი ძეგლი. ბევრი გამოვლევდა საქრისტიანო მწერლობის ისტორიის საკითხებზე ვერ მოიპოვებს სამეცნიერო აღიარებას, თუ არ იქნება გათვალისწინებული ქართულად არსებული ისეთი ძეგლები, რომელთა ორიგინალური დედნები ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი.

მაინც რა ამოცანები იდგა ქართველი მოღვაწეების წინაშე?

– უპირველესად, ასათვისებელი იყო მაღალი დეიური ბიბლიური წიგნები.

ბიბლია საქართველოში სათაყვანო წიგნად იქცა. ამის გამოხატულებაა ჩვენში ის, რომ ათეულობით ბიბლიური წიგნი აღრევე გადმოიღეს ქართულად. ამის ფაქტია ჩვენს უძველეს ლიტერატურულ ძეგლში – „შუშანივის წამებაში“.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველები ენერგიულად ავითარებდნენ გალობას, ჰიმნოგრაფობას. ჩვენს წინაპრებს უყურადღებოდა არ დაუტოვებიათ მაშინდელ ცივილიზებულ მსოფლიოში განთქმული თხზულებანი ამ დარგში; ქართველთა განსაკუთრებული ყურადღება მიჰყრობილი იყო რიგმული პროზისადმი, რომელთაგან გამირჩევა დავითნი. გულმხურვალე მორწმუნეს კიდევ უფრო იზიდავს ქართული ფსალმუნების რიგმული ინტონაცია და შინაგანი ლირიზმი, რაც ემოციურს ხდის ამ დიდებულ ძეგლს.

„დავითნზე“ მრუნავდა ქართველ კულტურულ მოღვაწეთა რამდენიმე თაობა: მანამდე არ შენელებულა ამ თხზულებისადმი მთარგმნე-

ლობითი ინტერესი, სანამ ის ყველაზე კარგად არ გადმოიღეს XII საუკუნეში და კანონიურად გამოაცხადეს მაშინდელ მთელ ვრცელ მართლმადიდებელ ქართულ საქრისტიანოში. ძველი აღთქმიდან ჩვენამდე მოღწეულია წინასწარმეტყველთა წიგნის უძველესი თარგმანი, რომელიც გადაუწერიათ ჯვრის მონასტერში.

ბიბლიის კანონიური წიგნების გადმოღებისას ქართველ მწერლებს სხვადასხვა ხერხი გამოუყენებიათ. მაგ. წიგნი „ქებათა-ქება“ გაწყობილია დიალოგადაც.

„დაბეჭდვილსა“ და „დაუმტკიცებელ“ ანუ დამტკიცებულ თუ აუღიარებელ ქართულ დაბადების წიგნებთან თემატურად განიხილებოდა აპოკრიფული მოთხრობები. საგულისხმოა, რომ ეს ქანრიც არ ყოფილა უყურადღებოდ დატოვებული.

ქართულ ენაზე უცხოური ლიტერატურის თარგმნას მრავალმხრივ მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ეს იწვევდა ქართული ეკლესია-მონასტრების გაძლიერებას.

საქრისტიანო ლიტერატურა მხოლოდ ბერძნულით როდი შემოიფარგლებოდა. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენს წინაპრებს. ისინი ეძებდნენ და პოულობდნენ მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში მწერლობის ისეთ ნიმუშებს, რომლებიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განმტკიცებას სჭირდებოდა.

ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობის იყო განსწავლული ასურელი მამების დაფუძნება საქართველოში და მათი ნიადაგ სამწერლო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

ცხოვრების კვალში ჩადგომა წინაპრებს კიდევ უფრო ამხნევებდა. ისინი არ უშინდებოდნენ „უცხოელთა შემოსევებს და სჯეროდათ, რომ ქართველი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანობა არა მარტო გაუძლებდა არაბებისა და სხვათა ამაოხრებელ თარეშს, არამედ ახლო ხანში ერი უფრო წინ წაიწვედა კულტურის მრავალ დარგში.

საამისო საბუთად გამოდგება სამთავრო ქვეყნების ჩამოყალიბება ცაო-კლარჯეთში, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთ საქართველოში. ხანგრძლივმა გამაერთიანებელმა მოძრაობამ მალე ნაყოფიც გამოიღო – საქართველო გა-

ერთიანდა. შეიქმნა ქართველი მონარქია, ბრწყინვალე სამეფო კარი. ჩამოყალიბდა ადგილობრივი ადმინისტრაცია;

ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენისას იშვა ახალი მხედრული დამწერლობა. ამ დიდი ფაქტის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ბაზის განმტკიცებისთანავე მოჰყვა საერო მწერლობის განვითარება. საერო მწერლობიდან აღსანიშნავია სახალხო გეპირსიგყვიერების საგანძური. საერისკაცო მოცივების გამრავლებასთან ერთად, კვლავ სისხლსავსე ცხოვრებით ფეთქდა სასულიერო ლიტერატურა. დიდებულნი, საერო ფეოდალები ყურადღებით ეკიდებოდნენ სასულიერო საქრისტიანო წიგნებს და ხშირად უკვეთავდნენ გადაწერტ, დაემზადებინათ მათთავის ხელნაწერი ბიბლიური და სხვა სასულიერო წიგნები, რომელნიც ძვირფასად იყო შემოკობილ-გაფერადებული. ქართული წიგნების შემუშობაში ოსტატობით გამოირჩეოდა ლეგენდად ქცეული ბეშქენ და ბექა ოპიზართა შემოქმედება.

მეტად მნიშვნელოვანი იყო მდიდარი საისტორიო თხზულებების გამოჩენა, როგორიც იყო „ამბავი“, „მოქცევა“, „ცხოვრება“ და ა.შ.

ვის არ ხიბლავს ანდრია პირველწოდებულის ცხოვრება, ნინო კაბადოკიელის საგანმანათლებლო გმირობა, მათ შესახებ შექმნილი თხზულებანი.

გონებრივი სიმდიდრის მაჩვენებელია ქართლის მოქცევის დიდებული მატიანე და ჩვენი წინაპრების კავკასიის მთიანეთში ხანგრძლივი ქველმოქმედების ამსახველი წიგნები. ასევე შრომები დიდ ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებზე. შესანიშნავი ქართული წიგნები შეიქმნა მშობლიური ქვეყნის მდიდარი და გმირული წარსულის ასახავად.

ჯერ კიდევ V-VII საუკუნეებში ქართველობა დაინტერესებული იყო უცხოეთის ისტორის თანგმანით. შეიქმნა წიგნები ალექსანდრე მაკედონიელზე, ითარგმნა „ქრონოგრაფი“ და სხვ. ხოლო ეროვნული ისტორიოგრაფია შეივსო სამეფო დინასტიის (ბაგრატიონთა) ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნით. შემდეგ მას მოჰყვა დიდ კრებულად გამართული მრავალგომეული სახელმძღვანელო „ქართლის ცხოვრება“. ამ

მეგლმა ადრევე წარმოაჩინეს ქართული საისტორიო მწერლობა, რომელიც მეტყველებს XII-XIII საუკუნეში საქართველოში რაოდენ ძლიერი მწერალთა მთელი პლეადა მოღვაწეობდა.

მეხოტბეები მაღალ დონეზე აქებდნენ ეპოქას და ეპოქის გენიალურ შემოქმედტ. ითვალისწინებდნენ მეზობელ ხალხთა წინსვლასა და საერთოდ, სამყაროს მომავლიტ იყვნენ დაინტერესებულნი. ამიტომ ეს ბრძენი პოეტები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ „გაჭრას“, უცხო ქვეყნების მოხილვა-შესწავლას.

საგულისხმოა, რომ მოგზაურმა ქართველმა პოეტმა შექმნა ხაზართა ყოფა-ცხოვრების ამსახველი „დილარიანი“.

ქართულ წიგნებს შორის იმ დროს ქართველი სამოგადოების მნეობის კოდექსად იქცა შოთარუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც სცადა შეეცვალა სამყაროზე შეხედუბები. განამტკიცა ხალხთა კეთილმეზობლობა, მეგობრობა.


გენიალურ ავტორს მხარს უმშვენებდა მრავალი ქართველი პოეტი, რომელთა ნაშრომების ნაწილი გაიფანტა აქ მოთარეშეთა გამოისობიტ. მიუხედავად ამისა, სახოგბო პოემიის ნიმუშებიდან ჩვენამდე მრავალმა შესანიშნავმა ნიმუშმა მოაღწია; აღსანიშნავია ისეთი ნაშრომები, რომლებშიც ასახული იყო რაინდთა დევგმირული ცხოვრება. ასეთი წიგნების ერთი ნაწილი ნათარგმნი იყო, ბოგიც – გადმოკეთებული.

ასევე ითქმის სამიჯნურო მრავალრიცხოვანი ლიტერატურაზე.

საერო და სასულიერო ლიტერატურის შემოქმედნი გულმხურვალედ აღიდებდნენ და აქებდნენ დიდებულ დავიტ აღმაშენებელს, გიორგი მესამეს, მეფე თამარს, მათ თავდადებულ მოღვაწეობას, ქვეყნის გაძლიერებასა და უკიდევანოდ გავრცობას.

XII-XIII საუკუნეთა მიჯნა – ეს იყო კიდით-კიდემდე დიდებით განფენილი მძლავრი მონარქიის – საქართველოს აღმავლობა.

ქართული წიგნის განვითარებისთვის ეს ხელსაყრელი დრო იქცა მისი სრულყოფის – ხელნაწერი ქართული წიგნის სიღიადის ეპოქად.



თინა ურთქმელიძე

ქართველი მწერლები საშუალო მკითხველებთან

მოგონებანი

(1954-2003 წწ.)

საშურის რაიონის ინტელექტუალურ საზოგადოებას არასოდეს აკლდა შეხვედრები თვალსაჩინო პიროვნებებთან: მწერლებთან, პოეტებთან, კინოსა და თეატრალურ მოღვაწეებთან, სპორტისა და ცალკეული დარგის ცნობილ პიროვნებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დროს რაიონს სტუმრობდნენ ქართული მწერლობის კორიფეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.

რაიონის ბიბლიოთეკართა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ შეხვედრათა მეტ ნაწილს მასპინძლობდნენ ბიბლიოთეკები და მათი ატქივი. გავისხენებოვ მათგანს, რომლის მონაწილე ან თვითმხილველი მე ვახლდით.

გიორგი ლეონიძის სტუმრობა სოფელ ბრილიში. გიორგი ლეონიძე 1954 წელს ეწვია სოფელ ბრილს. სოფლის მრავალრიცხოვანმა მასპინძლებმა სტუმარს ცნობილი ბრილის წყარო დაათვალიერებინეს. აღგაცებულმა პოეტმა წყაროს ექსპრომტად დაწერილი ლექსი მიუძღვნა, რომელიც შემდეგ მისი ლექსების კრებულში შევიდა:

„ბრილი...

უშრეგი ვერცხლის წყარო,

წმინდა, როგორც ხალხის გული...

სადღაც ქართლში მოწანწყარობს“...

ამ შეხვედრის უშუალო მონაწილე და ორგანიზატორი – სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე რომა გოგიჩაიშვილი და მისი შვილი იგონებენ, რომ ოჯახში სტუმრობისას პოეტმა ხელები შე-

იმშრალა პირსახოცზე, რომელსაც შემდეგში ოჯახი რელიქვიად ინახავდა და მას დღესაც გოგლას პირსახოცს უწოდებენ.

იდეა 1961 წელი. ქართველი ხალხი აღნიშნავდა ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს. საიუბილეო თარიღს გამოეხმაურა ქვიშხეთის სასოფლო ბიბლიოთეკა (გამგე თ. ურთქმელიძე) და კულტურის სახლი (დირექტორი რ. ლონდაძე). ხალხმრავალ დარბაზში მოწვეულთა შორის იყვნენ ქვიშხეთის მწერალთა დასასვენებელი სახლის დამსვენებლები: მწერლები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი. სიგყვით გამოსულმა პედაგოგმა თამარ ჩადუნელმა შთამბეჭდავად ისაუბრა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე, მის ღვაწლზე ქართველ მწერლობაში. შემდეგ კი... ექსპრომტად ჩაერთვნენ მოწვეული სტუმრები: დემნა შენგელაია, აკაკი ძიძიგური, მსახიობი ალექსანდრა თოიძე, მწერალი გივი გოგიჩაიშვილი, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ვლადიმერ მაჭავარიანი და სხვები. 1974 წელი. უჩვეულო გამოცოცხლება იყო სურამის საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ხაჭაპურიძე), ნორჩი მკითხველები ხვდებოდნენ მწერალ ნიკა აგიაშვილს. მწერლის თანდასწრებით მათ განიხილეს წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად“. ვის არ ატკივებია გული უდროოდ დაფერფლილი სიცოცხლის გამო? ლაღო ასათიანი, მირზა გელოვანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეცვარიძე, შალვა იოსელიანი. ვაჟიკო

ფხოველი, რომლებიც ნაადრევად დააკლდნენ ქალაქს, ქართულ პოემიას. სტუმარს მიმართა პედაგოგმა ლილი ბექაიამ. დასასრულ მოგონებებით გამოვიდა მწერალი ნიკა აგიაშვილი, მან ილაპარაკა უდროოდ დაღუპული პოეტების ცხოვრებაზე, მათ შემოქმედებაზე, მათთან დაუვიწყარ პირად ურთიერთობაზე.

– უნივერსიტეტის კელეებიდან გყვიების წვიმასა და ყუმბარების გრიალში მოხვდნენ ორი ათეული წლის ვაჟკაცები თეიმურაზ ჯანგულაშვილი და ლალო სულაბერიძე. მათ კალმის მაგიერ შაშხანებს მოჭიდეს ხელი და თან ჩამოგვიგანეს იმ დღეთა გასახსენებლად გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ლაღი სგრიქონები.

პოეტების სიყვარულით და პატივისცემით იყო გაჟღენთილი შეხვედრა, რომელიც სურამის საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა. პოეტების შემოქმედებაზე და ფრონტულ ცხოვრებაზე ისაუბრეს პედაგოგებმა ლილი ბექაიამ და ბელა ხაჩიძემ. პოეტის ლექსებს კითხულობდნენ მოსწავლეები: ი. მაჭარაშვილი, ნ. ციმაკურიძე. ქ. ლურსმანაშვილი. ლ. ფანქველაშვილი და სხვები.

1974 წელს ხაშურის სარაიონო ბიბლიოთეკამ (გამგე მ. თუთისანი) შეხვედრა მოუწყო პოეტ იოსებ ნონეშვილს. მას თან ახლდა პოლონელი მწერალი ქალი მარია ბისკრიცკა. ღონისძიება ჩატარდა მინის გარის ქარხნის დარბაზში. სტუმრებმა პირველ რიგში დაათვალიერეს ქარხანა. აღგაცებულმა პოეტმა აღნიშნა თავის გამოსვლაში, რომ გზად მიმავალს, როცა კი მიმიქცევია ყურადღება, მეგონა, რომ ქარხანა იყო მცირე საწარმო და არა ამხელა ვიგანგი. ღონისძიების მონაწილე ბიბლიოთეკის აქტივმა (ხელმძღვანელი მ. ჯოჯიშვილი) წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედება.

პოეტმა წაიკითხა თავისი ახალი ლექსები, გაიხსენა ეპიზოდები თავისი მოგზაურობიდან.

პოლონელი სტუმარი აღგაცებული იყო ქართული სტუმართმოყვარეობით. გულუხვობით, სუფრის მრავალფეროვნებით და თამაღის ენაწყლიანობით. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ასეთი გულუხვი სუფრით ჩვენთან მთელი ვარშავა იქეიფებდაო.

– სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკას (გამგე ნ. გაბაგაძე) 1975 წელს ეწვივნენ პოეტები ლალო სულაბერიძე და რევამ მარგიანი. შეხვედრა, რომელიც რკინიგზის კულტურის სასახლეში ჩატარდა, გახსნა და სტუმრებს მიესალმა მოსწავლე თამაზ გუჯეჯიანი, სტუმრების ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ისაუბრა ხაშურელმა პოეტმა, ქალაქის III სკოლის ღირექტორმა გიორგი მეტრეველმა.; საკუთარი ლექსებით სტუმრებს მიესალმნენ ნორჩი პოეტები ლელა ჩივჩიური, მარინა ბარბაქაძე, ნინო ნომაძე. მაღლიერმა სტუმრებმა თავიანთ გამოსვლებში ფრონტული ცხოვრების ეპიზოდები გაიხსენეს. წაიკითხეს ომისდროინდელი და ახალი ლექსები.

სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა სხვადასხვა დროს ასევე მასპინძლობდა იზა ორჯონიკიძეს, ხუგა ბერულავას, მარგო თომაძეს, ნაზი კილასონიას და სხვებს.

„ყველაზე დიდი ღმერთი სიყეთია, რომელიც კაცს მაგრად ჩავიდებს ხელს, ავ მნეს მოაშორებს და ამ ქვეყანაზე პატიოსან ადამიანად აგარებს“ – აღნიშნავდა მწერალი თავის ნაწარმოებში. ამ რწმენით მიღის იგი ხალხის გულთან და სჯერა, რომ სიყეთის მთესველი კაცი ყოველთვის გამარჯვებულია. ამ უფაქიშესმა გრძნობამ მოიყვანა ჩვენს რაიონში 1979 წლის გამაფხულზე. იღუა კი ასე წარმოიშვა: ცოცხნარის სასოფლო საბჭოში შემავალმა სამივე სასოფლო ბიბლიოთეკის გამგეებმა (ციური, ემა, შუშანა გოგალაძეები) მხარი დაუჭირეს თავიანთი მკითხველების (ძირითადი მცხოვრე-

ბლები გოგოლაძეები არიან) სურვილს – შეხვედროდნენ თავიანთ გვარის ღირსეულ წარმომადგენლებს, მწერალ თენგიზ გოგოლაძეს. მწერალს თან ახლდნენ უახლოესი მეგობრები: ოთარ დემეტრაშვილი, თენგიზ პირველი და მათ ბაბუკაშვილი. შეხვედრა გახსნა კულტურის განყოფილების გამგემ კარლო ნადირაძემ. მწერალს მიესალმა რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ცოცხნარელი გოგი გოგოლაძე. მწერლის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ისაუბრა პედაგოგმა გუგული კივიციანი. საინტერესო იყო აგრეთვე პედაგოგების გ. ხაჩიძისა და თ. გოგოლაძის გამოსვლები. საკუთარი ლექსები მიუძღვნეს პოეტს მოსწავლეებმა ნინო ლურსმანაშვილმა და ცირა დიდებულიძემ. მწერალმა მადლობა გადაუხადა დამსწრე სამოგადოებას.

ხალხი ლექსს მხოლოდ მაშინ გაითავისებს, როცა ლექსში პოეტის ხმა და სათქმელი ერთმანეთზეა მორგებული“, – უთქვამს პოეტს და სწორედ ეს მრწამსი იყო მისი შემოქმედების კრედიტო. მუსრან მაჭავარიანის პოეზიას დასაბამიდანვე თან სდევდა წუთისოფლის ბრუნვაზე დაფიქრებული კაცის სევდა, ამიგომაც შეიყვარა ასე უსამღვროდ მკითხველმა იგი.

შეხვედრა, რომელიც ცენტრალურმა რაიონულმა ბიბლიოთეკამ 1979 წლის ივნისში მოუწყო, ჩაგარდა რეინიგმის კულტურის სასახლეში. ეროვნულ განსაცემელში გამოწყობილი გოგონებისა და ბიჭუნების თანხლებით, საგალობელი მუსიკის ფონზე შემოსულ სტუმარს გაშის გრიალით შეეგება ხალხით გაჭედული დარბაზი. სტუმარს თან ახლდნენ ლევან სანიციანი, თენგიზ აბულაშვილი, კუკური გოგიაშვილი, ამირან აბშილავა, კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე. სტუმარს მიესალმა და პოეტის ლექსი წაიკითხა რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა მურთაზ ლიპარცელიანმა.

სტუმარს მიესალმნენ: ხაშურელი პოეტი გიორგი მეგრეველი, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი კლარა ელჩიბეგაშვილი, ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ლონდა მურჯივანი. რეინიგმის 25-ე სკოლის დირექტორმა ლევან კაკიაშვილმა ექსპრომტად მიმართა:

„ერთი სათქმელი უნდა შეგკადრო მორიდებული თხოვნა-ხვნეშითა.

პატიოსანი კაცი ხარ. თუმცა,

რაგომ გყიდიან დახლის ქვეშიდან?!“

ბოლოს პოეტმა ლექსის სურნელით და ეშხით აავსო მსმენელთა გულები. შეხვედრა გადაიქცა ქართული პოეზიის ბეიმად; მეორე დღეს გადავიღეთ სამახსოვრო სურათები.

ნოდარ ღუმბაძე, ამ გვარ-სახელთან დაკავშირებით ვინ მოთვლის, რამდენ რამეს გაისხნებენ მისი შემოქმედების გაცნობით ალგაცებული მკითხველები: ღრმა ადამიანურობა და კაცთმოყვარეობა, სათნოება და სიყვითე, იუმორი და ხალხურობა, მომავლის რწმენა და ჭირთათმენა და მრავალი სხვა.

მკითხველის უსამღვრო სიყვარულმა და პატივისცემამ მიიყვანა იგი სტუმრად სურამის საქალაქო ბიბლიოთეკის (გამგე მ. მახათაძე) მკითხველებთან. თავიანთ გამოსვლებში მკითხველებმა ღირსეულად შეაფასეს ნოდარ ღუმბაძის შემოქმედება. აღინიშნა თითოეული ნაწარმოების განუმეორებელი ხიბლი. იყო უამრავი შეკითხვა. აი, ზოგი მათგანიც: პოპულარობის გვირთი მძიმე ხომ არ არის, ბაგონო ნოდარ?

– დიახ, ცოცხა მძიმეა, მაგრამ ძალიან სასიამოვნო და საპატიო.

– როგორი მკითხველი გიყვართ? – ისმოდა კვლავ, შეძახილები, რომელთაც ბოლო არ უჩანდა.

– შეცვლით თუ არა თქვენს ნაწარმოებს,

ახლა რომ ხელახლა წერდეთ?

– რომელი უფრო გიყვართ საკუთარი ნაწარმოებებიდან?

– რამდენ ენაზეა თქვენი ნაწარმოებები ნათარგმნი?

და მრავალი სხვა.

პასუხი ყოველთვის იყო ამომწურავი და იუმორისტულ ფორმაში ნათქვამი. ხატოვანი იუმორით სავსე იყო მისი სამაღლობელ სიგყვაში გამოცემა. ბატონმა ნოდარმა ჩვეული იუმორით მიმართა დარბაზის წინა რიგებში მჯდომ თავის ცოლ-შვილს: „ახლა ხომ დარწმუნდებით, რა ნიჭიერი და კარგი მწერალი ვყოფილვარო“ (ეს იყო 1973-1974 წლები).

რეინიგების კულტურის სასახლე. რუსთაველის, თამარის და პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტრის შთამბეჭდავი ფრესკებით მოხატული დარბაზი საოცარ ჰარმონიას ქმნის (თვითნასწაველი მხატვარი მ. მაღალდაძე). ფეხზე ადგომით შეხვდა ხალხით გაჭედილი დარბაზი მსცოვან პოეტს ირაკლი აბაშიძეს. მასთან ახლდა კინემატოგრაფიის თავმჯდომარის მოადგილე აკაკი ძიძიგური, პროფესორი როინ მეტრეველი, პოეტი რემო ამაშუკელი. რუსთაველის პრემიის პირველ ლაურეატ პოეტ აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს მიესალმა რაიოუმის პირველი მდივანი ლევან დათიაშვილი, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები, ლიტერატურულ კომპოზიციაში მონაწილეობდნენ ექიმი მ. ხშიადაშვილი, სტუდენტები ს; ხაჩიძე, და რ; ვლასოვი. პედაგოგი მ. ნადირაძე, ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი მ. თუთისანი. ბიბლიოთეკარი ლონდა მურჯიენელი, საავადმყოფოს მთავარი ექიმი მურთაზ ლიპარტელიანი, კულტურის სასახლის დირექტორი მ. არაბიძე, მოსწავლე ფ. ჩაჩანიძე, მაშინდელი პიონერთა სახლის დირექტორი თ. კოშკაძე. ირაკლი აბა-

შიძის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე ისაუბრა პედაგოგმა მ. მთვარელიძემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ელჩიბეგაშვილმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა თ. ლაცაბიძემ, პროფესორის თანამშემწემ გ. ნეფარიძემ, სკოლის დირექტორმა ლ. კაკიაშვილმა, უხუცესმა ექიმმა დ. მაჩაბე-ლმა. 3 წლის ნატო ინაშვილმა ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა სტუმარს.

პოეტის პოემიდან „რას გადაურჩა თბილისი“ ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს ხათუნა და ნანა მათისაშვილებმა, ლილი ნემსაძემ და სხვებმა.

1981 წელს სურამის საბავშვო ბიბლიოთეკის თაოსნობით სადაბო საბჭოში შემაჯალმა ბიბლიოთეკებმა შეხვედრა მოაწყვეს პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანთან. შეხვედრა გახსნა და პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკმა მურად მთვარელიძემ. პოეტს მიესალმა და საკუთარი ლექსი მიუძღვნა ხაშურელმა პოეტმა გ. მეტრეველმა, სკოლის დირექტორმა ლ. კაკიაშვილმა, პედაგოგმა მ. ნადირაძემ, მოსწავლეებმა ც. დიდებულიძემ, დათო კაიშაურმა, ნინო ლურსმანაშვილმა და სხვებმა. შეხვედრით მადლიერმა პოეტმა წაფითხა ახალი ლექსები.

1983 წელს ბიბლიოთეკის დღისადმი მიძღვნილი კვირეული სამ ბიბლიოთეკაში აღინიშნა მკითხველთა შეხვედრით.

ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველები შეხვდნენ ხაშურულ პოეტს ლალი ჯაფარაშვილს. პოეტმა მადლიერება გამოხატა მშობლიურ რაიონში სტუმრობით. ხალისით კითხულობდა მკითხველის საყვარელ ლექსებს თავისი შემოქმედებიდან და გზადაგზა პასუხობდა პოემის თავყანისმცემლებს მათთვის საინტერესო კითხვებზე: პოემიაზე, ზოგადად მწერლობაზე, ცხოვრებისეულ თემებზე. „მძი-

მეა პოეტის ხალათი, შენ კი მსუბუქად გეგარე-
ბინოს, ჩემო ლალი“; – ასე მიმართა ჟურნალი-
სტმა მაყვალა ხაჩიძემ საპატიო სტუმარს.

საინტერესოდ წარიმართა ხაშურის მე-3 სა-
ქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. გეორჯოვა)
მკითხველთა შეხვედრა ომგადახდილ მწერ-
ლთან ნანა კანდელაკთან. მწერლის შემოქმედ-
ებაზე ისაუბრეს აქტივისტებმა ე. ნოზაძემ და მ.
მთვარელიძემ. განიხილეს მისი „თოფის ხმა გა-
ნთიადისას“, „თქეში“. აგრეთვე ომის თემაზე
დაწერილი სხვა ნაწარმოებები. საინტერესო
იყო მკითხველთათვის ომგადახდილი მწერლის
მოგონებანი ფრონტული ცხოვრებიდან, შეეხო
აგრეთვე სამომავლო შემოქმედებით გეგმებს.
დასასრულ, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა
უჩვენეს თავიანთი შემოქმედება.

ტემრისა და სავანისუბნის მოსახლეობა
შეხვდა თავის მიწაწყლის შვილს – პოეტ იმა
ორჯონიძეს. მის შემოქმედებაზე ისაუბრა
ფილოლოგმა გ. ბირვაძემ. თავის მოგონებებში
პოეტის ბავშვობის წლები გაიხსენა პედაგო-
გმა გ. ბალათურმა, როცა იგი ტემრის სკოლაში
სწავლობდა. მადლიერმა პოეტმა წაიკითხა ლე-
ქსები, მოიგონა ბავშვობის წლები. ღონისძიება
მომზადდა სავანისუბნის სასოფლო ბიბლიოთე-
კის ინიციატივით (გამგე ლ. მექეროვი).

ქვიშეთის ბონის კულტურულ-საგანმანა-
თლებლო დაწესებულებებმა შეხვედრა მო-
უწყვეს მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს. ღონისძიება
გახსნა და საპატიო სტუმარს მიესალმა ქვიშე-
თის ბიბლიოთეკის გამგე დ. გელაშვილი, მწე-
რლის შემოქმედებაზე ისაუბრა პედაგოგმა,
ამჟამად საკრებულოს გამგებელმა კლ. სუთი-
აშვილმა და პედაგოგმა თ. ჩადუნელმა, მწე-
რალს სიტყვით მიმართა სტუმრის თანხმლებმა
პირმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესო-
რმა რ. თვარაძემ,

დასასრულ, მკითხველთა შეკითხვებზე პა-

სუხი გასცა და თავისი ცხოვრების ეპიზოდებზე
ისაუბრა ჭაბუა ამირეჯიბმა. შეხვედრა დასრუ-
ლდა ქვიშეთის კულტურის სახლთან არსე-
ბული გოგონათა ანსამბლის გამოსვლებით.
ღონისძიება ჩატარდა 1986 წელს და მიეძღვნა
ბიბლიოთეკის დღეს.

გურამ ფანჯიციძეს კარგად იცნობს მთელი
წიგნიერი საქართველო. იგი იყო არა მარტო
მწერალი. არამედ სამოგადო მოღვაწე, პუბლი-
ცისტი, ფართოდ ერუდირებული. ამიგომაცაა
მისი შემოქმედება მდიდარი მრავალმხრივი
თემატიკით. მკითხველს იგი არაერთხელ შე-
ხვედრია, რომელთა შორის გავიხსენებ 1986
წელს ცენტრალური რაიონული ბიბლიოთე-
კის (დირექტორი რ. ლომიძე) მკითხველთა
შეხვედრას, რომელიც მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის დირექტორმა თ. ლაცაბიძემ გახსნა.
იმ დროისთვის გახმაურებულ რომანზე „სპი-
რაღზე“ ისაუბრა ექიმმა ქ. შალვაშვილმა და
პედაგოგებმა: მ. ხარაბაძემ, მ. კილასონიამ,
ნამგალაურმა და თ. შერაბადაშვილმა. საინტე-
რესო იყო სტუმრის თანხმლები პირის კრიტი-
კოს თამაზ წიფვიძის გამოსვლაც. მწერალმა
გულთბილი მადლობა გადაუხადა დარბაზს, პა-
სუხი გასცა მკითხველთა შეკითხვებს, ისაუბრა
„სპირაღის“ შესახებ და თავის შემოქმედებით
გეგმებზე.

ხაშურის ახალგაზრდულმა ბიბლიოთეკამ
არაერთი საინტერესო ღონისძიების ჩატარე-
ბით მოიხვეჭა სახელი. მათ შორისაა 1998
წლის 2 ოქტომბერს ჩატარებული შეხვედრა
პოეტ გივი ჭიჭინაძესთან. მას თან ახლდა მსახი-
ობთა ჯგუფი. პოეტმა წაიკითხა ახალი ლექსები
თავისი შემოქმედებიდან, თბილისის საბავშვო
თეატრის მსახიობთა ჯგუფმა უჩვენა წარმო-
დგენა „მზის მამალი“.

შეხვედრას ესწრებოდა და სტუმრებს მიესა-
ლმა ჩვენი რაიონის მკვიდრი, საბავშვო პოეტი

გიორგი მეტრეველი.

– 2001 წელს, ახალგაზრდულ ბიბლიოთეკასთან არსებულმა ლიტერატურულმა სალონმა „ათინათი“ (ხელმძღვანელი პედაგოგი ლ. ბარბაქაძე, ბიბლიოთეკის გამგე თ. გოგოლაძე) მოაწყო ოცია იოსელიანთან შეხვედრა, რომელიც მწერლის ბინაზე ჩატარდა; რაიონის დეპუტატის, პარლამენტის ვალერი გელაშვილის ხელშეწყობით გამოიყო ავტობუსი და 40 კაციანი მკითხველთა ჯგუფი ესტუმრა მწერალს. ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრა მკითხველთათვის. შთაბეჭდილი იყო მწერლის საუბარი ლიტერატურაზე, საერთოდ, მწერლობაზე, ქართულ გრადიციებზე, დღევანდელ ყოფაზე და ა.შ.

დასასრულ, გადაიღეს სამახსოვრო სურათები, მწერალმა მკითხველები დაასაჩუქრა წიგნებით, ავტოგრაფებით.

ამავე ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის ინიციატივით მოეწყო დაუვიწყარი შეხვედრა პოეტ მუსხრან მაჭავარიანთან მისივე მშობლიურ სოფელ არგვეთში. ასეთი იყო თვით პოეტის სურვილიც, რადგან „აქ მე რომ არ მიმიღოს, ქვაც არ გდია არც ერთი“, – ბრძანებს პოეტი. მთელი შეხვედრის განმავლობაში სათქმელსა და სალაპარაკოს რა გამოლევდა. იყო საუბარი პოეზიაზე, მწერლობაზე, დღევანდელ შეჭირვებულ საქართველოზე... იყო უამრავი კითხვა, რომელზეც პოეტი ღრმად მოფიქრებულ საინტერესო პასუხებს იძლეოდა, მაგრამ ყველაზე მეტი იყო პოეზია: თავისი ხავერდოვანი ხმით კითხულობდა იგი ძარღვიანი ქართულით დაწერილ მისივე ლექსებს, რომელშიც მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით გვიჩვენა, რომ მართლაც „ვერ შეაჩერებ ვერაფრით სიჭყვას გაბედულს“.

ორივე გასვლითი შეხვედრის პერიპეტეები აისახა ვიდეო და ფოტო მასალებში, რაიონულ გამეტებში, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“; ღონისძიებები ჩატარდა 2001 და

2002 წლებში.



ხაშურის წიგნიერ სამოგადოებას არასოდეს დაავიწყდება ცენტრალური ბიბლიოთეკის (დირექტორი რ. ენჯიბაძე) მკითხველთა შეხვედრა მწერალ და რეჟისორ გოდერძი ჩოხელთან; შეხვედრა, რომელიც გამოირჩეოდა თავისებური ორიგინალობით, იყო მწერლის ნიჭის გამოვლინება; მაღლიერ მკითხველს, რომელიც სტუმარმა ორიოდე საათით სულ სხვა სამყაროში მოახვედრა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიბლიოთეკის ყველა ღონისძიება ჩატარდა გრანტის საშუალებით.

2003 წლის აპრილში გრადიციულად აღინიშნა საბიბლიოთეკო ქსელში პროფესიული დღესასწაული – ბიბლიოთეკის კვირეული. ხაშურის ახალგაზრდული ბიბლიოთეკის მკითხველებმა ამ დღესასწაულზე შეხვედრა მიუძღვნეს თანამედროვე ქართული პოეზიის მშვენიერებას – ახალგაზრდა პოეტს, ხაშურელ ეკა ბაქრაძეს. იგი ჩვენს თვალწინ იმრდებოდა, როგორც ასაკობრივად, ასევე შემოქმედებითაც. 10 წლის გოგონა შემოვიდა ქართულ პოეზიაში და 17 წელია ხიბლავს ქართულ პოეზიის მოყვარულებს თავისი ნიჭიერებით. ამიგომ იყო ახალგაზრდების ასეთი დაინტერესება მისი პოეზიით – „მე ვარ მთის წყარო კლდიდან მომსკდარი, თავანჯარა და ნასათუთარი“, – აღნიშნავდა პოეტი. დარბაზი ვერ ფარავდა ეკას წაკითხული ლექსებით მიღებულ სიამოვნებას. იყო აღტაცება, იყო მრავალი შეკითხვა. იყო მაღლიერების გამოხატვა.

ბოლოს, ბიბლიოთეკასთან არსებულმა ლიტერატურული სალონის „ათინათის“ წევრებმა თხოვეს, რომ თვითონაც გამხდარიყოს ამ სალონის წევრი. ეკა ბაქრაძე სიამოვნებით დათანხმდა მათთან თანამშრომლობაზე.

იმედია, ხაშურის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანება კვლავ აქტიურად განაგრძობს ამგვარ ღონისძიებებს, რომლებსაც დიდი სულიერი ღირებულება გააჩნია.



ნაგო მჭედლიშვილი

ნარსული, რეალობა, ანგუო

ბიბლიოთეკა – 2015

სტაგიაში წამოჭრილი საკითხები საბიბლიოთეკო სამოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენში არამც თუ 2015, მომავალ წელს როგორი ბიბლიოთეკები გვექნება, იმაზეც კი ნაკლებად ვფიქრობთ. საბიბლიოთეკო სპეციალობა, საინფორმაციო უზრუნველყოფის ამოცანებთან ორგანულად დაკავშირებით, სავსებით ახლებურ თანამედროვე ხელვას მოითხოვს. ეს პროცესი უკვე თავისთავად მიმდინარეობს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას თვითღონებითი ხასიათი აქვს, რაც აფერხებს დარგის განვითარებას. საჭიროა გეგმიური, თანმიმდევრული, პროფესიული დამოუკიდებლობა საქმისადმი. ამდენად, საინტერესოა ვიცოდეთ, რას ფიქრობენ ამ მოვლენის შესახებ ჩვენი გერმანელი კოლეგები. ბიბლიოთეკატმცოდნე ნაგო მჭედლიშვილმა ჩვენი ჟურნალისათვის მოამზადა გერმანელი სპეციალისტების – ი. მეფელისა და ლ. სირეს სტაგიის „კარი წარსულსა და მომავალში“ რეფერირებული თარგმანი, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ძველ რომში, მარადიული უკვდავი ქალაქის მოქალაქენი, კარებზე ხშირად გამოსახავდნენ ორსახოვან ღმერთს – იანუსს. იგი იყო სიმბოლო ღროში გადაადგილების: წარსულიდან – მომავალში.

წარსულიდან მომავალში მეგობრულად ბიბლიოთეკები ესახებათ. ჩვენს გერმანელ კოლეგებს, რომლებიც საკმაოდ დიდ დროს უთმობენ წარსულის ანალიზს და მის საფუძველზე მომავლის განჭვრეტას.

გერმანიის საბიბლიოთეკო სამოგადოების ფედერალურმა გაერთიანებამ და ბერტელმანის სახელობის ფონდმა 2002 წლისათვის მეტად საინტერესო პროექტი შეიმუშავა: მათ გადაწყვიტეს, ჩაეგარებინათ 3-ეგაპიანი კვლევა სახელწოდებით „ბიბლიოთეკა 2007 – ბიბლი-

ოთეკების განვითარება გერმანიაში“.

პროექტის კონცეფცია რამდენიმე ქვესაკითხადაა დაყოფილი:

I ფაზა არსებულის ანალიზს მოიცავს;

II ფაზა ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტის შექმნას გერმანიაში ბიბლიოთეკების განვითარების მომავლის იდეალური მოდელის სახით, რომელიც 2003 წლისათვის უნდა დასრულებულიყო;

III ფაზაში იგულისხმებოდა პროექტის რეალური განხორციელება 2007 წლისათვის.

როგორი გაურკვეველიც არ უნდა ყოფილიყო თავიდანვე 2007 წლის ბიბლიოთეკების სახე, მასზე სპეციალისტები შედარებით უფრო გარკვეულ წარმოდგენას ქმნიდნენ. უფრო ბუნდოვანი იყო 2015 წლის ბიბლიოთეკის რეალური სურათის დანახვა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს: ბიბლიოთეკარებმა, მწერლებმა, საგამომცემლო დარგის სპეციალისტებმა, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა – ადამიანებმა, რომლებიც წიგნთან უშუალო კავშირში არიან; ამდენად, ჩვენთვის – სპეციალისტებისათვის – ეს პროექტი, თავისი შედეგებით, მეტად საინტერესოა.

გამოკითხულთა უმრავლესობას პროექტთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს მომავლის ბიბლიოთეკის ისეთი მოდელი, როგორიც ეს სამოგადოებას სურს, როგორიც უნდა იხილოს ქალაქში. დღევანდელი რეალობა მოითხოვს არა პასიურ მდგომარეობაში მომლოდინე პოზიციას, არამედ მოქმედ-

ბას მომავლის იდეების განსახორციელებლად. მათ მიერ ჩამოყალიბებული თემისები გულისხმობს:

1) 21-ე საუკუნეში განათლება იქნება პროგრესირებადი. რაც გავლენას იქონიებს პირველ რიგში ეკონომიკაზე;

2) მომავლის პრობლემა იქნება არა ინფორმაციის მოპოვებაში, არამედ მის ხარისხში (მთავარის გამოყოფა). ხარისხიანობა რაოდენობასთან შეფარდებით, როგორც არასდროს, ისე წინა პლანზე გამოდის.

3) ბიბლიოთეკა, როგორც „საბაზრო“ ფართი, საშუალებას აძლევს ადამიანებს, შეხვდნენ, გაესაუბრონ ერთმანეთს. ამიტომ მის ინტერესებს დიდი ყურადღება დაეთმობა არა როგორც განცალკევებულ ადგილს კომპიუტერული ეკრანისათვის, არამედ როგორც წიგნიერი გარემოს ადამიანების შეხვედრისათვის.

4) 2015 წლის ბიბლიოთეკა, როგორც კულტურული ცხოვრების განუყრელი ნაწილი, ინტეგრირებული იქნება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.

5) 2015 წლისათვის ბეჭდვითი და დიგიტალიზირებული ინფორმაციის საშუალებები (ელექტრონული ინფორმ. მაგარებლები) შენარჩუნდებიან თანაბარი პროპორციებით, არაწიგნადი ფონდი მომავალში გაიზრდება მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით.

საინტერესოა განვიხილოთ ის შეკითხვები, რომლებიც პროექტის მონაწილეებს დაუსვეს, და მათზე გაცემული პასუხები განზოგადებული სახით.

I კითხვა: როგორი იქნება 2015 წლის ბიბლიოთეკა შენობაში, ვირტუალური თუ დიგიტალური ფორმით?

გამოკითხულთა უმრავლესობა ერთიან აზრს გამოხატავს: ბიბლიოთეკა აუცილებლად იარსებებს ქალაქის ცენტრში, შენობაში, რომელიც იქნება კულტურის, განათლების, ინფორმაციის


ცენტრი. ადამიანებს საშუალება ექნებათ, შეხვდნენ ერთმანეთს ბიბლიოთეკაში, ესაუბრონ, მოიპოვონ ინფორმაცია (გლობალური ინტერნეტის საშუალებითაც), წიგნები იქნება ყველასათვის მისაწვდომი, ცოდნის შექმნა ბიბლიოთეკაში უპრობლემოდ განხორციელდება. მათი აზრით, ადამიანურ შეხვედრებს ვერ შეცვლის ვერანაირი ტექნიკა. თუმცა მსოფლიოში არის ანონიმური სააგენტოები ანუ ბანკები ოფისის გარეშე. ასეთი ბიბლიოთეკების მომხმარებლებს არა აქვთ მიზანი, ჩაიხედონ წიგნში, წაიღონ იგი სახლში, მიიღონ უშუალო სიახლოვება წიგნთან ურთიერთობით. ისინი ეძიებენ დამხმარეს ანუ კონსულტანტს, მათ აინტერესებთ მხოლოდ კონკრეტული ინფორმაცია კონკრეტულ მომენტში. ცოდნის გადაცემა პრინციპით „ადამიანი-ადამიანს“ („Face-to-Face Function“) უფრო ეფექტურია, ვიდრე „ადამიანი-მანქანა“.

II შეკითხვაზე: თუ როგორი იქნება ინფორმაციული საშუალებების პალიტრა მომავალში, პასუხი ასეთია:

ციფრული ინფორმაციის მაგარებლები შეივსება 1 ან 2 ახალი გამოგონებით. ფაქტობრივად, ისინი დარჩებიან იმ ფორმით, როგორიც დღეს არის. ინფორმაციის ძირითად მაგარებლად დარჩება წიგნი. მეტად საინტერესოა, გერმანელი კოლეგების აზრი წიგნებთან დაკავშირებით: იქ, სადაც წიგნი განიხილება როგორც ხელოვნება, მისი ფუნქცია არასოდეს შეიცვლება. საზოგადოების სურვილია, წიგნი – როგორც ხელოვნების ნიმუში, მომავალშიც განვითარდეს და სრულყოფას აღწევდეს.

რაც შეეხება მომავლის წიგნებს, მასის აზრით, გაგრძელდება ე.წ. „მოსახერხებელი წიგნების“ გამოცემა, მაგ. ისეთი მინიატურული წიგნებისა, რომელთა უბის ჯიბეში ჩადება ადვილი იქნება, ან ისეთებისა, რომლებიც წამოწოლითაც შეიძლება იკითხო.

მოსალოდნელია ისეთი წიგნების შექმნა, რო-



მლებიც სუნს ან მუსიკალურ ხმებს გამოსცემენ შესაბამის ადგილებში ან რომლებიც გადაშლის შემთხვევაში თვითონ ხმამაღლა ახმოვანებენ ტექსტს და ა.შ.

რაც შეეხება ელექტრონულ ინფორმაციულ მაგარებლებს, ისინი დიზაინს შეიცვლიან: იქნება დიდი მრავალფეროვნება. კონკრეტულად საუბარია CD ROM-ებზე, როგორც გარდამავალ მოვლენაზე. იქნებ ელ. ყურნალები, მულტიმედია საშუალებები, თუმცა ეს ყველაფერი დიდ თანხებს მოითხოვს და მათზე ალბეჭდილი ინფორმაცია შეუმღებავი იქნება. ამიტომ ყურადღება ყველაზე მთავარსა და მნიშვნელოვანს მიექცევა.

III კითხვა: ინფორმაციის და პუბლიკაციის შექმნის შესახებ მათ გავრცელებაზე 2015 წლისათვის, როგორც შუამავლისა და მწარმოებლისა, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ძირითადად იგივე იქნება, რაც დღესაც. იქნება წიგნის მალაზიები, გამომცემლობები, ინტერნეტმალაზიები.

ინფორმაციის მომწოდებელთა კერძო-კომერციული სტრუქტურების რაოდენობა გაიზარდა. დარჩება კლასიკური საგამომცემლო ჯაჭვი: „ავტორი – გამომცემელი-მკითხველი“. თუმცა აქ მოსალოდნელია კორექტივები. ეს კომბინაცია არ გაქრება. მკითხველს შესაძლებლობა ექნება მოიძიოს ბიბლიოგრაფია მისთვის საჭირო თემებსა და გამოცემებზე, მიიღოს რეგულარული ინფორმაცია ელ. ფოსტით. მთავარი პირობა მაინც ხარისხის დონე იქნება.

IV შეკითხვა ბიბლიოთეკის სახელწოდებას ეხება, თუ როგორ იქნება მოხსენიებული ბიბლიოთეკა 2015 წლისთვის. მოცემულია ბიბლიოთეკის სახელწოდების შესაძლებელი ვარიანტები:

1. მედიათეკა-ინფოტეკა;
2. დოკუმენტების ცენტრი;
3. მონაცემთა ცენტრალური ბანკი;
4. ბიბლიოთეკა-აბონემენტი;
5. Call-center;
6. კულტურული ცენტრი;
7. გამოთვლითი ცენტრი;

8. სრული ტექსტების სერვერი;
9. სწავლების ადგილი;
10. გრძელვადიანი შენახვის არქივი;
11. ინტერნეტ-კაფე;
12. წიგნის მუზეუმი;
13. ქალაქის ცნობარი.

პასუხები ორ მოდელად დაჯგუფდა. I მოდელის მიხედვით, გამოკითხულთა 75% და მეტი 2015 წლის ბიბლიოთეკას ხედავს როგორც მედიათეკისა და ინფოტეკის გაზრდას, ქალაქის ცნობარისა და სასწავლო ფუნქციით, ისევე, როგორც წიგნის მუზეუმს, ისტორიული და არქივის ფუნქციების დატვირთვით.

II მოდელის მიხედვით, გამოკითხულთა 50% თვლის, რომ მომავლის ბიბლიოთეკა იქნება დოკუმენტაციისა და სრული ტექსტების ცენტრი, კულტურული ცენტრისა და ინტერნეტ-კაფის ინტეგრირებული ფუნქციების სინთეზი; გამოკითხულთა უმრავლესობამ უარყოფითი პასუხი გასცა სახელწოდებაზე: „გამოთვლითი ცენტრი“, „ქალაქის ცნობარი“. რაც შეეხება სა-მუზეუმო წიგნად ფონდს, ისინი თვლიან, რომ ის სპეციალურ განყოფილებაში იქნება დაცული.


მხედველობაში იქნა მიღებული ბიბლიოთეკის ახალი ფუნქციების შეთვისება. აქედან გამომდინარე. ლოგიკურად ისმის V შეკითხვა:


მოღვაწეობის რომელი ახალი სფეროები უნდა შეითავსოს ბიბლიოთეკამ?

პასუხები ერთგვარად საკმაოდ ფილოსოფიურია და მეგად დამაფიქრებელი:

„ჩვენ ვცხოვრობთ არამც თუ ინფორმირებულ, არამედ დიდ ინფორმაციულ შესაძლებლობათა სამოგადოებაში. ინფორმაცია იქ არის ხარისხიანი, სადაც ასწავლიან, როგორ უნდა მოექცნენ მას“. დასვენა: მეტი სტიმული კითხვას, აქტიურად გაენაგრძოთ განათლება („სასწავლო სკუდიები“, „teaching library“) მომავლის ბიბლიოთეკამ მომხმარებელს უნდა ასწავლოს ინფორმაციასთან მოპყრობა, იგი უფრო საფუძვლიანად უნდა იყოს გექნივურ-სა-ინფორმაციო დარგში ორიენტირებული.

ბიბლიოთეკებმა არ შეიძლება მიიღონ გამო-





წვევა, როგორც საინფორმაციო საშუალებების კონსურენცებმა, მათ უნდა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა, აქტიურად გამოიყენონ საინფორმაციო საშუალებები ბიბლიოთეკის ინტერესებიდან გამომდინარე.



გერმანელი კოლეგების ამრით, ბიბლიოთეკა ეს არის ადგილი, სადაც სიამოვნებით შეხვდები სასურველ ადამიანს ერთ ფიზიკურ

ყავასთან – სწორედ აქ, წიგნიერ გარემოშია სასურველი საუბრები, დისკუსიები, კამათი, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა, რასაც ბიბლიოთეკა წარმართავს.

ბიბლიოთეკების გარეშე არ არსებობს მომავალი!

ქალაქი ბიბლიოთეკების გარეშე, ეს არის ადამიანი სულის გარეშე!

კვირეული – 2006



გურამ თაყნაიშვილი
**ბიბლიოთეკართა და ბიბლიოთეკის
 მეგობართა ფორუმი**

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული – 2006
 მასალების მიმოხილვა

მიმდინარე წელს მეხუთე კვირეული ჩაატარეს საქართველოს ბიბლიოთეკებმა. კვირეულმა კვლავ ცხადყო, რომ ბიბლიოთეკებს არ დაუკარგავთ თავისი როლი და ადგილი ცოდნის, განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საქმეში.

კვირეული გაიხსნა 28 აპრილს თბილისის მე-9 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. კასრაძე), რამდენადაც შედარებით დაწვრილებით ვაგცობინებდით ჩვენს მკითხველებს ჩვენი ქურნალის წინა ნომერში.

კვირეულის პროგრამით ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, რამდენადაც მეცყველებს რედაქციაში წარმოდგენილი მასალები.

თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანებაში (დირექტორი ც. კალმახელიძე) კვირეულის ღონისძიებები გაიმართა წინასწარ შედგენილი გეგმით. 27 აპრილს 54-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. იაკობაშვილი) საინტერესოდ წარიმართა ღონისძიება „დედაო ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია“. ღონისძიებას ესწრებოდნენ მოძღვრები მამა იოანე და მამა



გურამი; აკაკი წერეთლის ლექსები წაიკითხეს 172-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ლ. მამახიძემ და მ. ამისულაშვილმა. ბიბლიოთეკებმა გულთბილად ისაუბრეს რწმენისა და მართლმადიდებელთა ცხოვრების წესის შესახებ. საინტერესო დიალოგი გაიმართა მოძღვრებსა და მკითხველებს შორის. ღონისძიებას ესწრებოდა ქურნალისტი ნ. მამთარაძე. იმავე დღეს №1 საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა პოეტ ნინო მარიამიშვილთან. პოეტის შემოქმედების შესახებ ისაუბრეს ლ. მეშვილდიშვილმა და ლ. მანველიშვილმა. პოეტს მი-



ესალმნენ მეთოდისტები ლ. ქუმელაშვილი, ნ. ჯარიშვილი, №2 ბიბლიოთეკის გამგე ც. გოგიჩაიშვილი. მე-7 საქალაქო ბიბლიოთეკაში (ვახტანგ მ. რამბაძე) მოეწყო მკითხველთა შემოქმედებითი საღამო, ამ ბიბლიოთეკაში აღიზარდა ბევრი ცნობილი პიროვნება. ბიბლიოთეკასთან მოქმედებს ლიტერატურული კლუბი „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ფ. ჩიმაკაძე, ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნ. ქემოვლიძე, ბიბლიოთეკის მკითხველმა ნ. რამიშვილმა წარმოადგინა შექსპირის 65-ე სონეტის საკუთარი თარგმანი, ღონისძიებაზე საკუთარი ლექსი წაიკითხა მე-11 კლასის მოსწავლემ ლ. მათიაშვილმა. ერთობლივი ღონისძიება ჩაატარეს ქ. თბილისის 41-ე და 25-ე ბიბლიოთეკებმა. ღონისძიება მიეძღვნა გ. ტაბიძის დაბადებიდან 115-ე წლისთავს. ღონისძიებაში მონაწილეობდა და მოგონებებით გამოვიდა პოეტი ო. შალამბერიძე. პოეტმა მ. გოდერძიშვილმა წაიკითხა



გალაგტიონისადმი მიძღვნილი ლექსი; დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ალ. ნამორაძემ და ა. ჯამბუაშვილმა. 53-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო ნ. ურუშაძის წიგნის „ვერიცო ანჯაფარიძის“ განხილვა. განხილვაში მონაწილეობდნენ წიგნის ავტორი, საქ. სახალხო არგისტი ს. ჭიაურელი, თეატრმცოდნე ნ. ურუშაძე, სახალხო არგისტი ნ. ჩხეიძე. ჩუღურეთის რაიონის ბიბლიოთეკებმა 83-ე ბიბლიოთეკის ინიციატივით შეხვედრა მოუწყვეს მერაბ ელიომიშვილს. საღამოს უძღვებოდა ჟურნალისტი და მსახიობი თემურ შენგელია. მანვე ილაპარაკა მერაბ ელიომიშვილის, როგორც მწერლის, მსახიობისა და სცენარისტის პიროვნებაზე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კულტურის უნივერსიტეტის სტუდენტები ნინო ალბაძე, ნინო ჯღარკავა და მადონა შუბითიძე. ცხინვალიდან ღვენილთა სახელით მწერალს მიესალმა მკითხველი თ. ხიზანიშვილი, ღონისძიებაში მონაწილეობდა სახალხო არგისტი ნინო ჩხეიძე. 4 მაისს მ. ჯავახიშვილის სახ. ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურული საღამო თემაზე „აფხაზეთი ქართულ ლიტერატურაში“. ბიბლიოთეკაში მოქმედებს ლიტერატურული კლუბი „მაჭახელა“, მას ხელმძღვანელობს ერეკლე სალიანი, რომელმაც ღონისძიებაზე წარმოადგინა ჟურნალ „მედაშეს“ პირველი ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილია აფხაზი პოეტების ქართული თარგმანები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ირმა მებურიშვილი, ვანო სურგულაძე, ქეთევან ახვლედიანი. ღონისძიებაზე მოეწყო მ. თოიძის სახ. სამხატვრო ლიცეუმის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ პოეტები: ივა ქადაგიძე, სოსო ნადირაძე, ციალა არდაშელია. 11 მაისს №3 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა ამ ბიბლიოთეკის დაარსების 80 წლისთავს. ღონი-

საქართველოს ბიბლიოთეკა



სძიებას უძღვებოდა მისი გამგე მერი ლომია. ბიბლიოთეკის მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა ლუბა შუკაიშვილმა. სიგყვებით გამოვიდნენ თ. ლომია, მ. გივინაშვილი, პოეტი ლამარა რჩეულიშვილი. მკითხველები: გ. მკარაშვილი, რ. სუროფიანი და სხვები; ლექსები წაიკითხეს მკითხველებმა: გ. ლუგიძემ, მ. გიოსაშვილმა, ს. შეთეკაურმა, ნ. კუხლაშვილმა, ა. ფოლადიშვილმა და სხვებმა. იუბილარ ბიბლიოთეკას მიესალმნენ გაერთიანების თანამშრომლები: ნ. გოგაგიშვილი, თ. ჩაგანავა, პროფკავშირების წარმომადგენლები ს. ჯიმუხაძე, 11 მაისს მე-19 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება მიეძღვნა გარდაცვლილ ბიბლიოთეკართა ხსოვნას. ბიბლიოთეკარებმა, ყოფილი თანამშრომლების ახლობლებმა გულთბილად გაიხსენეს ამაგდარი ბიბლიოთეკარები: პ. ჯიმშელიშვილი, კლიმენტი ბრეგვაძე, თ. დარჩიაშვილი და სხვები. მოგონებებით გამოვიდნენ: დ. სოლომნიშვილი, ლ. კასრაძე, ლ. კენაველიძე, ლ. გორდელაძე, ლ. ხაბეიშვილი და სხვები. 17 მაისს 55-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში აღინიშნა ამ ბიბლიოთეკის დაარსების 20 წელი. ბიბლიოთეკის გავლილი გზის შესახებ ილაპარაკა მისმა გამგემ ნ. კოკოლიშვილმა. ბიბლიოთეკას ახალი ურთიერთობა აქვს მწერალსა და კინორეჟისორ გოდერძი ჩოხელთან, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ღონისძიებას. ბიბლიოთეკას საუბილეო თარიღი მიულოცეს მკითხველებმა: ც. კვინცრა-

ძემ, ლ. სოლომნიშვილმა, ნ. ცერცვაძემ, დ. ნაგროშვილმა, თ. მეგრელიშვილმა; პოეტებმა: მ. გოდერძიშვილმა, თ. მეგრელიშვილმა, ა. გოდერძიშვილმა და სხვებმა. 30 მაისს შ. დადიანის სახ. 35-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო თემაზე „და მაინც წიგნი“. ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის გამგე ნ. მანჯაფარაშვილი. წიგნის როლისა და დანიშნულების შესახებ ისაუბრეს: პოეტმა დ. ტაკიძემ, მკითხველმა ლ. ქარდავამ, მ. წურწუშიამ. დარბაზში მოეწყო მხატვრების ე. გამგონაძისა და ნ. გიგაურის მიერ გაფორმებული წიგნების მკვეტების გამოფენა.

11 მაისს 27-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო თემაზე „თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ“. ღონისძიება მიეძღვნა გ. ტაბიძის დაბადებიდან 115-ე წლისთავს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 45-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები: ნ. ებრალიძე, მ. კუჭუხიძე, დ. ომანაძე, თ. ფხაკაძე და სხვები. გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ო. შალამბერიძემ და მ. გოდერძიშვილმა. გალაკტიონის პოემის დანიშნულებაზე ისაუბრეს 45-ე სკოლის პედაგოგებმა: ნ. ქსოვრელმა, მ. ჩაჩანიძემ, ი. ხაგიაშვილმა. პოეტის პორტრეტის შექმნის შესახებ მოგონებით გამოვიდა მხატვარი ა. ციხელაშვილი. ღონისძიებაზე მუსიკალური ნომრები შეასრულეს მოსწავლეებმა თ. კალაგოზიშვილმა და ა. წამალაშვილმა.

საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა თბილისის საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკებში (მეთოდისტი ლ. ჩხარგიშვილი), 28 აპრილს ნ. ნუაშიძის სახ. №16 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. სიმონია) შეხვედრა მოუწყვეს საბავშვო ლიტერატურულ თეატრს, რომელსაც ხელმძღვანელობს ელდინო სალარაძე. ამჯერად წარმოადგინეს ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, ღონისძიებას ესწრებოდნენ: საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ი. ღარიბაშვილი,

გოეთეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ვიბკე ვაიგანდი, მწერალი გ. ბელოშვილი, პირველი ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგები. ნაწარმოების შესახებ ილაპარაკეს: ი. ღარიბაშვილმა, გ. ბელოშვილმა, ნ. გოგებაშვილმა, მ. ბარკალაიამ, ე. საღარაძემ. შ. მღვიმელის დაბადებიდან 140-ე წელს მიეძღვნა №49 საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება (ბიბლიოთეკის გამგე ლ. ჯავახიშვილი). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 113-ე სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც შეასრულეს შ. მღვიმელის ნაწარმოებებზე შექმნილი სიმღერები.

მე-60 საბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე ლ. კვინიკაძე) ჩაატარა ღონისძიება „რად მიყვარს ჩემი სამშობლო“. ღონისძიებას ესწრებოდნენ: პოეტი შ. კვანტალიანი, ფილოსოფოსი თ. წოწორია, ისტორიკოსი ს. რუხაძე და სხვები; მკითხველებს სიტყვებით მიმართეს ს. რუხაძემ, თ. წოწორიამ, ლ. ჩხარტიშვილმა. 63-ე საბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე მ. გურგენიძე) ჩაატარა



ღონისძიება „გამაფხული შემოსულა“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საერო მრავალპროფილიანი სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც შეასრულეს მუსიკალური ნომრები.

41-ე ბიბლიოთეკაში (გამგე ვ. ჟვანია) ჩატარდა პოემიის საღამო, მიძღვნილი გ. გაბიძის

დაბადებიდან 115-ე წლისადმი. ღონისძიება მომზადებული იყო 25-ე საქალაქო ბიბლიოთეკასთან ერთად (გამგე ე. ქისიშვილი). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პოეგები: თ. შალამბერიძე, მ. გოდერძიშვილი, თ. ფიფია, ა. ნამორაძე, ბუნების დიდი მეგობარი ალექსი არაბული, სტუდენტები, 48-ე, მე-60, 114-ე და 149-ე სკოლების მოსწავლეები.

61-ე საბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე ლ. ფანჩულიძე) ჩაატარა პოემიის საღამო. ღონისძიებას ესწრებოდნენ გაერთიანების დირექტორის მოადგილე ხ. მესხიძე, მეთოდისგები. 55-ე საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ (გამგე ც. გოგიჩაიშვილი) შეხვედრა მოუწყო პოეტი ც. ქიტიანიშვილს; ბიბლიოთეკის მკითხველებმა წარმოადგინეს პოეტის ლექსებზე შექმნილი მონტაჟი. 42-ე ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ (გამგე თ. ხიდაშელი) მოაწყო ნორჩ მკითხველთა შემოქმედებითი საღამო. საღამოს ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკარი ნ. სამადაშვილი, მოეწყო მხატვრების მ. ფოლადაშვილისა და მ. მაისურაძის ნახატების გამოფენა, შესრულებული იყო მუსიკალური ნომრები ლ. დოკვაძისა და მ. ქაშიაშვილის მონაწილეობით, საღამოს უძღვებოდა მე-6 კლასელი ს. ბაქრაძე; მე-17 საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ (გამგე ლ. ბეგაშვილი) მოაწყო მკითხველთა შემოქმედებითი საღამო. მონაწილეობდნენ: 36-ე, 24-ე და მე-7 გიმნაზიის მოსწავლეები. აქვე მოეწყო მ. ცუცქერიძისა და სალომე სამუშიას ნახატების გამოფენა.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა მე-6 კლასის მონაწილე ღონისძიება №16 საბავშვო ბიბლიოთეკაში, მასში მონაწილეობდნენ: 36-ე სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები, სამაჩაბლოდან ლტოლვილი ბავშვები. ღონისძიებაში საკუთარი ლექსები წაიკითხეს: ე. ორაგველიძემ, ლ. ჩაჩუამ, გ. მეგრეველმა, გ. არაბულმა, თ. მეშველიანმა. საინტერესო მხატვრული ჩანახატი წარმოადგინა მე-7 კლასელმა ს. ზვიადაურმა.

16 მაისს 42-ე ბიბლიოთეკაში (გამგეა. ნამორადე) ჩაგარდა რ. ინანიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები, 190-ე და 129-ე სკოლის მოსწავლეები. ღონისძიების მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა პედაგოგმა ლ. კარიჭაშვილმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მე-9 კლასის მოსწავლეები: ნ. სისუაშვილი, მ. ამირეზაშვილი, მ. ქრისტესიაშვილი, ა. მიგრიაული, საცეკვაო ნომრები შეასრულა გ. ჭალიძემ. მხატვრულ ნომრებში მონაწილეობდნენ ასევე თ. რაზმაძე, ს. ედიშერაშვილი.

10 მაისს 31-ე საქალაქო ფილიალში ჩაგარდა ღონისძიება „დედაო საქართველოვ“. ბიბლიოთეკის სტუმრები იყვნენ პოეტები, მსახიობები, მეცნიერ-მუშაკები: ერეკლე სალიანი, ჯულიეტა მილდიანი, გ. თოფურია, გ. სიხარულიძე. ლექსები წაიკითხეს პაგარა მკითხველებმა: მ. მხეიძემ, ძმებმა ბ. და ლ. გურგენიძეებმა, მ. ხვალაგიანიმა, ნ. ბასილაშვილმა და სხვებმა.

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 130-ე წლისთავს მიუძღვნა საინტერესო ღონისძიება №10 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. ბერეკიძე), 16 მაისს ბიბლიოთეკას ესტუმრნენ: მ. ლორთქიფანიძე, თ. ჯაფარიძე, ნ. კალმახელიძე, გ. ხაბალია, დ. დათუნაშვილი, სტუდენტები; მოსწავლეები. საღამოს უძღვებოდა ბიბლიოთეკის მკითხველი დ. სოლომნიშვილი, დამსწრეთ უჩვენეს დოკუმენტური ფილმი ი. ჯავახიშვილის შესახებ.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ: მ. ლორთქიფანიძე, თ. ჯაფარიძე, დ. სოლომნიშვილი; შთამბეჭდავი იყო მე-3 ექსპერიმენტული სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე თ. კობიძის გამოსვლა.

თბილისის საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკებში ჩაგარებული ღონისძიებები ყოველთვის გამოირჩეოდა თემაციის სიხლით, შემოქმედებითი მიდგომით და, რაც მთავარია, მკითხვე-

ლთა მხარდაჭერით. საინტერესო ღონისძიება ჩაგარდა საქართველოს **ლ. ასათიანის სახ. სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკაში**; ამ ბიბლიოთეკის სანოტო-სამუსიკო განყოფილების ინიციატივით გაიმართა კლასიკური საცეკვაო მუსიკის ზეიმი. ღონისძიებას ესწრებოდნენ მე-4 სამუსიკო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. საცეკვაო მუსიკის შესახებ ისაუბრა ნ. ვიგინიშვილმა, გაიმართა პედაგოგ ე. ბუხნიკაშვილის კლასის კონცერტი. ღონისძიება ჩააგარა ბიბლიოთეკის ყოფილმა დირექტორმა ი. არგუტინსკაიამ. ამავე ბიბლიოთეკაში ჩაგარდა ვიქტორინა-კონკურსი „ბუნების საოცრებანი“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მე-100 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები.

14 აპრილს თბილისის ნ. ნავაშიძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. სიმონია) მოეწყო შეხვედრები ნორჩ პოეტებთან, ამ დღეს ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ ელენე ორაგველიძე, გიორგი ჩანგაშვილი, მიშეო ბერიძე – სამივე ახალგაზრდა, დამწყები პოეტი; ეს იყო ბიბლიოთეკისა და გაზეთ „რაეოს“ რედაქციის ერთობლივი ღონისძიება. ელენე ორაგველიძე თბილისის 38-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეა, გიორგი ჩანგაშვილი მე-2 ქართული გიმნაზიის მე-8 კლასელია. გიორგი მრავალმხრივი ნიჭიერებით გამოირჩევა, იგი ხატავს, ლექსებს წერს, უკრავს. ამ ყმაწვილის შესახებ ჩვენს ჟურნალში ადრე უკვე გვქონდა წერილი გამოქვეყნებული.

ქ. რუსთავში ბევრი საინტერესო ღონისძიება გაიმართა საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანებაში (დირექტორი ლ. ხარბელია). გრადიციულად დამკვიდრდა ისეთი მასობრივი ღონისძიებები, რომელთა შინაარსი მაქსიმალურად შეესაბამება მკითხველთა ინტერესს. ცენტრალური ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს რუსთავში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ადგილობრივი სტუდენტების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა

პროექტი „განათლება ჩვენი უფლება“. პროექტის მიზანი იყო ცენტრალური ბიბლიოთეკის ფონდების შევსება სახელმძღვანელოებით... პროექტით ბიბლიოთეკას გადაეცა 400 ლარის ღირებულების საჭირო სახელმძღვანელოები და საცნობარო ლიტერატურა.

20 აპრილს რუსთავის მწერალთა სახლში საბიბლიოთეკო გაერთიანების მუშაებმა და ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაციამ შეხვედრა მოუწყვეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პირველ მეფოლადეებს. მოწვეული იყო მეტალურგიული ქარხნის ყოფილი დირექტორი გურამ ქაშაიაშვილი, ქარხნისა და ქალაქის ხელმძღვანელი პირები, ინგელიგენციის წარმომადგენლები; კვირეულის პერიოდში მოეწყო აქცია „აჩუქეთ წიგნი ბიბლიოთეკას“; თითოეულ საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „წიგნი. ბიბლიოთეკა. მკითხველი“; საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა №5 (გამგე რ. ინგოროყვა), №8 (გამგე ა. ხაჩიძე), №6 (გამგე ც. ოსიტაშვილი), №1 (გამგე ნ. ლობჯანიძე), №7 (გამგე ქ. მელიქიძე), №3 (გამგე ნ. დევდარიანი), ასევე №11, №2, №3, №10, №5 ბიბლიოთეკა-ფილიალებში. №12 ფილიალში (გამგე ნ. ნადირაძე) მოეწყო ვიქტორინა „რა იცი წიგნის შესახებ“, საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა №6, №7, №4 ბიბლიოთეკა-ფილიალებში. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა ახალგაზრდებთან.

სენაის სარაიონო საბიბლიოთეკაო გაერთიანებაში (დირექტორი ც. ხორავა) ჩატარებული ღონისძიება გამოირჩეოდა ყველა ასაკის მკითხველთა აქტიური მონაწილეობით. კვირეული გაიხსნა ცენტრალურ სარაიონო ბიბლიოთეკაში თ. გრიგალაშვილის წიგნის „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლობის“ წარდგენით. ნარკომანიის თემაზე ჩატარდა ღონისძიება მანის №11 ფილიალში. ღვაწლმოსილ მკითხველებთან შეხვედრა მოეწყო ეკის №2 ბიბლიოთეკა-ფილიალში, ნოქალაქევის №3



ფილიალში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „წიგნებმა კაცად აქციეს, არა ერთი და ორი“, მე-2 ნოსირის №14 ფილიალში შეხვედრა მოუწყვეს სოფლის ახალგაზრდა ექიმს; ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა ჭალაღიდის №16 ფილიალში, საინტერესო იყო სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული ღონისძიება, რომელიც რელიგიურ თემატიკას მიეძღვნა. თავისი შინაარსით გამოირჩეოდა ღონისძიებები, რომლებიც ჩატარდა ხორშის, თეკლათის, ფოცხოს, ლეძაძამის, გეჯეთის, მენჯის, უშაფათის ბიბლიოთეკა-ფილიალებში.

გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანებას (დირექტორი ც. ვაჩეიშვილი) დიდი გრადიცია აქვს მასობრივი ღონისძიების ჩატარებისა. ამ ღონისძიებებზე ყველა უკლებლივ მოდის დიდი თუ პატარა, ინგელიგენციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ორი ღონისძიება; პირველი სოფელ გურჯაანის სკო-




ლასთან ერთად – ლიგერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „მარად ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“, (სკოლის დირექტორი ა. მანოშვილი). ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი იყო მასწავლებელი ნ. ყამბარიშვილი, ეს ერთობლივი ღონისძიება სკოლისა და ბიბლიოთეკის საქმიანი თანამშრომლობის ნათელი მაგალითია. ღონისძიების აქტიურ მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ანა მხეიძის მოთხრობის „არჩევანი მე“ განხილვა. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს გურჯაანის შ. ასანაშვილის სახელობის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა დილა „დედა ენა ქართული“, მასში მონაწილეობდნენ მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას მიეძღვნა ახალშენის სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკების ერთობლივი ღონისძიება. ამ შეკრებაზე გულთბილი სიტყვებით გამოვიდნენ სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას მიეძღვნა აგრეთვე სოფ. გურჯაანში მოწყობილი ღონისძიება, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საერებულოს წარმომადგენლები. გურჯაანის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოემის საღამო გ. გაბიძის დაბადებიდან 115-ე წლისთავთან დაკავშირებით. კაჩნაძიანისა და კახიფარის ბიბლიოთეკებმა ჩაატარეს ერთობლივი ღონისძიება თემაზე „ბავშვები ჩვენი მომავალი“. კაჭრეთის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება თემაზე „ადრე წასული კაცის ფიქრები“, რომელიც მიეძღვნა ლადო ასათიანის ხსოვრას. ჩუმლაყის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიგერატურული კომპოზიცია „გამაფხული, ქალი და სიყვარული“, ღონისძიებებმა დიდი სულიერი სიამოვნება მიანიჭეს დამსწრე სამოგადოებას. საინტერესო იყო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შემდგარი ლ. სონღულაშვილის წიგნის „სამყაროსა და სი-

ცოცხლის წარმოშობა“ პრემენტაცია. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს თ. ფანჯიციძემ, თ. კვაჭანტირაძემ, კ. ცარციძემ, ლ. ბაბუხაძიამ, დ. წიწვივაძემ, ლ. გოდელაშვილმა, ო. ჭილაშვილმა და სხვებმა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიბლიოთეკები გრადიციულად გამოირჩევიან მასობრივი ღონისძიებების ორგანიზაციით, შუახვევის საბიბლიოთეკო გაერთიანება (დირექტორი მ. თურმანიძე) ყოველთვის დროულად ეხმარება კვირეულს. შუახვევის სასოფლო ბიბლიოთეკები სისტემატიურად ივსება ახალი ლიგერატურით. გასულ წელს გამოცემლობა „აჭარამ“ საჩუქრად გადასცა ბოლო წლებში გამოცემული წიგნები ბრილის, დღვანის, მაწყვალთის, ოლადაურის, ტბეთის, წაბლანისა და სხვა სოფლების ბიბლიოთეკებს. კარგი ბაზა გააჩნიათ ფურტიოს, ნიგამეულის, ნენის, ინწვირვეთის, ხაბალაშვილების, ცინარეთის, ლომნაურის ბიბლიოთეკა-ფილიალებს. 6 მაისს გაიმართა საბიბლიოთეკო ქსელის მუშაკთა თათბირ-სემინარი, აქტიური ბიბლიოთეკები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა თემატური საღამო თემაზე „თავისუფლება თქვენით მოვიდა“. მოეწყო შეხვედრები მკითხვებთან, როგორც საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორთა მოადგილე ო. ფევაძე. აცხადებს, ბიბლიოთეკაში იმატა ახალგაზრდა მკითხველთა რაოდენობამ, ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ბიბლიოთეკა მათთვის საყვარელ ადგილად იქცა; ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი ღებულობს პერიოდულ გამოცემებს, ფონდი ივსება უახლესი ლიგერატურით.

ამბროლაურის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ც. ჯაფარიძე) კვირეული გაიხსნა 28 აპრილს. გახსნას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელი პირები, კულტურის სამსახურის წარმომადგენლები, ინტელიგენცია, მკითხველები. ბიბლი-



ოთეკაში მოწყობილი იყო გამოფენა „რაჭა ჩვენი საფიქრალი“. 6 მაისს სადმელისა და ბოსგანის ბიბლიოთეკა-ფილიალებმა (გამგეები ლ. დარახველიძე, ხ. ოშხერელი) ჩაატარეს ერთობლივი ღონისძიება – პოემიის საღამო,



რომელიც მიეძღვნა გ. გაბიძის შემოქმედებას. 7 მაისს საინტერესო ღონისძიება ჩაატარა სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკამ (გამგე მ. მახალდიანი). ლიგერატურულ საღამომე „სამშობლო ჩემი გულის ფეთქვა“ – პატარებმა წაიკითხეს ლექსები; ხვანჭკარის სასოფლო ბიბლიოთეკამ (გამგე ი. გაგოშიძე) ასევე ჩაატარა პოემიის საღამო, რომელსაც ბავშვები და ახალგაზრდები ესწრებოდნენ. შინაარსიანი იყო ჭრებალოს ფილიალში ჩატარებული შემოქმედ ბავშვთა შეკრება. კვირეული დაიხურა 12 მაისს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ამ დღეს მოეწყო მხატვარ ბესო კობახიძის ნამუშევრების გამოფენა. კვირეული შეაჯამა ბიბლიოთეკის დირექტორმა ც. ჯაფარიძემ, მანმადლობა გადაუხადა თანადგომისთვის პროუკავშირების თავმჯდომარეს სოსო ჭელიძეს და ახალგაზრდობის მთავარ სპეციალისტს კარლო ჭელიძეს.

ბორჯომის რაიონში ბიბლიოთეკები საგულდაგულოდ მოემზადნენ კვირეულის ჩასატარებლად (გაერთიანების დირექტორი ლეილა ჩაჩუა); მოეწყო გამოფენა „ქრისტეს ნაკვალევზე“, გამოუშვეს სპეციალური კედლის გაზეთი. 10 მასს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა შინაარსიანი ღონისძიება რელიგიის საკითხე-

ბზე. მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ბორჯომის ღვთისმშობლის ეკლესიის მოძღვარი მამა ანდრია, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მოძღვარი მამა არჩილი და ახალგაზრდა დიაკვანი მამა დავითი. საღამოს ესწრებოდა ბორჯომის რაიონის გამგებელი ვია გალახაძე. სიგყვით გამოვიდნენ: №1 სკოლის მეხუთეკლასელი ეკა გელაშვილი, ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნაირა ალხაბაშვილი, ლიცეუმის მოსწავლე ნატო ნანეგაშვილი, დები ეკა და მკვა გელაშვილები და სხვები... საღამოს ხალისს მაგებდა წმინდა ნიკოლოზის გაძრის მგალობელთა გუნდი. 30 მაისს ბიბლიოთეკართა დღის აღსანიშნავად ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება. რომელიც მიეძღვნა წარსულში ცნობილ ბიბლიოთეკარებს. მოგონებებით გამოვიდნენ: ლ. ჩაჩუა, ნ. ალხაბაშვილი, ი. ლურსმანაშვილი, ე. სულემანაშვილი, ნ. ჩაჩანიძე და სხვები. ბიბლიოთეკარებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა რაიონის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის უფროსმა ნანა ლორთქიფანიძემ. საინტერესო ღონისძიება ჩაატარა 31 მაისს ჩარხისწყლის ბიბლიოთეკა-ფილიალმა (გამგე ნ. ჩაჩანიძე), ბორჯომის საბიბლიოთეკო ქსელში ღონისძიებები სათანადო დონეზე გააშუქეს ადგილობრივმა გაზეთებმა. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ 2005 წელს ცენტრალურ ბიბლიოთეკას სტუმრობდა საქართველოს პირველი ლედი ქალბატონი სანდრა რულოვსი, რომელმაც ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად წიგნები და საოჯახო სურათები გადასცა.

მესტაფონის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ნ. კაპანაძე) ჩატარებული ღონისძიებები გამოირჩეოდა ქართული პოემიის თაყვანისმცემელთა სიმრავლით, ბიბლიოთეკართა აქტიურობით და მკითხველთა საზოგადოების აქტიური მონაწილეობით; ქართულ პოემიის გენიას, გალავგიონის დაბადებიდან 115-ე წლისთავს მიეძღვნა მე-3 საქა-

საქართველოს ბიბლიოთეკა



ლაქო ბიბლიოთეკაში ჩატარებული პოემიის საღამო. საღამო მიყავდა მ. კაპანაძესა და გ. გოგოლაშვილს. მსმენელთა მოწონება დაიმსახურა №3 სამუსიკო სკოლის მოსწავლის ირაკლი მაჩიგაძის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ლ. ღიბრაძე, ნ. მეგრეველი, მ და ქ. ნიქაბაძეები, ნ. პირველაშვილი, ლ. სარალიძე და სხვები. მის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვით მ. და ლ. პირველაშვილებს. ფართო მასშტაბის ღონისძიება ჩატარდა ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკაში, ეს იყო პოემიის საღამო, სადაც მოწვეულები იყვნენ ადგილობრივი პოეტები გ. აბულაძე, ი. შეყილაძე, ნ. ვაგოშიძე, ნ. ჩიტორელიძე, ლ. კუპრაძე, ლ. გიორგაძე და სხვები. ღონისძიება დაამშვენა მხატვრულმა ნაწილმა, ასევე წარმატებული იყო ზედა საქარის №19, ქვედა სამანოს №20, ტაბაკინის №14, ქვედა საქარის №36, ცხრაწყაროს №12, შრომის №27, სადგურ სვირის №6 და სხვა ბიბლიოთეკებში ჩატარებული მასობრივი ღონისძიებები. სა-

ინგერესო იყო მე-4 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება №4 საჯარო სკოლა-სთან ერთად. ეს იყო ლიტერატურული საღამო „ცოდნის ლამპარი“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები: კ. იობაშვილი, მ. ქავთარაძე, მ. ღვინჯილია და სხვები.

მცხეთის რაიონის გაღანის საკრებულოში შემავალმა ბიბლიოთეკებმა ერთობლივად ჩატარეს ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „ქალი სხივოსან-გვირგვინოსანი“. თემად აღებული იყო თამარ მეფის პერიოდი. მოისმინეს ისტორიულ თემამე შეთხზული პოემიის ნიმუშები: იოანე ჩახრუხაძის, იოანე შავთელის, შოთა რუსთაველის, არჩილ მეფის, გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის პოემი-ღან.

თერჯოლის საბიბლიოთეკო სისტემა (ღირე-ქტორი ნ. არეშიძე) საბიბლიოთეკო კვირეულს ატარებს მაღალ პროფესიულ დონეზე, ადგილობრივი ხელისულების წარმომადგენელთა აქტიური მხარდაჭერითა და მკითხველი საზოგადოების მონაწილეობით. 20-30 აპრილის კვირეულის პროგრამით ყველა ბიბლიოთეკაში ჩატარდამასობრივი ღონისძიებები; კვირეული-სათვის გარევეული თანხაც გამოიყო. კვირეულის პროგრამაში აქტიურად ჩაება კულტურის სამსახურის (უფროსი ლ. ბუსცივაძე), ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო უნიველური წი-



ვნების გამოფენა, წავითხეს ლექცია „წიგნი და მკითხველი“ (პელაგოგი რ. უსუფაშვილი). შინაარსიანი ღონისძიებები ჩაატარეს ზელა სიმონეთის, ქველა ალისუბნის, ნახშირღელის, თუმის, სარაიონო საბავშვო, კვახჭირის საშუალო სკოლის (ღირეჭორი ლ. ჩხივავძე. ბიბლიოთეკის გამგე ლ. ალფაიძე), ბარდუბნის (გამგე დ; სამანიშვილი) ბიბლიოთეკა-ფილიალებმა. ახალთერჯოლის ბიბლიოთეკამ (გამგე თ. გურული) ღონისძიებაზე მოიწვია ახალგაზრდები, ბავშვები. საუბარი შეეხო წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულებას. გელეფის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. გიორგაძე) ღონისძიების თემა იყო დავით აღმაშენებლის მეფობის მიმოხილვა. დამსწრეთ და ღონისძიების მონაწილეებმა გამოამჟღავნეს საქართველოს ისტორიის კარგი ცოდნა, რწმენა საქართველოს გაერთიანებისა. კვირეულის დროს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ მონაწილეობა მიიღო სპეციალურ პროგრამაში, რის შედეგად ბიბლიოთეკას გადაეცა 15 ეგვ. ძვირადღირებული წიგნი.

ბაღდათის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ (ღირეჭორი ალ. ყიფიანი) კვირეული გახსნა წითელხევის №1 ფილიალში (გამგე მ. ჯიხვაძე). საინტერესო ღონისძიება ჩაატარეს ფერსათის (გამგე ე. ებანოიძე), როხის (გამგე კ. გაჩეჩილაძე), წყალთაშუას (გამგე თ. ლელაძე), საკრავლას (გამგე ს. კინაველიძე), ობჩის (გამგე ფ. გოგლიჩიძე), ზანის (გამგე მ. მსხვილაძე) და სხვა ბიბლიოთეკა-ფილიალებმა. კვირეულის დახურვა შედგა 12 მაისს ჯ. ღვინჯილიას სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

მკითხველთა და სამოგადოების მოწონება დაიმსახურა **ს. აბასთუმნის (ადიგენის რაიონი)** ბიბლიოთეკა-ფილიალში ჩატარებულმა ღონისძიებამ; მას უძღვებოდა ბიბლიოთეკის გამგე მ. დემეტრაძე. მოხსენებათა თემატიკა იყო ივ. მაჩაბლისა და ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბელის ცხოვრება და შემოქმედება, მათი ურთიერთობა მარჯორსა და ოლივერ უორდროპე-

ბთან.

ჭიათურის ცენტრალურ ბიბლიოთეკას (ღირეჭორი აზა ბიწაძე) დიდი ხანი არაა, რაც 70 წელი შეუსრულდა. ბევრი საინტერესო ღონისძიება გაიმართა სისტემის ბიბლიოთეკებში. მე-4 საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო თემატიკური საღამო რელიგიის საკითხებზე (გამგე ნ. ცყემალაძე), ნიგომეთის №28 ბიბლიოთეკაში (გამგე ი. ცყემალაძე), წყალშვის, მერევის, რგანის, ზოდის, გელაუბნის, ითხვისის, თაბაგრეთის სასოფლო ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებების გამოირჩეოდა თემატიკის სიმრავ-



ლით, შინაარსით, ამ ღონისძიებების ორგანიზატორები იყვნენ ბიბლიოთეკარები: ფ. ჯოხაძე, ც. ბაკურაძე, ლ. ყიფშიძე, ნ. გურული, ბ. კაპანაძე, გ. მუმლაძე, მ. გოცაძე, თ. ჯაფარიძე და სხვები.

ხალხმრავლობა იყო ცენტრალური ბიბლიოთეკის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა, ვეტერანმა მუშაკებმა, კულტურის მუშაკთა პროფკავშირებმა. ამ დღეს ქალაქის ბევრი ბიბლიოთეკარი დაჯილდოვდა საპატიო სიგელებით. ღონისძიება, რომლის მომზადებაში დიდი ამაგი მიუძღვის ბიბლიოთეკებს, მოსწავლეებს, მკითხველებს, ატარებდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის ხასიათს. ეს იყო კვირეულის დასვენებითი

ლონისძიება, რომელიც 4 მაისს გაიმართა.

ასპინძის საბიბლიოთეკო გაერთიანება (დირექტორი ი. ბერიძე) ატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომელშიაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მკითხველთა ინტერესი. ბიბლიოთეკა-ფილიალებში მოეწყო საბავშვო დილები, პოეზიის საღამოები, წიგნის განხილვები, გამოფენები, გაფორმდა პლაკატები. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკარებმა: ქ. დავლაშერიძემ, თ. ლონდარიძემ, კ. მოსიძემ, ა. ფირფირაშვილმა; მოსწავლეებმა: ე. ნადიბაიძემ, ო. მერაბიშვილმა, მ; და თ. თურქაძეებმა, აქტიურმა მკითხველებმა: მ. ცინაძემ, ე. წითლანაძემ, მუსიკოსებმა: გ. ბაბაძემ, ლ. თარხნიშვილმა და სხვებმა.

ერედვის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ც. ლაბარიაშვილი) კვირეული გაიხსნა 28 აპრილს. ამ დღეს ბიბლიოთეკარებმა ისაუბრეს წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულების შესახებ, მეორე დღეს მოეწყო იშვიათი წიგნების გამოფენა. 30 აპრილს, დასვენით ღონისძიებაზე ბიბლიოთეკაში მოეწყო პენსიაზე გასულ ბიბლიოთეკართა გაცხილება.

კვირეულს ყოველთვის აქტიურად ეხმაურებიან თბილისის უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკები. ამ მხრივ გამოირჩევა ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (დირექტორი გ. სგურუა), სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (დირექტორი ლ. ქუთათელაძე), თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა (დირექტორი მ. რაზმაძე); 4 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფოიეში მოეწყო უნიკალური წიგნების გამოფენა; საინტერესო იყო სტუდენტთა და უნივერსიტეტის თანამშრომელთა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა; ამავე დღეს მოეწყო შეხვედრა პოეტებთან. გაიმართა კ. კიკლაშვილის წიგნის „გარდასულ დღეთა მოგონებები“ პრეზენტაცია. სტუმრებმა, ასოციაციის

გამგეობის წევრებმა ილაპარაკეს თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დღევანდელ მდგომარეობაზე.

4 მაისს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ყოფილ პედაგოგიურ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (დირექტორი ი. ღარიბაშვილი) მოეწყო ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის პროგრამის (ხელმძღვანელი ი. ფილაური) ერთობლივი კონფერენცია თემაზე: „წარსული და აწმყო“. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა, კათედრის წევრებმა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ილაპარაკეს უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო ბიბლიოთეკის როლსა და მნიშვნელობაზე უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესში. ხაზი გაუსვეს იმ ბიბლიოთეკართა და ბიბლიოთეკათმცოდნეთა ღვაწლს, რომლებმაც ამ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მისცეს დღევანდელი სახე.

2 მაისს **სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის** სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შედგა გერმანიის საელჩოდან მიღებული წიგნების პრეზენტაცია. მეორე ღონისძიება შეეხებოდა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ელექტრონულ ვერსიის შექმნას. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრებმა.

კვირეულის პერიოდში თბილისის ყოფილ **ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში** ჩატარდა თარგმნის საღამო, განხილული იყო ედგარ პოს ქართული თარგმანები (მომხსენებელი ლელა ებრაღიძე); ამერიკელ ინდოელთა ხალხური პოეზიის ქართული თარგმანები დამსწრეთ გააცნო ნანა გურულმა.

საინტერესო იყო უმაღლესი სასწავლებლებისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული სამსახურის მიერ ორგანიზებული სემინარი-შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა ბი-

ბლიოგრაფიული მუშაობის აქტუალურ საკითხებს. ვადაწყდა, შეიქმნას ბიბლიოგრაფთა საბჭო, რომელიც შემდგომში კოორდინაციას გაუწევს ბიბლიოგრაფიულ მუშაობას უმაღლეს სასწავლებლებში.

ისევე, როგორც წინა წლებში, მიმდინარე კვირეულის დროს საჩვენებელი ღონისძიებები ჩატარდა თბილისის სასკოლო ბიბლიოთეკებში.

13 აპრილს თბილისის მე-11 საჯარო სკოლაში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თ. დარსალია, ბიბლიოთეკარები ლ. შონია. ე. თაყნიაშვილი) მოეწყო 9 აპრილისადმი



მიძღვნილი ღონისძიება „ეკა ბეჟანიშვილის გახსენება“. ღონისძიებას ესწრებოდა ეკა ბეჟანიშვილის დედა, ეროვნული ბიბლიოთეკის მეთოდისგები. მოსწავლეებმა წაიკითხეს ა. კალანდაძის, ჯ. ჩარკვიანის, ნ. ჯალალონიას, თ. ებანოიძის და სხვათა ლექსები. ლექსებს კითხულობდნენ მოსწავლეები: ნ. გოგოლაძე, მ. ქსოვრელი, ნ. მინდიაშვილი, მ. არსენიძე,



ქ. ნამგალაური და სხვები. ამავე სკოლაში 19 აპრილს ჩატარდა მეორე ღონისძიება „ჩვენ ვსწავ-ლობთ ვეფხისგყაოსანს“. პოემის ადგილები ბეჟირად წაიკითხეს მოსწავლეებმა ა. სალაძემ, თ. ჩაფიძემ, დ. პანამარენკომ, დ. სიმონიანმა და სხვებმა. მოსწავლეებს მაღლობა გადაუხადა დირექტორის მოადგილემ ლ. კვარაცხელიამ და თვითონაც წაიკითხა ნაწყვეტები პოემიდან ქართულ და რუსულ ენებზე.

კვირეულის პროგრამით ყოველთვის საინტერესო ღონისძიებებს ატარებს თბილისის 182-ე საშუალო სკოლა (დირექტორი გ. ღამბაშიძე, ბიბლიოთეკარი ნ. ასთავიშვილი-გოგოხია). 28 აპრილს სკოლაში გაიმართა ლიტერატურული დღია „გიყვარდეს წიგნი“. ბავშვებმა წარმოადგინეს თავიანთი შესაძლებლობები წიგნის ცოდნასა და მუსიკალური ნომრების შესრულებაში. მოწონება დაიმსახურეს მოსწავლეებმა: მ. ბარბაქაძემ, ნ. კუპრეიშვილმა, მ. ქარქაშაძემ, ხ. მამფორიამ, ე. დარჯანიამ, თ. გაბაგაძემ და სხვებმა. წიგნისადმი დიდი სიყვა-



საქართველოს ბიბლიოთეკა

რული გამოამდგინეს მოსწავლეებმა: ა. პეგრი-აშვილმა, ნ. ღონლაძემ, ხ. კობახიძემ. გ. ხეხე-ლაშვილმა და სხვებმა. მუსიკალური ნომრები შეასრულეს გ. ხელაშვილმა, ლ. ბაიაშვილმა. ბიბლიოთეკისა და წიგნის შესახებ საინტერესოდ ილაპარაკეს მოსწავლეებმა: ა. პეგრიაშვილმა, ხ. კობახიძემ, ნ. ღონლაძემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის მეთოდისტი თ. იოსავა, დირექტორის მოადგილე ლ. ტაბაგაძე და სხვები. ღონისძიებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ბიბლიოთეკის გამგის ნ. ასათაყიშვილი-გოგობიას ორგანიზატორული შესაძლებლობები და პროფესიონალში.

14 მაისს ასევე შინაარსიანი ღონისძიება ჩაატარდა თბილისის სკოლა-პანსიონატ „მომავალში“. ღონისძიება მიეძღვნა თამარ მეფის ეპოქის მიმოხილვას. ღონისძიების ინიციატორი იყო პედაგოგი ნ. ბაბუციძე. საღამომე



ცხლეს ვაქას პოემის ეპიზოდები, რომლებსაც ენაცვლებოდა ფშავეური და ხევსურული სიმღერები. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუსიკალური სახლის დირექტორი ხ. კახიძე, 21-ე საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე ქ. ბაქარეიშვილი, 144-ე სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ლ. გოგია, ისნის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ხ. დანელია, ღონისძიების ორგანიზატორი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბიბლიოთეკის გამგე მ. მალრაძე.



გამომქდავდა ეროვნული გრადიციებისადმი პატივისცემა, პოემის დიდი სიყვარული, საქართველოს ისტორიის ცოდნა. ღონისძიებაში მონაწილეობდა ეროვნული ბიბლიოთეკის მეთოდისტი თეა იოსავა.

11 აპრილს, თბილისის მთაწმინდა-კრწანის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ბიბლიოთეკამ ჩაატარა ლიტერატურული საღამო. სალონის წევრებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ნისლი ფიქრია მთებისა“, რომელიც მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. მოსწავლეებმა გააცო-



ემჯლომარის მოადგილე ა. ბუაძე და სხვა პასუხისმგებელი პირები. ამ სკოლაში სწავლობენ ქართველები, რუსები, ამერბაიჯანელები, პოლონელები, ასირიელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები, უკრაინელები. სწორედ სკოლის ასეთმა ინტერნაციონალურმა ხასიათმა განსაზღვრა შეხვედრისადმი დიდი ინტერესი. ქალბაგონი სანდრა შეხვედრაზე მობრძანდა მშობლებთან ერთად, რომლებიც მოხიბლულნი იყვნენ სკოლაში მოწყობილი ჰოლანდიური კუთხით. შეხვედრას თავისებურ ელფერს სძენდა მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ენებზე წარმოდგენილი მხატვრული ნომრები. პედაგოგთა რაიონული ასოციაციის სახელით ქალბაგონი სანდრა რულოვს გადასცეს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მედალი. პრემენტაციამ წარმოადგინეს სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ ინგლისურ ენაზე. პრემენტაციაზე წარმოდგენილი წიგნი „იდეალისგის ნაამბობი“ თარგმნილია რუსულ, უკრაინულ და თურქულ ენებზე. აქვე მოეწყო ამ წიგნის გამოფენა-გაყიდვაც. ღონისძიება სათანადოდ გააშუქეს გამეთებმა „სახალხო განათლებამ“, „სვობოდნაია გრუბიამ“, „ვეჩერნი თბილისმა“, გამოუშვეს სპეციალური სასკოლო გამეთი „რწმენა მომავლისა“.

კვირეულის დღეებში გამოცოცხლება იგრძნობოდა **ქ. რუსთავის სკოლების ბიბლიოთეკებში**. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, ჩვენი ქურნალის რედაქციასთან. 19 მაისს ქ. რუსთავის 25-ე საჯარო სკოლაში (ბიბლიოთეკის გამგე ნ. მამიაშვილი) მოეწყო თემატურ-მხატვრული საღამო. მოსწავლეებმა ქ. ოდიშელიძემ, გ. გოშაძემ, თ. ვარდიაშვილმა, შ. ყულოშვილმა, თ. შუბითიძემ, მ. პაპიაშვილმა, ნ. კილაძემ და სხვებმა საინტერესოდ ისაუბრეს ქართული წიგნის, მწიგნობრობის, ბიბლიოთეკის მნიშვნელობისა და სხვა პრობლე-



მებზე. მხატვრული ნომრები წარმოადგინეს მოსწავლეებმა: ლ. ბირკაიამ, ს. ძმანაშვილმა, მ. ვარდიაშვილმა, შ. ბერიძემ, თ. ქლენგმა, ი. ჩადუნელმა, ნ. მიშველაძემ, გ. ბახტურიძემ და სხვებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის დირექციისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრები.

კვირეულის დახურვა გაიმართა 5 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; დახურვას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექცია, მკითხველი მეცნიერ-მუშაკები, თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების პასუხისმგებელი პირები.



კვირეულის დახურვას დაესწრო და ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ქალბაგონმა ნინო ბურჯანაძემ. პარლამენტის კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გრიგალაშვილმა ისაუბრა ბიბლიოთეკართა სო-



ციალურ მდგომარეობის შესახებ. კვირეულის დახურვაზე ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა წარმოადგინეს ბიბლიოთეკის ელექტრონული მონაცემთა ბაზები „ქართული წიგნის ელექტრონული კატალოგი (ლ. თაქთაქიშვილი), „ბეჭდური გამოცემების ელექტრონული არქივი“ (გ. აფრიდონიძე), „აღამიანის უფლებათა ციფრული ლექსიკონებისა და სამოქალაქო განათლების ვირტუალური ბიბლიოთეკის პროექტი“, (გ. კილაძე); დახურვას უძღვებოდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია პრეზიდენტი ი. ღარიბაშვილი. დახურვა დასრულდა ბიბლიოთეკარებისთვის სიგელებისა და ფულადი ჯილდოების გადაცემით. ქ. თბილისის მერიამ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და განათლებისა და კულტურის პროფკავშირებმა ჯილდოები გადასცეს 14 ბიბლიოთეკარს. (დახურვის



შესახებ ნაწილობრივ ინფორმაცია მოცემული იყო წინა ნომერში).



მიმოხილვა მოაშშადა გ. თაყნიაშვილმა გამოყენებულია ინფორმაციები, რომლებიც მოგვაწოდეს: ლ. ამირხანაშვილმა, ნ. ბურუკურმა, ლ. გელაშვილმა, ნ. გოგაგიშვილმა, ლ. მასეიშვილმა, ნ. კახიძემ. მ. ლობჯანიძემ, ნ. მაზიაშვილმა, ლ. ჩხარგიშვილმა, მ. ცხადაძემ, ლ. ქუმელაშვილმა და სხვებმა. რედაქცია მადლობას უძღვნის მათ თანამშრომლებისათვის.





ქეთევან გრიგალაშვილი

აღმოუფხვრელი ძმობის ფესვი



სურამში, მინდისისაკენ მიმავალ გზაზე, ახოვანი მუხებისა და ფიჭვების ძირში, მწვანეში ჩაფლულა მშვენიერი ერთსართულიანი შენობა, ლესია უკრაინკას ბიბლიოთეკა-მუზეუმი, რომელიც 1952 წლის 3 აგვისტოს საბეიმოდ გაიხსნა უკრაინული პოემიის დედოფლის უკვდავსაყოფად.

ისტორიას უყვარს უცნაური პარალელები. დავით გურამიშვილის მირგოროდში გარდაცვალებიდან ზუსტად 121 წლის შემდეგ, 1913 წლის 1 აგვისტოს საქართველოში, სურამში გარდაიცვალა უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა.

ამ ორი დიდი პოეტის სახელი იქცა ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ, მეგობრობისა, რომელიც დღესაც გაუხუნარი ფერებით ბრწყინავს.

ისტორიულმა ბედმა სამუდამოდ დაუკავშირა ერთმანეთს უკრაინული და ქართული მიწა, ლესია და დავითი, სურამი და მირგოროდი, თანაბარი სიყვარულით რომ ცოცხლობს ხალხის გულში.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით, 2006 წლის 16 მაისს ბიბლიოთეკა-მუზეუმში ჩაგარდა სურამის

ზონის ბიბლიოთეკების ერთობლივი ღონისძიება „აღმოუფხვრელი ძმობის ფესვი“, რომელიც მიეძღვნა დავით გურამიშვილის საიუბილეო დღეებს. მიზანი კი უცვლელია – ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობა გრძელდება ლესია უკრაინკასა და დავით გურამიშვილის პოეზიაში.

სურამში მე-3 საშუალო სკოლა ლესია უკრაინკას სახელობისაა.

სკოლის მოსწავლეებისათვის უცხო არ არის დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას შემოქმედება და მათი ბიოგრაფია. პროგრამაში შედიოდა ლიტერატურულ-მუსიკალური შოუ „ლამისყანიდან-მირგოროდამდე“. მოსწავლეებმა წარმოადგინეს დავით გურამიშვილის ლი-



გერატურული კომპოზიცია თემაზე: „ლამისყა-
ნაში დავკარგეთ და მირგოროდში გიპოვეთ“,
და ლესია უკრაინკას ლიტერატურული კომპო-
ზიცია „იმედღავარგულს მინდა იმედი, შორს, სე-
ვდიანო ფიქრებო ჩემო“.

მუსიკისა და ლექსების ფონზე მოსწავლეებმა
წარმოადგინეს ნაციონალური განსაცმელები
და გააცოცხლეს ლესია უკრაინკასა და დავით
გურამიშვილის ნაწარმოებების გმირები. მო-
ეწყო გამოფენა.

დავით გურამიშვილი და ლესია უკრაინკა
– ეს ორი გიგანი, გვევლინება მეგობრობის ხი-
ლის ბურჯად.

ქართული მიწიდან წავიდა უკვდავებაში ლე-
სია უკრაინკა, უკრაინის მიწაზე შეიძინა უკვდა-
ვება დავით გურამიშვილმა. ქართველი ხალხის
სიყვარულმა ათქმევინა ლესიას „მე რომ უკრა-
ინელი არ ვიყო, ვისურვებდი რომ ქართველი
გყოფილიყავი“.

ბიბლიოთეკა-მუზეუმის თანამშრომლები
და სურამის მე-3 საშუალო სკოლის კოლექტივი

პროპაგანდას უწევს უკრაინულ ლიტერატურას,
ხელოვნებასა და ისტორიას, რაც კიდევ უფრო
აახლოებს უკრაინულ და ქართველ ხალხს
ერთმანეთთან. მინდა ვახტანგ გორგანელის
ლექსით დავამთავრო:



„თქვენ გურამიშვილს გაუღეთ კარი,
ჩვენ აქ გავუღეთ გული ლესიას,
მათი უკვდავი ლექსების ბჭკარი
აღმოუფხვრელი ძმობის ფესვია“.



იუბილე

დარეჯან კოტეგიშვილი

ოთარ კასრაძე-80



მიმდინარე წელს 80 წელი შეუსრულდებოდა.
ამ ასაკშიც ენერგიულად მოღვაწეობენ ადამი-
ანები, მაგრამ ვაი, რომ ის მხოლოდ 62 წლისა
იყო, როდესაც 1988 წელს გარდაიცვალა. მიუხე-
დავად ამისა, იმდენის გაცეთება კი მოასწრო,
ერთ დიდ ცხოვრებას რომ შეეფერება.

ოთარ კასრაძე 1926 წლის 15 იანვარს და-
იბადა თბილისში. მამა – ვასილ ილარიონის
ძე უაღრესად განათლებული და დახვეწილი
ინტელიგენტი იყო. მართალია, უმაღლესი არ
დაუმთავრებია, თბილისის სათავადაზნაურო

გიმნაზია დაასრულა, მაგრამ იმდროისთვის ეს
ძალიან დიდ ცოდნას იძლეოდა. დედა – ოლღა
თეოდორეს ასული სეხნიაშვილი, რომელსაც
ქალთა ეპარქიული სასწავლებელი ჰქონდა და-
მთავრებული, მთელი ცხოვრების მანძილზე
პედაგოგად მოღვაწეობდა და დამსახურებული
მასწავლებლის წოდება ჰქონდა მინიჭებული.
ოთარს ბავშვობიდან გარს ერტყნენ უაღრესად
განათლებული ადამიანები – სწავლულები, ექი-
მები, მწერლები – ნათესავები და ახლობლები.
ცნობილი მწერალი დავით კასრაძე მისი ალალი

ბიძა იყო. ამ მხრივ მას ბედმა გაუღიმა, მისი თანაგოლები, ამხანაგები, მთელი თაობა, ვისთანაც მას უხდებოდა ცხოვრება, შემდეგში ყველანი ცნობილი ადამიანები დადგნენ. მისი მეუღლე – ქალბატონი ციციხო მასთან ერთად ჰარმონიული ოჯახის დიდებულ გრადიციებს იცავდა და ქმნიდა. პაპიდან მოყოლებული, უმრუხველად არავის უცხოვრია, მხოლოდ შრომით, კეთილსინდისიერი მუყაითობით აშენებდნენ თავიანთ სულიერ სამყაროს, სადაც ჰუმანურობა, განათლებულობა, რაინდული სული და დიდბუნებოვანი ქალაქური სათნოება სუფევდა, სადაც მოხვეჭა და ფუფუნება, ქონებრივი სიმდიდრისადმი მიდრეკილება ვერასოდეს ავლენდა თავს და მხოლოდ სულიერი მოთხოვნილებები დამკვიდრებულიყო.

სკოლა 1942 წელს დაამთავრა. ბავშვობიდანვე თეატრალური ხელოვნება იზიდავდა. სწავლის პროცესში აქტიურად მოღვაწეობდა სკოლის დრამწრეში, რომელშიც გაერთიანებული იყო შემდგომში არაერთი ცნობილი ხელოვანი, სწორედ ამან გადააწყვეტინა, იმავე წელს კინოსტუდიის სამსახიობო სასწავლებელშიც დაეწყო სწავლა. ოჯახური პირობების გამო იძულებული იყო 3 წლის შემდეგ გაენებებინა თავი აქ სწავლისათვის და მხოლოდ უმაღლესი დაემთავრებინა, რომელშიც ის პარალელურად ეუფლებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1949 წელს მიიღო რა დიპლომი, ახალგაზრდა სპეციალისტი ცხოვრებაში თავისი ადგილის ძიებას შეუდგა. 1951 წელს მოეწყო გაზეთ „ბოლშევიტსკაია პუტიოვკას“ ამიერკავკასიის რეინიგმის სტამბაში კორექტორად. აქედან დაიწყო მისი სამოღვაწეო ასპარეზი საგამომცემლო და პოლიგრაფიულ დარგში. სხვადასხვა დროს კორესპონდენტად მუშაობდა გაზეთების „სტალინური ლოკომოტივის“, „რეინიგმელის“ რედაქციებში, მთარგმნელობით მოღვაწეობას

ეწეოდა გაზეთ „ქელემნოლოროქნიე ბავკავკაში-ამი“. ოთარ კასრაძემ მალე გამოიჩინა თავი როგორც ორგანიზატორმა, წიგნის საქმის დრმა მცოდნე სპეციალისტმა. სავსებით ახალგაზრდა დაინიშნა ამიერკავკასიის რეინიგმის სტამბის დირექტორად, 1964 წლიდან კი გადადის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ უფროს რედაქტორად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ. სხვადასხვა დროს განაგებდა გამომცემლობის განყოფილებებს, იყო მთავარი რედაქტორის მოადგილე, ამავე დროს შეთავსებით მოღვაწეობდა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტად, აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის წევრად. 1982 წლიდან გადადის გამომცემლობა „ხელოვნებაში“ მთავარ რედაქტორად. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მან მოღვაწეობა თბილისის ა.ს. პუშინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე პროფესორად.

ოთარ კასრაძის მოღვაწეობის ყოველ ეტაპზე განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საკვლევო ძიებო ინტერესებს. მისი შესწავლის საგანს ძირითადად ქურნალისტიკისა და წიგნმცოდნეობის საკითხები წარმოადგენდა. წარმატებით დაიცვა მან როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაცია და სიღრმისეულად შეუდგა მოღვაწეობას სამეცნიერო სარბიელზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი სადოქტორო ნაშრომი „ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი და მისი ლიტერატურული საგანმანათლებლო მნიშვნელობა (XVII-XVIII სს)“. მართალია, ქართული ნაბეჭდი წიგნების შესახებ უკვე არსებობდა გამოკვლევები, მაგრამ ამ სიღრმითა და ამ კუთხით არა. მან ხელი მოვიდა საქართველოში ჯერ კიდევ საფუძვლიანად შეუსწავლელ თემატიკას, როგორც იყო ქართული



წიგნის სასტამბო-საგამომცემლო საქმე და მისი ისტორია. შეიძლება ითქვას, ამ მიმართულებით კვლევის ერთ-ერთ პირველ წარმოადგენდა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სპეციალობის განვითარებას და მისი პრობლემების ღრმა მეცნიერულ დამუშავებას. მისი კვლევის არეში შედიოდა ქართული წიგნის ისტორიის ფუნდამენტური საკითხები ცალკეულ ეტაპებზე: ქართული შრიფტის ისტორია, წიგნაბმულობა, სტამბების მოღვაწეობა, გამოჩენილი სასტამბო მოღვაწეები, უცხოეთში დაბეჭდილი ქართული წიგნები. მან მრავალ ბუნდოვან საკითხზე მიაპყრო ჩვენი ყურადღება, შესანიშნავი ნარკვევები შექმნა: „საჩხერის სტამბაში სოლომონ მეორის ყალბი ბეჭდის მოჭრის შესახებ“. „ვინ იყო ვახტანგ მეექვსის დამხმარე „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვაში“, „პეტერბურგის ქართველოლოგთა საგამომცემლო მოღვაწეობა“, „მოსკოვში დაბეჭდილი ძველი ქართული წიგნები“ და სხვ.

ო. კასრაძეს არაერთხელ გამოუთქვამს გულისტვიფილი იმის გამო, რომ ქართული წიგნმცოდნეობა ვერ იდგა სათანადო დონეზე, რომ ქართველი სტუდენტებისთვის არ არსებობდა სახელმძღვანელო წიგნის ისტორიაში, ჩვენი მეცნიერები ნაკლებად ინტერესდებოდნენ ამით.

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე მისი მოსვლისთანავე ჩამოყალიბდა კოლეგებს შორის კარგი შემოქმედებითი ურთიერთობა; ყოველ მხრივ ცდილობდა დახმარებოდა, ხელი გაეშალა მათთვის, ვინც ამას საჭიროებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველივე მალე შეწყდა მისი მძიმე ავადმყოფობის გამო. დიდხანს არ უმოღვაწია ჩვენს კათედრაზე; მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა ისევე, როგორც მეცნიერულ ასპარეზზე. მისი მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები და პუბლიცისტური წერილები გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით. ამრის სიცხა-

დით, საკითხისადმი ღრმა წვდომით, სიახლით, წერის დახვეწილი მანერით. გამოცემული აქვს მრავალი სტატია და მონოგრაფია. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სწორედ ისინი, რომლებიც წიგნის საქმესა და ისტორიას შეეხება. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მონოგრაფიები: „ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები“ (1973), „ქართული წიგნის ბეჭდვის კერები“ (1980), „კრიტიკული ნარკვევები“ (1968). ცალკე უნდა აღინიშნოს მისი ბოლო ნამუშევარი „ნარკვევები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან“ (1997), რომელიც მისი ნაღვაწის ერთგვარ შემაჯამებელ გამოცემას წარმოადგენს, რამე-დაც ავტორმა გულმოდგინედ იმუშავა, მაგრამ სამწუხაროდ, ის თვითონ ვეღარ მოესწრო მის გამოქვეყნებას. ამ მონოგრაფიების გარდა, მას, როგორც მრავალმხრივ განათლებულ მეცნიერს, არაერთი წიგნი აქვს გამოქვეყნებული ფილოლოგიის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების, პუბლიცაციებისა და ხელოვნების მოღვაწეთა შესახებ. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „კოგე მარჯანიშვილი“, „გარეჯი (ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი)“, „მცხეთის ჯვარი (ისტორიული ნარკვევი)“, „კვალი ნათელი კაცისა (ლადო მესხიშვილი)“, „ცხოვრება სერგეი მესხისა“, „აქვსენგი ცაგარელი“, „ლადო მესხიშვილი (თეატრალი, რევოლუციონერი)“.

ოთარ კასრაძე უაღრესად ენერგიული, დაუღეგარი პიროვნება იყო. დაუღალავად შრომობდა, მონდომებით ასრულებდა სამოგადო საქმეს, ახასიათებდა ორგანიზაციული ნიჭი, რასაც თან ერთვოდა მისი მეცნიერულ-შემოქმედებითი უნარი. ყოველივე ეს შენივთებული იყო მის პირად ღირსებებთან. ყველაფერი მიუღებლის მიმართ შეურიგებელი და დაუნდობელი, უაღრესად გულთბილი, მოგრძალებული და მეგობრული გრძნობით აღსავსე იყო. ოჯახის, ნათესავ-მეგობართა ერთგული და შემწე.

მზად იყო, ყველას დახმარებოდა, ყველასთვის გაეწვდინა ხელი. გარეგნულადაც, ქცევით და მეტყველებით დიდ სიმპატიებს იმსახურებდა, შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა და დამარწმუნებლობის უნარით გამოირჩეოდა.

ვინ იცის, რამდენი მშვენიერი იღვა, ჩანაფიქრი, რამდენი გეგმადარჩა განუხორციელებელი, მაგრამ ის, რაც მან შექმნა და გააყვითა, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მას ქვეყნისთვის ვალმოსხიდილ აღამიანად ეგრძნო თავი.



ზუმრუდ გოდერძიშვილი

პარმენი, მემბრანა-

(ფიქრები დგაწლმოსილ შემოქმედზე)



პარმენ ლორია – 110

პარმენ ლორია (1896, 30 ივლისი – 1978, 8 მარტი) – ქართველი მწერალი და სამოგალო მოღვაწე. პირველი ნაწარმოები „კერპი ქვეყნად“ 1920 წელს გამოქვეყნდა. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, რაც ასახული აქვს ავტობიოგრაფიულ რომანში „ღამიდან ღამემდე“ (იგივე „ვბები და ბილიკები“). ომიდან დაბრუნებული, ჩაღვა ქართული არმიის რიგებში და იბრძოდა საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის არმიის წინააღმდეგ, შემდეგ კი

ასკერებთან ბრძოლა მოუწია, რომლის დროსაც დაგყვევეს, რასაც თავი ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ დააღწია. დემობილიზებული, ქალაქ ბათუმში დაქვიდრდა, სადაც მთელი ცხოვრება გააგარა. მუშაობა დაიწყო სახალხო მილიციაში, მალე მუშათა პროფკავშირებში გადავიდა და კლუბებს ხელმძღვანელობდა, უძღვებოდა აგიტბრიგადებს, რომლებიც აჭარის მთიან სოფლებში მართავდა წარმომდგენებს, ხელს უწყობდა აქ ქართული ლიგერაგურისა და კულტურის დაქვიდრებას, ეწეოდა საგანმანათლებლო მუშაობას. 1932-52 წწ-ში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პ/მგ. მდივანი. 1936 წ. გამოაქვეყნა რომანი „ჩაი“, რამაც მას ერთბაშად მოუგანა პოპულარობა, 1939 წ. გამოდის მისი რომანი „ღელი მურადი“ (იგივე „განთიადი ხევში“), რომელსაც მოჰყვა „მეველდი“ (1941) და „საუკუნის დაბადება“. მის კალამს ეკუთვნის უკვე შემდეგ წლებში შექმნილი რომანები: „ალისფერი დილა“, „ნაირა“, „გაღლები“, „მალაროებში“, „შვილები“, „საიმელო მომევალი“, „ჩემი პაგარა ოჯახი“, „ერთი დიდი საუკუნე“ და სხვ. მოთხრობების კრებულები: „ფრონტზე და მურგში“, „დაბადების დღე“, „კვალა-კვალ“ და სხვა. პარმენ ლორია წარმატებით მოღვაწეობდა დრამატურგიაშიც. მისი ავტორობით დაიდგა პიესები: „მეგობრობა“, „დინარა“ და რომანების – „მეველდისა“ და „განთიადი ხევში“ ინსცენირებები, აქტიურად მოღვაწეობდა პერიოდულ ორგანოებში. მისი პუბლიცისტური ნაშრომები გამოირჩეოდა აქტუალობითა და სიმძაფრით.

„ქართველმა ხალხმა სიგყვავამულ მწერლობას განსაკუთრებული მისია დააყისრა – იგი ერის წინამძღოლად აღიარა. ეს განაპირობა ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ. „ჩვენს ერს ხშირად და დიდხანს უხდებოდა ცხოვრება ნაციონალური ხელისუფლების, დამპყრობლის უღელქვეშ. ისეთ პირობებში ორად ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას, ქრისტიანული რელიგია და მწერლობა“ (ავაგი ბაქრაძე. მწერლობის მოთვინიერება. თბ. 1990. გვ. 3). ასე განსაზღვრა ცნობილმა მოამროვნემ ავაგი ბაქრაძემ მწერლის, როგორც პროგრესული პიროვნების როლი საზოგადოების ცხოვრებაში, და მართლაც, მხოლოდ მწერლის, ბელეგრისტის შემოქმედება დგას ხალხის ისტორიული წარსულის, აწმყოს ცხოვრებისეული მღელვარების, მომავლის საიმედო ვარაუდის ნიშანსვეცად. მხოლოდ მწერალს შეუძლია მიუჩინოს თავისი ადგილი არა მხოლოდ ეპოქალურ მღელვარე კატაკლიზმებს, არამედ პიროვნებასაც, რომელიც ქმნის ეპოქის კლიმატს, მონაწილეობს ეპოქალურ ძვრებში, არის ერის წინამძღოლი და მისი სულიერი ცხოვრების მოძღვარი.

მხატვრული ლიტერატურა ყოველთვის ქმნიდა დიდი გილოების პალიგრას, იგი წვდებოდა ცხოვრების ლაბირინთებს, ეცნობოდა ცხოვრების ლანდშაფტს, წარმოადგენდა ქართველი ხალხის სულიერ საზრდოს.

ქართველი მწერლები – პროზაიკოსები, ყოველთვის ქმნიდნენ ცხოვრებისეულ ნაწარმოებებს. შემოქმედებითი მრავალფეროვნება იყო ის დიდი პანორამა, რომელმაც აისახებოდა გარდაცხების, დიდი ქარიშხლიანი ძვრების ქრონიკები. ქართულმა მწერლობამ შემოგვიწახა კრწანისი, დიდგორი, მარაბდა, როგორც ისტორიული წარსული ქართველი ხალხისა, ასევე ქართული მწერლობა შემოინახავს აუხაბეთის, გამიშის, სისხლიან ქრონიკებს, და თაობებს გადასცემს. წინა საუკუნის ისეთი თხზულებანი,



როგორც არის „ბათა ქექია“, „გვალი ბიგვა“, „ოქროს ჩარდახი“, „ჩაი“. „განთიადი ხევი“ და სხვა სიგყვავამული მწერლობის ეტალონად გვევლინებიან და ასახავენ ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული სულიცვეთებით დამკვიდრებისათვის.

„ნიჭიერება, განათლებულობა, შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა ისეთი თვისებებია, ურომლისოდაც ღირებული მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები არ შეიქმნება, ურომლისოდაც მწერალი თანამედროვეებზე ზეგავლენას ვერ მოახდენს, ვერც შთამომავლობას დაუტოვებს ადგილს ერის სულიერ ცხოვრებაში“ (ავ. ბაქრაძე, „ნივო ნივოლაძე. თბ. 1990. გვ. 66).

ასეთ გამორჩეულ მწერალთა რიცხვს ეკუთვნობდა ცნობილი ქართველი რომანისტი პარმენ ლორია. მისი შემოქმედებითი დიაპაზონი მოიცავდა გასული საუკუნის დასაწყისის ისტორიულ ძვრების მთელ პერიმეტრს. ნიჭიერმა ბელეგრისტმა და პროზის საუკეთესო წარმომადგენელმა შექმნა გალერეა ისეთი პერსონაჟებისა, რომლებიც საქართველოს, და სახელდობრ, აჭარის ისტორიული ძვრების ეპოქას ქმნიდნენ და ხალხის სამსახურს, მათი ცხოვრების კეთილდღეობას შესწირეს სიცოცხლე.

პარმენ ლორია სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის ვარიჟრაჟზე – 20-იან წლებში. მას საზოგადოება იცნობს როგორც ნიჭიერ მწერალს, რომლის ნაწარმოებებმა

აღზარდეს მრავალი თაობა. მისმა გულისხმიერმა სტრიქონებმა შეაყვარეს ქართველ მკითხველს შემოქმედებითი ღვრიგის თანამიმართობა.

პარმენ ლორიას პირველი ნაწარმოები „კერპები ქვეყნად“ 1920 წელს გამოქვეყნდა. შემდეგ მწერალი აქვეყნებს დიდ რომანს სახელწოდებით „ჩაი“.

რომანი „ჩაი“ ავტორმა უძღვნა საქართველოში და, სახელდობრ, აჭარაში ცხოვრების ძველი წესების მსხვერველს და ახლის შენებას. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ფერიდე ანუ ქევსერი ძველი ადათ-წესების მიერ დათრგუნული ქალიშვილია, მაგრამ მისი პროტესტი – სახლიდან გაქცევა და სამოგადღობაში ახალი ცხოვრების დაწყება უკვე ნიშნავს პროგრესს. ფერიდე მეჩაიე ქალიშვილია. მან იმდენი შესძლო, რომ ესწავლა და თავის სამშობლოს სახელოვან, მშრომელ ადამიანად მოვლენოდა. მწერალი მთელი რიგი პერსონაჟების დახასიათებით ცდილობს მხატვრულ ფერებში ასახოს ის რთული პერიოდი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის იყო დამახასიათებელი. გაბორცებული, ბნელი ძალები როგორ ცდილობენ მდგომარეობის შენარჩუნებას და რა ძალიან ხმევა დასჭირდათ ახალი ცხოვრების მესვეურთ თავისი მიზნების განსახორციელებლად.

რომანი „ჩაი“ დიდი შემოქმედების ნაყოფია და მასში ავტორის ნიჭი და პროფესიონალიზმი გამოსჭვივით. ამ ნაწარმოებით ავტორმა თავისი სავიზიტო ბარათი დატოვა დიდ მწერლობაში და სახელი გაითქვა.

1939 წელს დაიბეჭდა პარმენ ლორიას ახალი რომანი „დელი მურადი“, რომელიც შემდეგ შეცვლილი სათაურით გამოქვეყნდა – „განთიადი ხევში“.

რომანის ანოტაციაში, რომელიც ხელმეორედ გამოცა 1980 წელს, ვკითხულობთ:

„პარმენ ლორიას რომანი „განთიადი ხევში“ პირველად „დელი მურადის“ სახელწოდებით

გამოიცა 1939 წელს და იმთავითვე მკითხველთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. რომანი ასახავს აჭარის მაღალმთიანი რაიონის ცხოვრებას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და გვხიბლავს არა მარტო ფართო იდეური დიაპაზონით, არამედ მხატვრული სრულყოფილებით, რომანი მევეთრად გამოირჩევა მწერლის მთელ შემოქმედებაში“.

მხატვრული სრულყოფილება პარმენ ლორიას ყველა ნაწარმოების აღიარებული თვისებაა, მისი ყველა ნაწარმოები გამოირჩევა მწერლის შემოქმედებითი პალიტრის განსაკუთრებული მჭერმეტყველებით, ხასიათების, პორტრეტების, ნაწარმოების კვანძის და კულმინაციის, მომომილი მსჯელობის ნიმუშად.

მომდევნო წლებში გამოქვეყნდა ნაწარმოებები „მეველდი“, „ტალღები“, „მალაროებში“, „შვილები“ და სხვადასხვა ნოველები და პიესები.



პარმენ ლორიას სახელი, როგორც ჭეშმარიტად მოამბროვნე მწერლისა შესულია ქართველ მწერალთა თანავარსკლავებში და მისი ნაწარმოებები დღესაც დიდი ინტერესით იკითხება.

ალექსანდრე დიუმა (შვილი) გვმოდვრავს: „ნაწარმოებს, რომელსაც კითხულობენ, აქვს აწმყო, ნაწარმოებს, რომელსაც ხელახლა კითხულობენ – აქვს მომავალი“.

ვინაიდან პარმენ ლორიას წიგნებს კითხულობენ ინტერესით, კითხულობენ ინტენსიურად, მისი პერსონაჟების ისტორია, როგორც საქა-

რთველოს ისტორიული წარსულის სურათები, არასოდეს არ იქნება ფერულწაყრილი.

რომანი „ტალღები“ გამოიცა 1953 წელს, იგი როგორც წინა ნაწარმოებები, უმაღლესი მკითხველის ყურადღების ქვეშ, მასში რევოლუციის და კონტრრევოლუციის მძაფრი კატაკლიზმებია გადმოცემული და ისტორიული სინამდვილის მუსიკა წყაროების ანარეკლს წარმოადგენს; ნაწარმოებში ასახულია ის პერიოდი, როდესაც საქართველო ვერ ასცდა თეთრგვარდიელთა რბევას და თარეშს. რომანი ნამდვილად იმსახურებს მკითხველის სიყვარულს, რადგან მასში არ არის არც ერთი ყალბი ფრაზა და მწერლური „მხატვრული კულისები“, აქ ყველაფერი თვალსაჩინოა და ისტორიის მსვლელობას ექვემდებარება, ისტორიის გამოძახილია.

„ხალხი დაბნეული იყო, იმდენაირი ფული გაჩნდა, რომ ძნელი იყო მათი გარჩევა, იშვიათად თუ ვინმე გამოერეოდა ისეთი, ბაზარზე გამოსული ყველა ფული რომ ეცნო. ერთმანეთში ერეოდათ ინგლისური სტერლინგები და ამერიკული დოლარები, გერმანული მარკები, ფრანგული ფრანკები, ბერძნული, ბულგარული და რუმინული ფულის ნიშნები. ყველაზე მეტად თეთრგვარდიელ კონტრრევოლუციონერი გენერლების მიერ მოჭრილი ქაღალდები ეყარა. ყირიმიდან და ნოვოროსისიციდან შემოსულ დენიკინელთა გემებს ფუთობით მოჭქონდათ ათასნაირი გერბებით აფერადებული ქაღალდები.“ (პ. ლორია. ტალღები. ბათუმი, 1953. გვ.94).

ასეთი პერიოდი გადაიგანა საქართველომ საუკუნის დასაწყისში და მწერალმა დიდი რუდუნებით, ბელეგრისგის ალლოიანი თვალთა ალნუსხა მოვლენები. „ტალღები“ კიდევ ერთი მხატვრული ტილოა, რომელიც სინამდვილის კადრებს გვთავაზობს და ამით რომანი ღვება ისტორიულ-ქრონიკების რიგში.

„შვილები“ პარმენ ლორიამ დასტავა 1956

წელს. რომანი დასაწყისშივე იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ავტორმა იცის, როგორ მოიპოვოს მკითხველთა ყურადღება, გამოიწვიოს დაძაბული ინტერესი, როგორ მიიპყროს მისი მზერა. სწორედ ეს არის მწერლის პროფესიონალიზმი, მწერლის უცყუარი ალლო, შემოქმედის ყოვლისმომცველი დვრიგა. სათაური პასუხობს შინაარსს. შვილების წარმომავლობაზე, მათ სოციალურ გარემოზე საუბარი; ავტორი რომანში სათავგადასავლო ეპიზოდებით აღწევს მიზანს – მკითხველმა სულმოუთქმელად წაიკითხოს წიგნი და გაიგოს რამინისა და ესმას ისტორია, მათი შვილების თავგადასავალი, ნაპოვნი ბავშვის ბედი, მისი აღზრდა, გარემო პირობები. ძნელია ცხოვრების საჭის გაძლოა, ოჯახის მეთაურობა, როდესაც გარემო პირობებთან, რთულ სიტუაციასთან უხდება ადამიანს შეხლავა შემოხლა, მაგრამ როდესაც ეს ბრძოლა აკაკებს მას, სულიერად წვრთნის და ასპეგაკებს, მაშინ ბრძოლა მოგებულია. ასეთია რამინ ცისკარიძის იდეოლოგია. რამინმა იპოვა თავისი გზა სამოგადოებაში, შრომისმოყვარეობით მიაბიჯებს დასახული მიზნისაკენ და სხვისი ცხოვრების ხელისშემწყობი და კეთილი მაგალითის მაჩვენებელია.

პარმენ ლორიას შემოქმედება მთლიანად საქართველოს ისტორიული წარსულის აღმნუსხველია. მწერალი, როგორც რეალისტი, მემატიანის მუნდირით გვევლინება და არ გოვებს არც ერთ მნიშვნელოვან გარდატეხის პერიოდს, რომ სოციალური აგმოსფეროს თანხლებით, რომანტიული თავგადასავლებით არ შეავსოს, მკითხველი არ დააინტერესოს და მისი, როგორც მკითხველის, ინტერესი არ გააღვივოს.

პარმენ ლორიამ თავისი შემოქმედებით, მრავალი თაობა აღზარდა, მრავალ თაობას ასწავლა სირთულეების დაძლევის გზა, ცხოვრებასთან ახლო მისასვლელი ლაბირინთები. იგი, როგორც შემოქმედი, დამკვირვებელიცაა, რა-

დგან ცხოვრებისაგან აღებული მაგალითებით მისი პალიგრა მდიდარია და მრავალფეროვანი.

პარმენ ლორიამ პირველმა მოხადა ჩადრი აჭარელ ქალს, პირველმა გამოიყვანა მზის გულზე და რწმენა ჩაუნერგა, რწმენა ადამიანობისა, მომავალი ცხოვრებისა, სიკეთისა და თავის თავისადმი. მკითხველი განიცდის ყველა იმ პერსონაჟის ძნელბედობას, გაჭირვების პერი-

ოდს, რაც მწერალმა ასახა რომანებში, ასახა დიდი დამაჯერებლობით, ცხოვრების ცოდნით, პროფესიონალიზმით. ამიგომაა პარმენ ლორიას შემოქმედება ყოველთვის თანამედროვე, ამიგომ ილგვის მკითხველი მწერლის რომანების წასაკითხად და ალბათ ყველა მწერლის სურვილიც ეს არის – ხალხში გავრცელდეს მისი შემოქმედება და ხალხის უცყუარმა ნდობამ მოუპოვოს მას სახელი.

ბიბლიოთეკართა დასახმერებლად



გუგული ჯინჯარაძე
სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის მეთოდგანყოფილების გამგე

**ნიგნობრივი ფონდების სისტემატიზაციის
ზოგიერთი ასპექტი**

წიგნობრივი ფონდების სისტემატიზაცია, როგორც ბავშვთა, ისე სხვა ბიბლიოთეკებში, რომლებიც ბავშვებს ემსახურებიან, ექვემდებარება სისტემატიზაციის საერთო წესებს. გამოწვევის წარმოადგენს მხოლოდ სკოლამდელი და პირველი-მეორე კლასის მოსწავლეთათვის გათვალისწინებული ლიტერატურა. ამ ასაკის ბავშვებისთვის გათვალისწინებული წიგნები ძირითადად მხაგრულ ლიტერატურას წარმოადგენს, ამიგომ ამ ასაკისათვის გათვალისწინებულ წიგნებს არ მიეწერება ინდექსი, მიეწერება მხოლოდ ასაკის აღმნიშვნელი ნიშანი – რომაული ციფრი I, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამ ასაკისთვის გათვალისწინებული რომელიმე წიგნი არ არის მხაგრული და იგი მეცნიერების ამა თუ იმ დარგს მიეკუთვნება და მარტივი ენით არის შედგენილი, ბიბლიოთეკარმა მაშინ მას უნდა მიაწეროს რომაული II და ამ დარგის აღმნიშვნელი ინდექსი, რომელსაც ესა თუ ის წიგნი მიეკუთვნება. ასეთ შემთხვევაში მას III-IV კლასის მოსწავლეთათვის გათვალისწინ-

ებულ წიგნობრივ ფონდში ჩართავენ. სადაც ფონდების სისტემატიზაცია და ორგანიზაცია საკლასიფიკაციო ცხრილებით წარმოებს. საჭიროების შემთხვევაში, ბიბლიოთეკარი აღნიშნული დარგის ლიტერატურას გამოიყენებს სკოლამდელი და I-II კლასის ბავშვებთან, იმ მიზნით, რომ მიაწოდოს ბავშვებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის შესახებ მარტივი ენით დაწერილი წიგნები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში, ფონდების სისტემატიზაციის დროს, ჩვენ ვიყენებთ უფრო მარტივ ინდექსს, ვიდრე სხვა დანარჩენ ბიბლიოთეკებში.

აღნიშნული კონსულტაციის მიზანია, საუბარი მხაგრული ლიტერატურის კრებულების სისტემატიზაციის თავისებურებებზე, ადრე ათწილადი კლასიფიკაციის შესწორებული ვარიანტით, მხაგრული ლიტერატურის კრებულები აღინიშნებოდა რუსული ასოებით СБ (сборники). სხვადასხვა ქვეყნის კრებულების გამოსაყოფად ვიყენებდით СБ₁, СБ₂ და ა. შ.

ამჟამად მოქმედი საკლასიფიკაციო ცხრილების მიხედვით, იგი შეიცვალა არაბული ციფრებით; თუ მხატვრული ლიტერატურის კრებული, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მწერალთა ნაწარმოებებს მოიცავს, აღინიშნება ინდექსით 82, ერთი ქვეყნის მწერალთა ნაწარმოებების კრებულები აღინიშნება ჯერ იმ ქვეყნის ინდექსით, რომელ ქვეყანასაც განეკუთვნება ესა თუ ის წიგნი, შემდეგ კი მიეწერება მსამღვრელი (082). მაგალითად, ქართულ მწერალთა ნაწარმოებების კრებულის სრული ინდექსი იქნება: 894.631(082), რუს მწერალთა ნაწარმოებების კრებული – 882(082), ინგლისელ მწერალთა ნაწარმოებების კრებული – 820(082) და ა.შ. ყველა ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურას ქვეყნის ინდექსის შემდეგ მიეწერება მსამღვრელი (082).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ქვეყნის ხალხთა ფოლკლორული ნაწარმოებები მიეკუთვნება შესაბამისი ხალხის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას, ადრე იგი გამოყოფილი იყო მხატვრული ლიტერატურის (ძირითადი) ფონდიდან რუსული Φ -ის საშუალებით, რაც ნიშნავდა ფოლკლორს. $\Gamma\Phi$ იყო ქართული ფოლკლორი, $P\Phi$ რუსული ფოლკლორი, $И\Phi$ საზღვარგარეთის ლიტერატურის ფოლკლორი... და ა.შ. ამჟამად იგი მხატვრული ლიტერატურის ძირითადი ფონდიდან არაბული ციფრებით გამოიყოფა. ქართული ხალხური შემოქმედების კრებულს მიეწერება შესაბამისი ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის ინდექსი და შემდეგ ფოლკლორის აღმნიშვნელი სპეციალური მსამღვრელი – 1. თუ წიგნი ქართული ფოლკლორის კრებულია, ინდექსი ასეთ სახეს მიიღებს: 894.631-1, რუსული მხატვრული ფოლკლორის კრებული – 882-1, ინგლისური – 820-1 და ა.შ. ყველა ქვეყნის ინდექსის შემდეგ – 1-ის დამატებითი ფონდიდან გამოიყოფა ამა თუ იმ ქვეყნის ფოლკლორული ხასიათის ლიტერატურა;

ასევე გამოიყოფა იგი კატალოგშიც. ფოლკლორულ ლიტერატურას მიეკუთვნება აგრეთვე ხალხური შემოქმედების წიგნები, მითები, ლეგენდები, თქმულებები, ზღაპრები, (რომლებსაც მითხველი ასეთივე დასახელებით მოითხოვს). ასევე, თითოეული ამ სახის წიგნებს დაეწერება იმ ქვეყნის აღმნიშვნელი მხატვრული ლიტერატურის ინდექსი, რომელი ქვეყნისაც არის მოცემული ლიტერატურა და შემდეგ ფოლკლორის აღმნიშვნელი სპეციალური მსამღვრელი, მაგალითად, მითებს, ლეგენდებს და თქმულებებს – 2, ზღაპრებს – 3.

მაგალითად, ქართული მითების, ლეგენდების და თქმულებების ინდექსი ასეთ სახეს მიიღებს: 894.631-2; რუსული მითები, ლეგენდები და თქმულებები – 882-2; ინგლისური – 820-2 და ა.შ.

ე.ი. – 2 მითების, ლეგენდების და თქმულებების სპეციალური მსამღვრელია.

ზღაპრების სპეციალური მსამღვრელია – 3 ქართული ხალხური ზღაპრების სრული ინდექსი ასეთი იქნება: 894.631-3.

რუსული ხალხური ზღაპრების 882-3 ინგლისური – 820-3 და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ წიგნი არის სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მხატვრული ფოლკლორული ნაწარმოებები, ინდექსი ასეთ სახეს მიიღებს: 82-1;

სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მითები, ლეგენდები და თქმულებები 82-2;

სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ზღაპრები 82-3;

ფონდების სისტემატიზაციის დროს არის შემთხვევა, როდესაც წიგნი გაუკრვეველია, თუ რომელი ქვეყნისაა წიგნი. ამ შემთხვევაში ჩვენ სხვადასხვა წყაროების საშუალებით ვაღვენთ, რომელ ქვეყანას ეკუთვნის იგი და აუცილებლად მივუწერთ ქვეყნის აღმნიშვნელ ინდექსს.



გიორგი სარაჯიშვილი

პიპო გაბაშვილის ქრონიკის დეტალები

*„ფერთა პოეზიაში პირველობა საქართველოში გიგო გაბაშვილისაა და იგი ყოველთვის დარჩება მის მამამთავრად“
(არგურ ლაისგი)*

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში მოსულმა მხატვრებმა, 1874 წელს „მხატვრული სამოგადოება და ხატვის სკოლა“ დააარსეს. უფულობის გამო სამოგადოებამ ვერ შეძლო დამოუკიდებელი არსებობა და „სამუსიკო სამოგადოებას“ შეუერთდა. ჩამოყალიბდა „კავკასიის კამმულ ხელოვნებათა ხელშემწყობი სამოგადოება“, ხოლო სკოლამ თითქმის ნახევარი საუკუნე იარსება. „სამოგადოებას“ ხუთჯერ გამართული ჰქონდა კავკასიის და ამიერკავკასიის გამოფენა, სადაც გიგო გაბაშვილმა (1862-1936), სანამ თავისი ნამუშევრების გამოფენას მოაწყობდა, რამდენიმე გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.



„ქართველების გულის დასაამებლად ოთხმოციან წლებში გიგო გაბაშვილი გამოჩნდა და პირველივე სურათებით დაამტკიცა, რომ ნამდვილი მხატვარი იყო“. უცხოელი რეცენზენტები გიგოს ნამუშევრებზე მკაცრი შეფასებებით გამოირჩეოდნენ, ყველანი ერთხმად

აღნიშნავდნენ ნამუშევრების „დაუმთავრებლობას“. ამ თვისებამ, რომელსაც ხელოვანი იშვიათად ღალატობდა, მის არა ერთ ნაწარმოებს დააკლო შესაძლებელი სიძლიერე და მაღალი ღირსება“ (მამია დუღუჩავა, გიგო გაბაშვილი, თბ., 1963). მაგრამ დამწყებ მხატვარს გული არ

გასტეხია.

მეგობრის – ადამ ფორაქიშვილის გადმოცემით, გიგოს უთქვამს: „მას ჯერ კიდევ აულია დამუშავება; დამუშავების შემდეგ კი კარგი სურათი იქნებაო“. თავად მხატვარი „დაუმთავრებლობის“ საკითხს ეკონომიფური სიფიწროვის გარემოებით ხსნიდა და არა მისი ხასიათისაგან გამომდინარეობით: „კვირეების განმავლობაში გარდა დივის პურისა და ჩაისა არაფერს ვჭამდი, მეტად ცუდად ვიცავამდი, მამთარში სუსხიან ყინვაში საცოდავი და ძველებური საზაფხულო პალტოთი დავდიოდი“. მხატვრები კი სურათების გაყიდვით ირჩენდნენ თავს; „ივერია“ (№1, გვ.ნ. 1899) იტყობინებოდა, რომ კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავადმა გ.ს. გოლიცინმა მეუღლითურთ გიგო გაბაშვილის გამოფენა დაათვალიერა და სურათი – „ბაზარი სამარყანდში“ შეიძინა. ასეთიც ხდებოდა, სპეციალური მაღაზია არ არსებობდა. რომელიმე დუქანში ან მაღაზიაში „ვიტრინის“ წინ გამოსაჩენ ადგილზე მხატვარი გამოაფენდა ნახატს და თუ მოეწონებოდათ, შეიძენდა მყიდველი. ეს იყო და ეს. მხცოვან მხატვარს მოგვიანებით უთქვამს, რომ შეეძლოს თავისი ნამუშევრების ერთად შეგროვება, ბევრს გაანადგურებდა „დაუმთავრებლობის“ გამო. გიგო თავისი შემოქმედების კრიტიკული შემფასებელი იყო.

...

მეფისნაცვალ(1827) გენერალ-ფელდმარშალ ივანე პასკევიჩ-ერივანსკის პატივსაცემად შექმნილ თბილისის მთავარი მოედნის – „ერივანსკაიას პლოშჩადის“ და გოლოვინის პროსპექტის შემაერთებელი მონაკვეთი – სასახლის ქუჩა, ვიწრო ყელს ქმნიდა; 1930 წელს სასახლის ქუჩა გაგანიერდა, რის გამოც სასახლის ქუჩის კვალი დაიკარგა, რადგან მთავარი ქუჩა შეუერთდა მთავარ მოედანს.

დავით სარაჯიშვილს საკუთარი სახლები და

მიწა სასახლის ქუჩის ორივე მხარეს ჰქონდა. მისი უძრავი ქონება „მაღაზიითურთ სახლის ქვეშ მდებარე მიწის ნაკვეთით“, მის ღებს ეკატერინე და მარიამ ბაქარიას ასულებს უანდერძა.

1911 წლის 26 ივნისს სარაჯიშვილის დაკრძალვის დღეს ამ სახლის წინ, სადაც იმხანად აკაკი იყო გაჩერებული, სამგლოვიარო პროცესია შეჩერდა და შეუძლოდ მყოფმა აკაკიმ თავისი სურვილით, სიგყვა მაინც წარმოთქვა. ამ სახლში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ: მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე ივანე (ვანო) მაჩაბელი; გერმანელი მწერალი და პუბლიცისტი არგურ ლაისტი და სხვანი. თბილისში ჩამოსულ არაერთ სტუმარს რამდენიმე დღით გაუთეგია ღამე – მათ შორის ფერეიდნელებსაც. შენობაში საქართველოში ფოტოგრაფიის პიონერს – ალექსანდრე როინაშვილს ფოტოსახელოსნო ჰქონდა გახსნილი; გარდა მაღაზიისა, განთავსებული იყო სამედიცინო დეპო, რომელიც როგორც „ბითუმად, ისე ცალობით იძლეოდა მედიკამენტებსა და ადგილზე დამზადებულ წამლებს, სამედიცინო გექნივას“; შენობაში ფუნქციონირებდა კავკასიაში სასამართლოს ფილიალი და გაბეთ „თემის“ რედაქცია და სხვ.

...

ამ სახლის სამ დარბაზში 1891 წლის 19 იანვარს გამოფენა გამართა საქართველოში რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა – გიგო გაბაშვილმა; ეს იყო ქართველი მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა. ამ გამოფენას ისტორიული მნიშვნელობა გააჩნდა, რადგან მან საფუძველი ჩაუყარა გამოფენებს საქართველოში. ეს გამოფენა XIX საუკუნის ქართული მხატვრული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. (მამია დუღუჩავა). გამოფენილი იყო მხატვრის სამოცდაათამდე სხვადასხვა ქანრის ნაწარმოები. გამოფენის კატალოგი არ შემონახულა (შეიძლება არც

დაბეჭდილა). გამოფენამ წარმოაჩინა დიდი გალანტით დაჯილდოებული ახალგაზრდა ხელოვანი, ფერწერისოსტაგი“. სარაჯიშვილის სტიპენდიანტი მაშინ 29 წლის ახალგაზრდა დამწეები მხატვარი იყო; „ივერია“ გამოეხმაურა ამ მოვლენას: „სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სასახლეში, გამოფენა გამართა თავისი ნახატებისა ახალგაზრდა მხატვარმა გ. გაბაშვილმა. გამოფენილ სურათებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა: „ბოსტანში“, სადაც სამამთროების მოკრეფაა დახატული, იქვე მის საკვირველის ხელოვნებით დახატული ქართველი, რომელიც ის ის არის საღამურის დაკვრას მორჩენილა. იქვე დგას რამდენიმე გლეხაკი და ვაცხარებულ ბაასში არიან; „დუქანთან“, „მოსარეცხენი მდინარესთან“, „ხატში მომსვლენი“, „ორთაჭალა“ და სხვ. ზოგიერთ სურათს ნელოვანება აქვს, მაგრამ ესეც მხოლოდ იმიგომ, რომ სულ ორიოდე წელიწადია რაც ეს ახალგაზრდა მხატვარი შრომობს და ამას გარდა, ზოგიერთი სურათის ხატვას ისე ასქქარებია საგამოფენოდ მოსასწრებლად, რომ დაუმთავრებული და შალაშინ-გაუკვრელი გამოუფენია“.

სარაჯიშვილის ცოლის ძმის – ადამ ფორაქიშვილის გადმოცემით: „ბოსტანში“ მოსწონდა ილიას. აღრევე შეუძენია დავით სარაჯიშვილს გიგოსაგან.

„ხვეწნა-მუდარის შემდეგ“ ილიას სურვილი დაუკმაყოფილებია და შეუძენია მეპატრონისაგან – დავითისაგან, გიგოს სხვა ნახატში გაცვლით“.

„ბოსტანში“ იქმნებოდა 1890 წელს. „ივერია“ წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენი მხატვარი ბაგონი გ. გაბაშვილი, რომელმაც ყურადღება მიიქცია, როგორც მხატვრობის მცოდნეთა, ისე

მოყვარულთა, ხატვას ამქამად ფრიალ დიდ სურათს: „სამამთროს მოსავალი ანუ რთველი“; ვისაც უნახავს ეს სურათი, ყველას დიდათ მოსწონს და ქებით იხსენიებს. მისი სიუჟეტი გადმოსცემს დასვენებას სამამთროს ბოსტანში. წინა ცენტრალურ ნაწილში განსახიერებულია დაკრეფილი სამამთროები და რამდენიმე ფიგურა, რომელთა შუაში მის საკვირველის ხელოვნებით დახატული ქართველი, მის ირგვლივ გამოსახულია ხუთი გლეხი, ორი მათგანი მარცხნივ დგას, ვირის გვერდით, და საუბარშია გართული. ერთი წამოწოლილა, ხოლო სხვები მარჯვნივ სხედან. სურათის უკანა მხარეზე მოჩანს რამდენიმე ქალი და კაცი, აგრეთვე ცხენების ჯგუფი. „ტიფლისკი ლისტოკის“ ამრით: „გონი და კოლორიტი ჩინებულია, პერსპექტივა კარგადაა ნაგრძობი, კარგია აქსესუარიც, მა-



გრამ თავისთავად სურათი დაუსრულებელია“; სურათის დაუმთავრებლობას აღნიშნავდა „ნოვოე ობომრენიაში“ მხატვარი დავით გურამიშვილიც: „სიშორე ზოგიერთ ადგილებში ჩინებულია. შორეული ჯგუფი ცხენებისა და მიწა ამ ადგილზე აგრეთვე ძალიან კარგად არის შესრულებული... თავი (სახედრის) ყველაზე უკეთე-

...

სია და მხაგვრულ პუნქტს წარმოადგენს... ცუდი არაა აგრეთვე სალამურზე დამკვრელი მოხუცის თავი“ და სხვ. გურუმიშვილი „ტიფლისი ლისტოკში“ განსაკუთრებით აღნიშნავდა გილოს „დექნის წინ“, რომელმაც გადმოცემულია ნოქრის მიერ ვირის საქონლით დაგვირთვის სცენა და ხასიათდება „ფრიად ეფექტური კოლორიგით“, გურამიშვილი სურათს „გამოფენის მარგალიტად“ მიიჩნევდა. მრავლად წარმოდგენილ რეცენზენტთა მიერ გამოქვეყნებულ მასალებში გურამიშვილის შეფასებით: „არსებითი ნაკლის მიუხედავად, უნდა იყო ბრმა, რომ ახალგაზრდა ავტორის ამ ნაწარმოებებში ვერ დაინახო ძალა გამოჩენილი მხაგვრული გალანგისა. იგი კოლორისგია და ამასთან არაჩვეულებრივი. მხაგვრის ენაზე რომ ვთქვათ, გ. გაბაშვილის სურათები, თვით ცარიელი და უმნიშვნელოც კი, შესანიშნავია გონების კეთილშობილებით და მხაგვრულობით. ამ მხრივ გ. გაბაშვილს ადგილობრივ მხაგვრობაში მეტოქე არ ჰყავს... მხაგვრის გალანგის სხივები გაფანტულია ყველგან“. გურამიშვილი კარგ შეფასებას აძლევს აგრეთვე „ბაზარს“, რომელსაც „მშვენიერ ესკიზს“ უწოდებს. იგი ყურადღებას აქცევს „ურემს“, „აისორს“, „მანგს“. აღამ ფორაქიშვილის გადმოცემით, „მანგი ყოფილა ბათუმელი, რომელსაც ილიასთანაც უმუშავნია მსახურად“, ამასვე ადასტურებდა ი. შიუკაშვილიც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში პორტრეტის მფლობელი ყოფილა. „მანგის“ (1889) სურათი ფერწერის მხრივ აღიარებულია გ. გაბაშვილის უძლიერეს ნაწარმოებად და მხაგვრის გალანგის საუკეთესო ილუსტრაციად. განსახიერებულია მრავალ ჭირვარამგამოვლილი მანგის სახე. „მანგი“ არსებითად პირველი გილოა, რომელშიც ჩანს აკადემიზმის სრული და საბოლოო დამარცხება, ხოლო რეალიზმის ასეთივე სრული და საბოლოო გამარჯვება ახალგაზრდა მხაგვრის შემოქმედებაში (მამია დუდუჩავა).

გ. გაბაშვილმა 18 წლისამ (1880) დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი, იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ხატვის, განვარჯიშის და გეოგრაფიის მიმართ. სხვა საგნებს სუსტად სწავლობდა; „მოუსვენარი გიგო ან ხატავდა, ან მთელ დროს ბანაობაში, თევზაობასა და თამაშში ატარებდა. მტკვრის სიყვარულით ხშირად სტოვებდა გაკვეთილებს. ბანაობისას მისთვის განსაცემელი მოუპარავთ და გიგველი მისულა სახლში; ერთხელ კი ძლივს გადაურჩენიათ დახრჩობას. კეთილი და სათნო თბილისელი დედა – თამარ ნარეკელაშვილი (გარდ. 1887) ვერ იმორჩილებდა შეილს, რომელსაც მამა ექვსი წლის ასაკში გარდაეცვალა, ამიტომ გიგო მიუბარებია უცხოელისათვის ოჯახში, სადაც სხვა ბავშვებთან ერთად იზრდებოდა და გერმანულ და ფრანგულ ენებს სწავლობდა“.

1883 წელს გიგო იწყებს მუშაობას თბილისის სასამართლო პალატის სამიჯნო უწყებაში მხაზველად, ამქავე მხაგვრობისადმი მიწრაფებას. ამ პერიოდს განეკუთვნება „დედის პორტრეტი“ და „ქალიშვილის პორტრეტი“, ორივე შესრულებულია ბეთში, ფერებით; საშინაო ხატვას გიგო კ. კეპენის კერძო სამხატვრო სკოლაში აგრძელებს, მონღომებით თანამშრომლობს ფრ. რუბოსთან, რომელიც მოუწვევიათ სამხედრო ისტორიული (დიდების) მუზეუმისათვის (ამჟამად სამხატვრო გალერეა, რუსთაველის გამზირზე) ბაგალური სურათების დასახატავად, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის ისტორიის თემებზე; იმპერატორი ნიკოლოზ II 1914 წელს დეკემბერში ოთხი დღით საქართველოში ჩამობრძანებისას სტუმრებია მუზეუმს და დიდად კმაყოფილი დარჩენილა; განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია გიგოსთვის რუბოსთან სიახლოვეს და ასისტენტად მუშაობას. რუბოს თხოვნით გიგო მას ყარსში გაყოლია სამოგზაუროდ.

რეალური სასწავლებელი არ იძლეოდა სიმწიფის აგესტაგს, რადგან არ იყო სრული სასწავლებელი, ამიტომ გიგო მეფისნაცვლის შუამდგომლობით პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში ჩაურიცხავთ თავისუფალ მსმენელად ფერწერაში, პროფ. ბ. ვილევალდეს ბატალურ კლასში. აგესტაგის მისაღებად საშუალო სასწავლებლის კურსის ჩასაბარებლად აკადემიიდან ნახევარი წლით აკადემიური შვებულების აღება გადაუწყვეტია; ხელმეორედ მიუმართავს დიდ მთავარ ნიკოლოზ მიხეილის ძისათვის. იგი დაპირებია დახმარებას, გმის ხარჯების ანაზღაურებით, გიგოს მოთხოვნით მისთვის გაუციათ წარმატების ქალაღი. აკადემიაში სწავლის პერიოდში გიგომ წამახალისებელი სამი ვერცხლის მეღალი მიიღო – 2 პაგარა და ერთი დიდი. აკადემიის საბჭოს დაუდგენია: „გამოჩენილი ბეჯითი შრომისა და კარგი სამხატვრო უნარის წასახალისებლად მიეცეს ნახევარი წლის შვებულება და წარმატების მოწმობა“. სამწუხაროდ, შვებულების ვადის დამთავრების შემდეგ გიგო აღარ დაბრუნებულა სამხატვრო აკადემიაში.

პეტერბურგში სტუდენტი გიგო ყოველდღიურ ეკონომიურ სივიწროვეს განიცდიდა, თავს ირჩენდა სპეციალური სამხატვრო მაღაზიის მეშვეობით და რუსეთის სხვადასხვა ქურნალეზში თანამშრომლობით. ერთხელ გამოუფენია თავისი სურათი. მალევე გაყიღულა 120 ვერცხლად. ერთ ოთახში უცხოვრია მასსავით მომავალ არქიტექტორ გელიაკოვსკისთან; გახარებულმა გიგომ მთელი თანხა გადაცვალა ქალაღლის ფულზე. სახლში მივიდა, შუა ოთახში დადგა გელიაკოვსკის წინ, აისროლა ფულები ჰაერში და შესძახა: „ნახე, რა მდიღარი ვარ, შიმშილობა დასრულდა“-ო.

პეტერბურგში ყოფნის წლები ემთხვევა იმ დროს, როცა მიხაი მიჩი საქართველოდან წაღებული და მიწოდებული მასაღების საფუძვე-

ლზე „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნიკო ნიკოლაძის ოჯახთან, საღაც ცხოვრობდა ნიკოს ცოლის – ოღღა გურამიშვილის ძმა ღავითი. პარიზში მხატვრობა შესწავლიღი, ახლად დაბრუნებული, ღავითი სიძის ოჯახში გაცნობია მიჩის. მიჩის რჩევით, მოგვიანებით მიუნხენის სამხატვრო აკადემია დაუმთავრებია. გიგო, როგორც ღავითის უახლესი მეგობარი, ნიკოს ოჯახს და მიჩის დაახლოებია. კარგი გარეგნობის, შესანიშნავი მოჯირითე ღავითი, მიჩის კვირაში რამდენჯერმე დაყავდა პეტერბურგის განთქმულ მანეჟში, საღაც საგანგებოდ შერჩეული ცხენით ჯირითობღა. იმისღა მიხედვით, თუ როგორი მოძრაობა ღა პოზა ჭირღებოღა მხატვარს ამა თუ იმ ილუსტრაციის კომპოზიციისათვის. გიგოც ესწრებოღა „მანეჟისეანსებს“. პროფ. რუსუღან ნიკოლაძის მოგონებით: „მე ყველაფერი ეს, არა ერთხელ მომისმენია არა მარგო მამაჩემისაგან, არამედ ბიძაჩემ დ. გურამიშვილისა და თვით გ. გაბაშვილისაგანო“.

1884 წლის დასაწყისში ერთ-ერთ სეანსს იღიაც დასწრებია, რომელიც განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა მიჩის მუშაობისაღმი. აქ გასცნობია გიგო „ერის მამას“. მას შემდეგ იღია ყურაღღებას აქცევეღა მხატვარს, სისტემატურად ბეჭღავღა „ივერიაში“ წერიღებსა და ცნობებს გიგოს შესახებ. ერთხელაც თავისი ღღის ეღღისაბეღღის სახლში (ამჟამაღ იღია ჭავჭავაძის მემორიაღური მუზეუმი), საღაც იღია ცხოვრობღა, „ისგორიული სურათები იღიამ საგანგებოდ ოთახის ჭერზე დაახაგინა მხატვარ გიგო გაბაშვიღღს. იღია ხშირად სტკბებოღა სურათების ცქერით და ქებით ისენებღა გიგო გაბაშვიღღს, ამ თავისებურ ნაყოფიერ მხატვარს“. „ივერის“ გარღღა გიგომე წერღღენ სხვა გაბეთებიც. საყურაღღებოღა ერთი ცნობა გაბეთში: „ყიღღუღღო ყოვეღღგვარ ძვეღღებურ განისაღღოსებს: ქართლ-კახურს, ფშავ-ხეღღსუ-

რულს, თუმურს, მთიულურს, გურულს, იმერულს, აჭარულს, მეგრულს, რაჭულს, სვანურს და აფხაზურს. განისამოსი და სამკაულები უნდა იყოს ძველებური, გამოუსადეგარი პატრონისათვის სახმარებლად. განსაკუთრებით სასურველია მღვდლების საეკლესიო შესამოსლები მხოლოდ ძველები და სახმარებლად გამოუდგარნი. მსურველთ მიმართონ მხატვარს გიგო გაბაშვილს. სასახლის ქუჩაზე თავადაზნაურთა შენობაში“ („ცნობის ფურცელი“).

მიხაი მიჩისტან დაახლოებას აღუძრავ გიგოში სურვილი, ხევსურეთში მოგზაურობისას დაედგა „ვეფხისტყაოსნის“ მიჩისეული „ცოცხალი სურათების“ მსგავსად ხევსურელთა „ცოცხალი სურათები“: ფარეაობა, ცეკვები, ხევსურთა მხედრული და სხვა სცენები, რაც გამოუყენებია კიდეც ხევსურებზე გილოების შესაქმნელად. მათ შორის, მხატვრის შემოქმედების მშვენიერება „მთვრალი ხევსურის“ ხაგვისას. „ცოცხალ ხევსურულ სცენებზე“ მხატვარს გადაუღია ფოტოსურათები. 85 ფოტომასალა (დედანი) მინაბეა დაფიქსირებული. ფოტომასალა ღიდი განძია ქართული ხელოვნებისათვის. ფოტო კამერას ასევე აღუბეჭდია სამარყანდში საინტერესო, შემოქმედებითი მოგზაურობაც.

...

ხაგვისადმი ჟინიანობით გამორჩეულმა ახალგაზრდამ თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყარადღება და ღიდი პატივისცემა დაიმსახურა. ამიგომ იყო, რომ გფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მედამხედველი კომიტეტის წევრთა კრებაზე მოუწვევით ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარი განსვენებული დიმიტრი ყიფიანის ძეგლის დადგმის თაობაზე. „საფლავის ძეგლით შემკობის“ საკითხი ეთხოვა გიგოს, რომ მას „გაება მოლაპარაკება რამდენიმე მიუნხენელ სკულპტორთან და პირადად გაეწია მედამხედველობა, რადგან იგი აპირებდა ერთ კვირაში სამღვარავართ წასვლას. მას თან უნდა წაეღო

დიმიტრი ყიფიანის რამდენიმე ფოტოსურათი, ბიოგრაფიული ცნობები და ძველი ქართული მხატვრობის ორნამენტები. მონაცემები გიგოს უნდა გადაეცა ცნობილი სკულპტორისათვის, „რომელსაც ეგვირთა ძეგლის პროექტის შედგენა, და თუ ეს პროექტი მოწონებულ იქმნა, მოხდება აგებაც“. (დიმიტრი ყიფიანის დავრძაღვიდან 11 წლის შემდეგ, ძეგლის მოდელი 1898 წელს დაამზადა სკულპტორმა ფ. ხოლოროვიჩმა, ხოლო თეთრი მარმარილოს ბიუსტი მოდელის მიხედვით იგალიაში გააყეთებინეს).

თბილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებით, 1 წლით ადრე მხატვარს დაევალა კავკასიის სამეურნეო გამოფენის მხატვრულად გაფორმება, საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის (1901) აღსანიშნავად. გამოფენის მნახველთა ყურადღების ცენტრში იყო ამიერკავკასიის მხატვართა ნამუშევრები. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებდა გიგოს ნახატები. „ივერიის“ მიხედვით: „მოგიერთი განყოფილება მართლა კარგი სანახავია, თუნდაც სამხატვრო, საუცხოვო სურათია გამოფენილი სხვათა შორის, ჩვენის ცნობილი მხატვრის ბნ. გ. გაბაშვილისა – „ხატობა“. მართლა რომ თვალი დაგიყენებს შეურყვნელს, აუჭრელელებს საეკლესიო დღესასწაულს, მხოლოდ ამ ასი წლის წინათ შესაძლებელს და აწ-კი სხვათაებრ ჩრდილ-მიყენებულს“.

...

ძველი ქართული ხელოვნების შესწავლით გატაცებულმა გიგომ ივალდებულა „ვარძიის ძეგლების გეგმის შედგენა და ვარძიის ეკლესიის მხატვრობის გაღაღება... გაბაშვილსავე აქვს მინდობილი, რომ საფარისა და მარმარის მონასტრებიც გადახატოს. სამერმისოდ მხატვარს განუმრახავს რუსეთის მხატვრები მოიყვანოს და აჩვენოს ეს შესანიშნავი ნაშთი ხელოვნებისა... ვარძიის მონასტერში უკისრია განახლება წმ. ღვთისმშობლის ხაგისა. ეს ძველე-

ბური ნახატი მეტად დიდი ზომისაა და იმყოფება მონასტრის გუმბათის ქვეშ. ორსავე გვერდით ანგელოზი აქვს დახატული. თვითონ ღვთისმშობლის სურათი სამ საყენზე მეტია“.

გიგომ აგრეთვე ივალღებულა სამღვარვართ სწავლის დამთავრების შემდეგ (1897) გაეხსნა სამხატვრო კლასები, მიეღო მიწვევა სათავად-ამნაურო გიმნაზიაში, მანამდე არ არსებული გაკვეთილების ჩასატარებლად ანუ ხაგვის მასწავლებლად.

ცნობილი მწერალი და სამოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი „კვალში“ გამოქვეყნებულ წერილში „გ. გაბაშვილის მხატვრობის გამოფენა“ წერდა: „ქურნალ-გამეთებს ენაზე აკერია გ. გაბაშვილის მხატვრობის სჯა: ზოგი გამომეცყველებას უწუნებს, ზოგი პეიზაჟს, ხოლო ზოგი უიმედობას უსაყვედურებს. სამოგადოთ ვერაგინ ვერ ივიწყებს იმ ცხოველმყოფელ შთაბეჭდილებას, რომელიც მოუხდენია მასზე გ. გაბაშვილის მხატვრობას და ეკითხება თავის თავს „ნუთუ ქართველებში შესაძლებელია ასეთი ნიჭი განვითარდეს და, თუ განვითარდა რატომ აქამდის არ შეგვინიშნავსო“.

•••

დავით სარაჯიშვილის სახლში, სადაც კვირათობით ივრიბებოდნენ მწერლები, მსახიობები და სამოგადო მოღვაწეები, გიგო მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა მასპინძლებთან: სარაჯიშვილების სასურველი და ახლობელი გიგო, ეკატერინეს და დავითს სიცოცხლის ბოლომდე არ მოშორებია. ეკატერინეს საოჯახო ლიგერაგურული სალონის მუღმივი მონაწილე იყო და ხელოვნებაზე, განსაკუთრებით მხატვრობაზე გამართულ საღამოებში, სხვებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. როდესაც დავითმა 1905 წელს სოლოლაკში სახლი აიშენა და შეუღლებიდან 25 წელი, ანუ ვერცხლის ქორწილი აღნიშნა, ნათესავთა, ახლო მეგობრებთან ერთად, გიგო საბეიმო სუფრის

მონაწილეთა შორისაა და შეხვედრის აღსანიშნავ ფოტოსურათმეცაა გამოსახული.

„გიგოს სტიქიას პორტრეტი წარმოადგენს“. პორტრეტული ქანრით გატაცებული მხატვარი ქმნის დავითის სიძის გენერალ ნიკოლოზ ერისთავის, ვასილ გაბაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, ადამ ფორაქიშვილის, ერეკლე II-ის, დე-როზას, ქართველი თავადის, გრიგოლ ორბელიანის (1913), ნიკო ნიკოლაძის, ფილიმონ ქორიძის (1902-1905) და სხვათა პორტრეტებს და თავის ცნობილ ავტოპორტრეტს (1932), პორტრეტების უმეტესობა იხატებოდა ნატურადან.

ილიას პორტრეტიც (1907-1908) იხატებოდა ნატურადან, მაგრამ მხატვარმა ილიას სიცოცხლეში მისი დამთავრება ვერ მოასწრო, რადგან ილია პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს სესიაზე, ხოლო გიგო ყუბაში (ამერბაიჯანი) გამგზავრებულან.

ილიას ვერაგულმა მკვლელობამ გიგო შესძრა. ყუბადან დაბრუნების შემდეგ შედგომია ნატურის მოძებნას. დაუწერელი დარჩენილა მარჯვენა ხელი და სერთუკი. აურჩევია თბილისში მცხოვრები სერბიელი პოლკოვნიკი შკაბიცი. ჩაუცმევია დავით სარაჯიშვილისაგან ნათხოვარი სერთუკი, მსგავსი ილიას სერთუკისა და პორტრეტი დაუმთავრებია.

ქალბატონ ოლიმპიას ცნობით, აკაკის პორტრეტს პოეტის იუბილესათვის ამზადებდა. აკაკი ყოველდღე დადიოდა მასთან სახელოსნოში პომირებისათვის. მაშინ გიგო სასამართლოს ქუჩაზე ცხოვრობდა იმ შენობის ნაწილში, რომელშიც ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიას მოთავსებული. მოგვიანებით (1922) გიგომ თავისი საცხოვრებელი და სახელოსნო სამხატვრო აკადემიას გადასცა. ძალიან ციოდა, რის გამოც გიგომ გადაწყვიტა, პოეტი სერთუკში არ დაეხატა, რადგან ეშინოდა, რომ იგი გაცივდებოდა; ამიგომ აკაკის სთხოვა, პალტოთი

დამდგარიყო. როცა მეორე დღეს აუკვი საპომიოროდ მოვიდა, გიგოს პირდაპირ თავმარი დასცა პოეტის გარეგნობამ. აუკვი ვაცვეთილ და საშინლად დახეულ პალატოში გამოწყობილი მოვიდა. „როგორ არა გრცხვენია ასეთი პალატოს ჩაცმა, – შეეკითხა მას გიგო, – ნუთუ სხვა პალატო არა გაქვს?“ „სხვა პალატო მაქვს, – გულგრილად მიუგო პოეტმა, – მაგრამ არ მინდა იგი იუბილეს წინ ჩავიცვა: ახლა ახალ პალატოში რომ დამინახონ, იუბილეზე არაფერს მომცემენ, ხოლო დახეულ პალატოში გამოწყობილი თუ ვივლი, მაშინ ბევრს მომცემენ და დასძინა, შენ დახატე პალატო, მაგრამ დახეულს ნუ გამოაჩენო“. ამ ამბის მოგონებაზე გიგო „ხარხარებდა ხოლმე“.

900-იანი წლების მეორე ნახევარში გიგო ქმნის დავით სარაჯიშვილის ორ პორტრეტს (ერთი ეგვიპტია). ეს ნაწარმოებები პირველად გამოფენილი იყო 1910 წელს მხატვრის ნამუშევართა მეოთხე პერსონალურ გამოფენაზე (გიგომ სიცოცხლის 74 წლის მანძილზე 8 პერსონალური გამოფენის მოწყობა შესძლო) და პრესაში რეცენზენტების მიერ მაღალი შეფასება დაიმსახურა: „ერთი მათგანი დამთავრებულია პედანტურად, მაგრამ არ არის მოკლებული კოლორიტის კეთილშობილებასა და სიმართლეს. მეორე კი, თუმცა მხოლოდ ფუნჯის მონასშია, მაგრამ ბრწყინვალე და მომხიბლავია გექნივის მხრივ“.

გენერლის მუნდირში გამოწყობილი „ნიკოლოზ ერისთავი როცა საპომიოროდ მოდიოდა, ძალი მუდამ უყეფდა მას. როდესაც პორტრეტი სავსებით დამთავრებული იყო, ძალმა შემთხვევით შემოირბინა სახელოსნოში, თითქოს განცვიფრებული შედგა პორტრეტის წინ და უცბათ მას დაუწყო ყეფა... ყოველთვის, როცა მას პორტრეტის ახლოს უნდა გაეფლო, იგი მის წინ ჩერდებოდა და დიდხანს უყეფდა. გიორგი ივანეს ძე კი სიცილით ამბობდა „აი ჩემი

ნამდვილი კრიტიკოსი“ (ოლიმპია მიუღბაუმი).

...

სარაჯიშვილის სახლი ნამდვილ სამხატვრო გალერეას წარმოადგენდა. გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში შექმნილი თუ ნაჩუქარი ორიგინალები, მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმული ტილოები მნახველებს აცყვევებდა, მათ შორის ეკიდა გიგოს მიერ შესრულებული დავითის პორტრეტიც. გარდა ამისა, დავითის სახლში გიგოს ნამუშევრების დიდი უმრავლესობა ჰქონდა გამოფენილი, მათ შორის, მხატვრის „შემოქმედებითი ევოლუციის უძლიერესი პერიოდის ნახატი „სამი მოქალაქე“ (1893), ფერწერის ჭეშმარიტად დიდი ოსტატობით დაწერილი არა მარტო გ. გაბაშვილის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ მთელი ქართული რეალისტური მხატვრობის ისტორიაშიც“ (მამია დუღუჩავა). „სამი მოქალაქე“ თბილისელი მოქალაქეების მიხედვით არის დაწერილი. ადამ ფორაქიშვილის ცნობით: „მარჯვნიდან პირველი მოქალაქე დაწერილია თბილისელი ვაჭრის ჭიჭინაძის, ხოლო მეორე და მესამე ერთ-ერთი თბილისელი სომეხი ვაჭრის მიხედვით“. „სამი მოქალაქეში“ განზოგადებულია ადამიანის სულიერი და გონებრივი სამყარო, სიმართლე და ბუნებრიობა, იგი ნაგურიდანაა შექმნილი, მხატვრის დიდი ოსტატობით, რომ ერთი და იგივე პროტოტიპი განსხვავებულადაა გარდასახული, სამივე მოქალაქის ერთ ტიპურ სახეში, ერთ ხასიათში. ფერწერული ტილო დავითს თავის მამას – მაქარიას აგონებდა. ამბობენ, – „დავითი ისე არ გავილოდა სახლიდან, რომ არ მისულიყო და არ შეეხედაო. მამა მისთვის წმინდა ხატება იყო“ (ნიკოლოზ გარსაიძე). „სამი თბილისელი მოქალაქე“ დავით სარაჯიშვილის სახლში ინახებოდა... მახსოვს 1903 წელს დავითის სახლში სტუმრობისას როგორი აღტაცებით უყურებდა ამ სურათს გერმანელი მეცნიერი და მწერალი გოტფრიდ მერცხახერი“ (არტურ ლაისტი).

...

1902-3 წლებში გიგო მოგზაურობდა თურქეთში, საბერძნეთში, იგალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ჰოლანდიასა და ინგლისში. ვენაში მხატვრების ერთ-ერთ გამოფენაზე გაეცნო ოლიმპია მიულბაუმს. შემდეგ გიგო და ოლიმპია შეხვდნენ ერთმანეთს აგარაჟ გრიმეში, აქედან გიგო გაემგზავრა შვეიცარიაში, საიდანაც 1903 წელს სამშობლოში დაბრუნდა. 1904 წელს ქალბატონი ოლიმპია ჩამოვიდა საქართველოში და მხატვრის ცხოვრების მეგობარი გახდა. ოლიმპიას მოგონება – „გიგო გაბაშვილი“, მხატვრის გარდაცვალების შემდეგაა შექმნილი. „ხელნაწერში აღწერილია გიგო გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, – წერს მამია დუღუჩავა გიგოს ბიოგრაფიაში, – 1903 წლამდე მხატვრის ნაამბობი უნდა იყოს“. მიულბაუმის – „გიგო გაბაშვილი“ აუცილებლად გამომწეურებას მოითხოვს, მისი მეუღლის სულის მოსახსენიებლად შთამომავლობის წინაშე. წიგნად ავიძულები კი, დიდი შენაძენი იქნება ერის სულიერების საღაროში.

...

1894 წელს გიგო მიემგზავრება სამარყანდსა და ბუხარაში. ბუხარის საპყრობილეში შესვლის ნება წინასწარ აუღია, აქ „აღუბეჭდია დამნაშავეთა, განსაკუთრებით დიდ ბოროტმოქმედთა გიპები“, შუა აზიიდან დაბრუნების შემდეგ იგი მიემგზავრება მიუნხენში, სამხატვრო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად; პროფესორთა საბჭოს მაღალი შეფასება მიუცია გიგოს ნამუშევრებისათვის, მაგრამ საგამოცდო წესების თანახმად, შეურჩევიათ მისთვის თემები, შედეგი ბრწყინვალე ყოფილა, რის საფუძველზეც ჩაურთეს ავთ უკანასკნელ კურსზე, პროფ. ალ. ვაგნერის კომპოზიციის კლასში და გამოუყვიათ ინდივიდუალური სახელოსნო. ვაგნერი ხაზგასმით

აღნიშნავდა ნაწარმოებების სიძლიერეს. მხატვრის გამომქლავნებულ „მშვენიერ ცალანგს“. პროფესორი თავისი აკადემისტის მუშაობით დიდად კმაყოფილი და აღტაცებული რჩებოდა, და გამოთქვამდა სურვილს მხატვრის მედლით დაჯილდოვების შესახებ.

მიუნხენიდან გიგო ღავით გურამიშვილს წერდა: „პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი კურსდამთავრებული, რომელსაც 5 ვერცხლის და 2 ოქროს მედალი ჰქონდა მიღებული, საერთოდ არ იქნა მიღებული მიუნხენის აკადემიაში“. 33 წლის მხატვარი „გრძნობდა თავის ძალას და დიდ უპირატესობას თავის ახალ კოლეგებთან შედარებით“. იწყებს ხატვას „როგორც გამობრძმედილი მიუნხენელი მხატვარი“, ასე რომ, „მე აქაც მოვიპოვე კოლორისტის დიდებაო“, – აცხადებდა ის. აკადემიაში არ მოსწონდა დამკვიდრებული „მეცერი ხატვა“, „ითქმის გადაწყვიტე მეცადინეობის მიტოვება. მხოლოდ თავმოყვარეობა მაიძულებდა, რომ არ დამენებებინა თავიო,“ – იხსენებდა გიგო. მთელი თავისი არსებით რეალიზმის ერთგული, ვერ ურიგდებოდა იქაურ მოღერნისგულ ხელოვნებას, კოლეგებთან შეხვედრებს გაურბოდა. იწერებოდა: „მე მეშინია არ გადამედოს ჩლუნგი მოღერნისგული მიმდინარეობა და არ შევცვალო ჩემი ფიზიონომია, რომელიც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის“.

მიუნხენში გიგო დასწრებია საერთაშორისო სამხატვრო გამოფენას, სადაც რეპინის სურათი ოქროს მედლით დაჯილდოვებიათ. აღფრთოვანებულს რეპინისათვის მილოცვის წერილი გაუგზავნია, საპასუხო წერილში ნათქვამია: „მთელი ჩემი სულით და გულით მაღლობას მოგახსენებთ თქვენ ჭაბუკური კეთილშობილური მგზნებარებისათვის. დიდად ბედნიერი ვიქნები, თუ შემთხვევა მომეცემა მაგრად ჩამოვართვათ ხელი ამხანაგურად“. ამ დროისათვის რეპინი

და გიგო პირადად არ იცნობდნენ ერთმანეთს.

სურათებით: „ბაზარი სამარყანდში“ (1894) და „დივან-ბეგის აუზი ბუხარაში“ (1895) გიგოს მიუღია მონაწილეობა მიუნხენის მხატვართა საზოგადოების გრაფიკულ სამხატვრო გამოფენაში. შუა ამიის ქვეყნების პეიზაჟი და ხალხთა ცხოვრება, მხატვრის მიერ თემად აღებული, იმ დროისათვის ნაკლებად იყო ცნობილი დასავლეთისათვის. სურათებმა პრესაში მაღალი შეფასებები დაიმსახურა. დავით სარაჯიშვილისადმი მოწერილ წერილში (12-25 ივლისი, 1896) გახარებული სტიპენდიანტი იწერებოდა: „ბოლოს და ბოლოს ასრულდა ჩემი სურვილი – გუმინ აკადემიის საბჭომ დამაჯილდოვა მედლით“.

...

მოხუცებულ მხატვარს უთქვამს: „ჩემი უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ ჩემს საუკეთესო ნამუშევრებს არ ვინახავდი, ვყიდდი, როგორც აქ, ისე უცხოეთშიც, რასაც ახლა უაღრესად ვნანობ და ჩემს დიდ შემოქმედებით გრაფიკადავ ვთვლიო“; მისივე ინიციატივით მთავრობას აუკრძალავს ნაწარმოებთა საზღვარგარეთ გაგანა. მსოფლიოში გამოჩენილი რეალისტური მხატვრის – „ძვირფასი ფერადების“, „ტონების ჰარმონიის დიდი ოსტატის“, „საღებავების ბეთთაგონებული მბრძანებლის“, „აღტაცების მომგვრელის“ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი უგზოუკვლოდ არის გაფანტული, როგორც საქართველოში, ისე ამერიკაში, გერმანიაში, იტალიაში, რუსეთში და სხვ.

გიგოს კლასიკური მეგვიდროება, რომელიც ამჟამად საქართველოში ინახება: მუზეუმებში, სახელმწიფო დაწესებულებებში და კერძო პირების საკუთრებაში, წარმოადგენს 2000-ზე მეტი ნაწარმოების ნაწილს, რომელიც მხატვარს შეუქმნია. პრესაში გამოქვეყნებული სტატიებით თუ ვიზუალებით, ბევრი შედეგრი საზღვარგარეთაა გაგანილი. გაბ. „ნოვაია რეჩ“-ი წერდა:

„გიგოს ხასიათის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გამოფენაზე თავმოყრილია ნამუშევრები არა ერთის, არამედ 10-15 მხატვრისა“-ო.

...

რეალისტური პრინციპების ერთგული – „კავკასიის რეპინი“, „ჩლუნგი მოდერნი“, დეკადენტური ხელოვნების მოწინააღმდეგე გახლდათ, ამიგომ 920-იან წლებში გააქტიურებულ „მემარცხენეთა“, „პროლეტკულგელთა“ და ფუტურისტთა „ანტირეალისტური ნაკადის“ გემოვნებას, „კომპოზიციის დიდოსტატის“ ხელოვნება, ცხადია, გვერდს ვერ აუბამდა. სხვადასხვა მიმდინარეობებით გააქტიურებულები „ძველი თაობის წარმომადგენელს“ „უძლიერეს ღარცყმას“ აყენებდნენ. მათმა ლომუნგებმა: „უკვე დრომოჭმულ და ისტორიის საკუთრებაში გადასულ“ მხატვარზე, „გაბაშვილი არქივს უნდა ჩაბარდეს“-ო, მხატვარი დაანადგურებინა. გადაუწყვეტია საქართველოს დატოვება, მაგრამ არ შეეძლო სამშობლოდან შორს ცხოვრება, რომელიც გატაცებით უყვარდა.

უყვარდა ახალგაზრდობა: „ახალგაზრდობა იმითაც არის კარგი, რომ მაშინ სიყვდილზე არასოდეს არ ფიქრობენო“, უთქვამს გიგოს, სიყვდილის თემა კი, აწვალადა მოხუცებულ მხატვარს. სანამ აჭარაში გაემგზავრებოდა, სახლში მეგობრები მიუწვევია სადილზე, გამომშვიდობებისას ერთ-ერთი მათგანისათვის 1884 წელს მხატვარ ივანოვიჩის მიერ დახატული მისი პორტრეტი მიუცია: „შენ ამას უკეთესად შეინახავო“. დამდგარა ფანჯარასთან, რომელიც მთაწმინდას გაჰყურებდა და უთქვამს: „რა კარგი იქნებოდა იქ განსვენებაო!“

ციხისძირში, ციგრუსოვანი პეიზაჟის ამსახველ ეტიუდებსა და მონასმებზე, შეკვეთით მომუშავე მხატვარი ისე გარდაიცვალა დასასვენებელ სახლში, რომ „სიყვდილის წინ ხალათისა და ცალი ფეხსაცმლის ჩაცმა მოასწრო“.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორის, ორგანიზატორისა და პირველი პროფესორის, სახალხო მხატვრის, ლომუნგების მოწინააღმდეგის, ადამიანის, რომელმაც საბოლოოდ დაამკვიდრა საქართველოში ევროპული მხატვრობის ფორმები, ვინც პირველმა დანერგა ეროვნული თემატიკა, ვინც პიონერია ქართული ქანოქი და ბაგალური მხატვრობის – გიგო გაბაშვილის ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს და ვაჟის ახალ სასაფლაოზე დაასაფლავეს (1936).



მხატვრის საწერ მაგიდაზე უპოვიათ ანდერძი: „უსამღვრო ერთგულებითა და სიყვარულით ვუძღვნი საჩუქრად ჩემს ხალხს ჩემს მრავალწლოვან შრომას. ვთხოვ არსებულ მთავრობას კეთილ ინებოს მიღება ამ საჩუქრისა და თუ შესაძლებელი იქნება, ერთი დარბაზი ან ოთახი გამოყოს ჩემი სურათებისათვის, რომლებიც ახლა სხვადასხვა გალერეასა და დაწესებულებებშია გაფანტული. ჩემი დაჯილდოებისთვის სახალხო მხატვრის წოდებით უღრმეს მადლობას ვუძღვნი ხალხსა და მთავრობას“. ორი თვით ადრე დაუწერია ანდერძი, მას შემდეგ, რაც იძულებული გამხდარა გადამდგარი რეჟისორის თანამდებობიდან, მოეხსნა პროფესორის მანჯია და ერთი წლით ადრე პენსიაში გასულიყო.

...

პოლიტიკური და სამოგალო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილში „ქართული ხელოვნების გამოფენაზე“ ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორიაში გიგოს მიიჩნევს „ახალი ქართული მხატვრობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად და დიდოსტაგად“. სურათში „გფილის მუშებში“ ერთი მათგანი ისე იცინის, რომ თქვენ არ შეგიძლიათ არ აჰყვეთ და უნებლიედ არ გაიღიმოთ თუ ცოცხა გაჩერდით და დააქექრდით, აგიყოლიებთ და მაღლიანად გადაიხარხარებთ“. გრეტიკოვის გალერეასაც შეუძენია გიგოს ნახატები და 1942 წელს გიგოს ნამუშევრებზე ვაჭრობაც ყოფილა გამართული.

ახალი საქართველოს სამოგალოების მოამროვნე წარმომადგენელთა ვალია გიგო გაბაშვილს ადგილი მიუჩინოს მთაწმინდაზე, სამოგალო მოღვაწეთა პანთეონში; თბილისში გახსნას მემორიალური მუზეუმი, სადაც თავს მოიყრის მხატვრის ნამუშევრები; გამოსცეს ფოტოალბომი გაბაშვილის მიერ ხევისურეთში და სამარყანდში გადაღებული ფოტო-მასალების მიხედვით და მხატვრის ბიოგრაფიით; გამოსცეს ცალკე წიგნად მეუღლის – ოლიმპია მიუღბაუმის – „გიგო გაბაშვილი“. ამით ღირსეულ პატივს მიაგებს გამორჩეულ მამულიშვილს.





დიმიტრი ბაქრაძე – 180

ადამიანს საგნად უნდა ქონდეს სამოგადოების ინტერესი, ის იმისთვის არ უნდა მოგავდეს არც თავის ნიჭსა, არც თავის ქონებას, არც თავის სიცოცხლეს.

დიმიტრი ბაქრაძე

ვაჟა საღრაძე, ჯუანშერ ამირანაშვილი,
მერაბ კნეღაძე

გურიის კულტურული მემკვიდრეობა,
დიმიტრი ბაქრაძე
და თანამედროვეობა



თბილისი
2006

დიმიტრი ბაქრაძე დაიბადა 1826 წელს. დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ მოსკოვის სასულიერო აკადემია. 1852 წლიდან მოღვაწეობს საქართველოში, ჯერ გორის სამაზრო სკოლაში, შემდეგ ქუთაისის გუბერნიის კანცელარიაში, ხოლო 1861 წლიდან სამუდამოდ ფუძნდება თბილისში და მუშაობას იწყებს რუსეთის გეოგრაფიული სამოგადოების

კავკასიის განყოფილების თანამშრომლად. სხვადასხვა დროს მსახურობდა საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო მრუნვა საქართველოს ისტორიის შესწავლაზე. სისტემატურად მოგზაურობს საქართველოს ისტორიულ კუთხეებში და გამოსცემს მეცნიერულ ნაშრომებს. მისი შემოქმედება გამოირჩევა მეცნიერული სიღრმით, სიახლით, ორიგინალური მოსაზრებებით. 1879 წ. ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობისათვის იგი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. დიდი როლი მიუძღვის სხვადასხვა სამოგადოებებისა და თბილისის საეკლესიო მუშეუმის დაარსებაში. იყო დიდი ბიბლიოფილი, რომელსაც მნიშვნელოვანი კოლექცია გააჩნდა, რომელიც შემდეგში სახალხო საკუთრებად იქცა. დ. ბაქრაძე ავტორია უმნიშვნელოვანესი მეცნიერული გამოცემების, როგორც მონოგრაფიების, ისე სამეცნიერო სტატიებისა. მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს მისი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“; რომელიც სანუ-პეტერბურგში გამოქვეყნდა 1878 წელს; იმის წინ, 1877 წელს მან ნაშრომისთვის „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში რუსეთის არქეოლოგიური სამოგადოების“ დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა. გარდაიცვალა დიმიტრი ბაქრაძე 1890 წელს. დიდი მეცნიერის, სამოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის ხსოვნა უკვდავებაშია გადასული.

მიმდინარე წელს 180 წელი შესრულდა მისი დაბადებიდან. სწორედ ამ თარიღს მიუძღვნეს თავიანთი გამოკვლევა მეცნიერებმა: ვაჟა სა-

დრაძემ, ჯუანშერ ამირანაშვილმა და მერაბ ძნელაძემ. ახლახან გამოიცა მათი შრომა „გურიის კულტურული მემკვიდრეობა, დიმიტრი ბაქრაძე და თანამედროვეობა“. წიგნი სტრუქტურულად მრავალფეროვანია – ბიბლიოგრაფიული ცნობებისა და შესავლის გარდა, რამდენიმე პარაგრაფისაგან შედგება და მეტად მდიდარ საყველევ მასალას შეიცავს. ნაშრომში ლაპარაკია დ. ბაქრაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე, საყველევ კვლევა-ძიებებზე, გურიის სიძველეებზე, ღართული აქვს დამატებები, შედარებითი

ქართულ-კახური და გურულ-აჭარული კილოების მოკლე შედარებითი ლექსიკონი, გურიის მხარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არასრული ნუსხა-ჩამონათვალი, გურიის მაგურიანური კულტურის ძეგლების გავრცელების რუკა. წიგნს ახლავს თემატური თვალსაზრისის ილუსტრაციები.

ნაშრომი განუთვნილია სპეციალისტებისათვის და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

ინფორმაცია

ქართველები გერმანიაში


Georgier in Deutschland

Fotos von Gia Chkhatarashvili

გია ჩხატარაშვილის ფოტოები


ქართველები გერმანიაში

29.06. – 29.07.2006



29 ივნისს თბილისის გოეთეს ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიხსნა გია ჩხატარაშვილის ფოტოსურათების გამოფენა „ქართველები გერმანიაში – გერმანია ჩემი მეორე სამშობლო“. გამოფენაზე დიდი ადგილი დაეთმო იმათ, რომლებიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობენ, მაგრამ არ დაუთმიათ საქართველოს მოქალაქეობა. როგორც ინსტიტუტის დირექტორმა

რმა უვე რივენმა განაცხადა თავის შესავალ სიტყვაში, ის და მისი კოლეგები განსაკუთრებით დიდი გულისყურით ეკიდებიან გერმანიაში ქართველების მიგრაციის საკითხს. მისი თქმით, ამჟამად გერმანიაში 14 ათასამდე ქართველი მოღვაწეობს. დამსწრე საზოგადოებამ დიდი გულისყურით დაათვალიერა გამოფენილი ექსპონატები.





გამოფენის გახსნა



გერმანიიდან ახალჩამოსული პატარა ქართველები გამოფენაზე






ქართველი მხატვარი გერმანიაში

ქართული წიგნის ისტორიაში ახალი, აქამდე უცნობი მოვლენაა მხატვრის მიერ ილუსტრირებული მცირე გირაჟიანი წიგნის გამოცემა იაპონური აკინძვის მეთოდით, რომელიც მსოფლიოში უკვე პოპულარულია. ასეთი წიგნის გირაჟი იწყება 3 ცალიდან და მხოლოდ რამდენიმე ათეულს აღწევს.

ევროპული კულტურის ამ დიდი მონაპოვრის საქართველოში დანერგვა დაკავშირებულია ახალგაზრდა მხატვრის, მარიამ გირკელიძის სახელთან;

მარიამ გირკელიძე (დაბ. 1980) თბილისის, სა-მხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო, 1999 წელს სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში, ქალაქ



მიუნსტერში გადავიდა. ამჟამად ის წარმატებით მოღვაწეობს გერმანიაში, არის მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენების მონაწილე, მათ შორის, დიდი საერთაშორისო წიგნის გამოფენისა – „მესე“, რომელიც ბერლინში გაიმართა. მარიამის შესახებ გერმანიის პრესაში არაერთი წერილი გამოქვეყნდა.

მარიამ გირკელიძე ავგორია რამდენიმე წი-

გნისა, რომელიც იბეჭდება გრაფიურის წესით, ძვირფას მასალაზე; ასეთი წიგნის ყოველი ფუნცილი წარმოადგენს მხატვრულ ორიგინალს და დიდად ფასეულია.

მარიამს სახელი მოუგანა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ილუსტრირებამ; წიგნის სახელწოდებაა „SNERNO“ (ჯოჯოხეთი) დანტეს მიხედვით; იგი შესრულებულია ლითოგრაფიულად და სპილენძის გრაფიურით. წიგნის ილუსტრირებისას მარიამი უმეგესად ამ მეთოდით მუშაობს, აგრეთვე ხის გრაფიურებით, ოფორგით და ცინოგრაფიული წესითაც. გემოჩამოთვლილი მეთოდებიდან მხატვარი მისთვის სასურველ მასალას ირჩევს.

მარიამის სიყვებით – „ინფერნო“ არის არა ის ადგილი, სადაც ეშმაკებია, არამედ ყველაფერი, რაც არაკონტროლირებადია, ანუ ომები, ეკონომიური კატასტროფა, თითოეული ადამიანის გრაგედია“.

წიგნი შესრულებულია 2004 წელს მიუნსტერში (ფახპონშულეში).

მარიამის მეორე წიგნია „Haidenroslein“ – „ველური ვარდი“, რომელსაც გოეთეს ცნობილი ლექსი უდევს საფუძვლად. იგი შესრულებულია თანამედროვე, პოსტმოდერნისგულ მანერაში.

ლითოგრაფიაში და სპილენძის გრაფიურაში შესრულებული ჩანახატები თანამედროვე ყოფის ამსხველ ფოტოებთან შეხამებით, მოულოდნელობისა და განზოგადების ახალ საშუალებებს იძლევა. აქაც, ისევე როგორც „ინფერნოში“, კლასიკური ქმნილების თანამედროვე ტკივილებთან შეპირისპირება ხდება. მხატვრის

თქმით, – „აქ მთავარი თემაა ის, რომ მეორისთვის ერთის გრაგედია არაფერს ნიშნავს. წიგნის ბოლო გვერდია, ბუმს როგორ ჭრიან. ეს იმ ადამიანის განცდაა, ვინც მეგი არ არის სხვისთვის, ვიდრე ბუმის ტკივილი.“

წიგნი გოეთეს ქმნილების მიხედვით, არის თავისუფალი ამრების, ასოციაციებისა და სიურეალისტური ფორმების თავისებური გადმოცემა. ეს არის მიუწვდომელ გოეთესთან ერთი წამით, ერთი წუთით, ან მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ამ თემაზე ვიმუშავე, ფიქრი. მისი ნაწარმოების კითხვით გამოწვეული სევდის და ჩემი ასოციაციების უბის წიგნაჟი ჩახატვა

გოეთეს ფრაზებთან ერთად. ამიგომ შეირჩა წაგრძელებული უბის წიგნაჟის ფორმა ამ წიგნისათვის. შიგადაშიგ დავგოვე გაუფორმებელი ცარიელი ფურცლები. მე აქ ჩავწერიდი გოეთეს სიგყეებს: „როცა არ იცი საით წახვიდე, იარე წინ“.

წიგნი გამოფენილი იყო ბერლინში, წიგნის გამოფენაზე.


„მესამე წიგნი, – გვატყობინებს მარიამი, – ბალბაჟის „შაგრენის ტყავი“, ესაა ილუსტრაციები და ჩემი ფიქრები ნაწარმოების შესახებ სახვითი ფორმითა და ჩანახატებით“.

მარი გირეელიძე წარმატებით მოღვაწეობს ილუსტრაციის დარგში. მის მეგად საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს დანტეს თემებზე შესრულებული ილუსტრაციები, რომლებმაც ორიგინალურ გამოცემაში ჰპოვა ასახვა. იაპონური ტექნოლოგიით დამზადებული წიგნი – ორად მოყეცილი შეტყუებულები გვერდებით – პოლიგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და



მეგად ძვირი დირს; შეიძლება ითქვას, ასეთი რამ „პირველი მერცხალია“ ჩვენში. ამაშიც გამოვლინდა მარი გირეელიძის ორიგინალობა. ტყუილად არ აცხადებს ის: „შემოქმედებითი წუხილი სიახლისაჟენ მიბიძგებსო“.

სწორედ ეს წიგნია გამოსახული წინამდებარე ჟურნალის გარეკანის პირველ და ბოლო გვერდებზე.





... და ...



ნელი ჯარიაშვილი
 თსმ მეთოდისტი

მსოფლიო მოგზაური სტუმრად ბიბლიოთეკაში

თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების მის. ჯავახიშვილის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში რამდენიმე წელია ჩამოყალიბდა ლიტერატურული სალონი „მაჭახელა“, რომელიც მრავალ საინტერესო ღონისძიებას აწყობს მკითხველებისთვის, სალონს ხელმძღვანელობს მწერალი ერეკლე საღლიანი.

ჩატარებული ღონისძიებებიდან გამორჩეულია 2006 წლის თებერვალში შეხვედრა მსოფლიო მოგზაურთან – ჯუმბერ ლეჟავასთან. ბატონი ჯუმბერისთვის ეს ღონისძიება ალბათ დაუვიწყარი იქნება – იგი ხომ ბავშვობიდან ამ ბიბლიოთეკის მკითხველი იყო.

1986 წელს გადატანილი ორი ოპერაციის და ორჯერ კლინიკური სიკვდილის შემდეგ, როცა მძიმედ ავადმყოფს ექიმები გადარჩენისა და გამოჯანმრთელების იმედს ვეღარ აძლევდნენ, ჯუმბერ ლეჟავამ გადაწყვიტა ყველასათვის დაემკიცებინა, რომ იგი არათუ გადარჩენას, კიდევ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ცხოვრების დაწყებას აპირებდა.

პირველი ნაბიჯი ამ გზაზე იატაკიდან მკლავებზე ამიღვაში ვარჯიშის დაწყება იყო, ხოლო შემდეგ – გინესის რეკორდები და მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა. თუმცა მისი მოგზაურობის იდეის გააზრებასა და განხორციელებას მრავალი ადამიანი ამოუდგა მხარში. მაგრამ სამი მათგანი იმთავითვე განსაკუთრებული მიმართულებას აძლევდა მის იდეას.

ლიანა ალიბეგაშვილი – მეუღლე და მეგობარი, რომელსაც მუდამ სჯეროდა ამ იდეის

წარმატებისა. სამწუხაროდ, იგი ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობამდე სამი წლით ადრე გარდაიცვალა.

რატი კეკელიძე – მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურობის იდეის ავტორი, უმომოდ კეთილი და მეოცნებე ვაჟკაცი. იგი გმირულად დაიღუპა აფხაზეთის ომში 1992 წელს.

ეიული შარგავა – მოგზაურობის პირველი ხელმძღვანელი, ურომლისოდაც ოცნება რეალობად ვერ იქცეოდა. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოს ეროვნული გმირიც აფხაზეთის ომში დაიღუპა 1993 წელს.

სხვადასხვა წლებში ჯუმბერ ლეჟავამ 15-ჯერ დაამყარა გინესის რეკორდი იატაკიდან მკლავებზე ამიღვაში.

ერთ წუთში – 135 ამიღვა;

ერთ საათში – 5011;

5 საათში – 16.274;

6 საათში – 19.376;

12 საათში – 34.955;

24 საათში – 44.141;

ჯუმბერ ლეჟავამ 3333 დღეში მოიარა 232 სახელმწიფო, გაიარა 500 000-ზე მეტი კილომეტრი, ველოსიპედით 264.000.

ქართველი ველომოგზაურის გმირობით აღფრთოვანებული იყო ყველა, ვინც მის საქმიანობას გაეცნო.

ბატონმა ჯუმბერმა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში უამრავ მკითხველს მოუთხრო მოგზაურობის დროს გადატანილ სიმძნელებებზე და რაც ყველაზე საინტერესო იყო, ისაუბრა ბრაზილიაში ყოფნის დროს რიო-დე-



ქანერიოში ჟურნალისგებმა იგი ფეხბურთის სათამაშოდ რომ მიიწვიეს. პირველი მაგჩში ფრედ – 2:2 დასრულდა, ერთი გოლი ჯუმბერ ლეჟავამ გაიგანა. მეორე მაგჩში კი ჯუმბერმა ხუთი გოლი გაიგანა, ოთხი მოწინააღმდეგის და ერთიც საკუთარ კარში. ეს მაგჩი 5:1 დამთავრდა; ჟურნალისგებმა აღნიშნეს ველომოგზაურის კარგი თამაში.

ბაგონმა ჯუმბერმა ბიბლიოთეკაში დამსწრე

სამოგადოებას მოუთხრო ირანში ფერეიდნელ ქართველებთან შეხვედრაზე. მანვე ისაუბრა მოგზაურობის დროს კურიოზების შესახებ.

მსოფლიო მოგზაურს გამოსაცემად მზად აქვს თავისი მოგზაურობის ამსახველი რამდენიმე ტომიანი წიგნი და ელოდება ქველმოქმედს, ვინც გამოცემას დააფინანსებს. ეს საქმე კი მომავლის იმედს შემაგებს ბაგონ ჯუმბერს.

ლონისძიებაზე ბაგონი ჯუმბერის დიდ საქმიანობაზე ისაუბრეს ლიგერაგურული სალონის „მაჭახელას“ ხელმძღვანელმა მწერალმა ერეკლე სალიანმა, სალონის თანამდგომმა და ამ ლონისძიების ორგანიზატორმა ვანო სურგულაძემ, ბიბლიოთეკის სამეითხველო დარბაზის გამგემ რუიზან კალმახელიძემ, სააბონენმენტოს განყოფილების გამგემ ლილი გორდელაძემ, მეთოლური განყოფილების გამგემ ნანული გოვაგიშვილმა, გაზეთ „ციცინათელას“ რედაქტორმა ა. ბრეგაძემ, მწერალმა – ბუნების დიდმა ქომაგმა ალექსი არაბულმა.

ჯ. ლეჟავამ ბიბლიოთეკებს საჩუქრად გადასცა საბავშვო წიგნები – „ჯუზაბაბუს თავგადასავალი – მლაპარი ველომოგზაურ ჯუმბერ ლეჟავაზე, გასაფერადებული ნახაგებით და კროსოვრდით“.

ახლახან გამოიცა ჯუმბერ ლეჟავას ჟურნალი „მსოფლიო მოგზაურის“ პირველი ნომერი, რომელშიც მეგად საინტერესო ამბებია მოთხრობილი, რაც ჩვენს მკითხველს უდავოდ დააინტერესებს.





საყოველთაო ენიგმელოგის კრებული



2005 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისდაეთნოგრაფიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანის“ მიერ გამოქვეყნდა ნანა ხაზარაძის ოთხენოვანი კრებული „სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი“. მასში თავმოყრილია 1966-2005 წლებში სხვადასხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და სხვადასხვაფორუმებზე წაკითხული მოხსენებების ნაწილი. კრებული




ეხვდებით აგრეთვე საქართველოს თანამედროვე ისტორიის საჭირობებზე და მისი ავტორის ეული დამოკიდებულებების ამსახველ პუბლიკაციებსაც. ჩვენი მკითხველი ბევრს ნახავს წიგნში მისთვის საყურადღებოსა და საინტერესოს, განსაკუთრებით, რაც წერილობით წყაროებსა და მითოლოგიას, საქართველოსა და ქა-

ძირითადად ძველადმოსავლურ და ქართველოლოგიურ ძიებებს ეძღვნება.

რთველების აღმნიშვნელ გერმინების ისტორიას შეეხება.






საოჯახო ნიბნი

„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“ – ეს გამოთქმასაგემაოდგავრცელებულია საქართველოში, რაც იმაზე მეტყველებს, თურადიდი მნიშვნელობის ფენომენია გვარი – იგივე ოჯახი; ის საზოგადოების ყველაზე შეკრული და ძლიერი ერთეულია, ქვეყანა მისგან შედგება და ამიტომაც აქცევენ მას ესოდენ დიდ ყურადღებას. ჩვენში ამ ბოლო წლებში გახშირდა პაგარ-პაგარა ბროშურები ცალკეულ ოჯახებზე, რომლებშიც არა მარგო გვარის მოკლე ისგორია და ცნობებია მოცემული, არამედ ავგორის შემოქმედებითი წადილიც. მართალია, ამგვარი წიგნები თითქოს კერძო ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ მას თავი-



სებური სოციალური ამრი მაინც აქვს და ამიტომაც ყველა მათგანი ერთგვარად საინტერესოა; ერთ-ერთ ამგვარ წიგნს წარმოადგენს ალექსანდრე (საშა) ნურეთელის „ფიქრები წარსულზე (და არა მარტო)“, რომელიც 2004 წელს გამოქვეყნდა კერძო ინიციატივით; როგორც სარეკლამო ფურცელში გვამცნობს ავგორი, „წიგნი თავისი სტრუქტურითა და შინაარსით ავგობიოგრაფიული, პრობაულ-ლირიკული ხასიათისაა“. როგორც არ უნდა

იყოს, ამგვარი რამ, როგორც ფაქტი, შენიშვნის ღირსია და კიდევ უნდა მივესალმოდეთ მის გამოქვეყნებას.





დავით გიგინეიშვილი

მოსკოვი-2006 – ზალცბურგის სამეზბის ფესტივალი

ზალცბურგის ფესტივალი წარმოადგენს ევროპაში ავტორიტეტული კლასიკური მუსიკის ბიემს. გრადიციულად იგი მოიცავს ოთხ ღონისძიებას – ზამთრის მოცარტის კვირა (დაკავშირებულს მოცარტის დაბადების დღეს – 27 იანვართან). გაზაფხულის აღდგომის ფესტივალი (Osterfespiele Salzburg), ბაროკო მუსიკის სამეზბის ფესტივალი (Pfungsten Barock Festival) და თავად სამაზხულო ფესტივალი, რომლის დროს სრულდება მოცარტის ოპერები. წელს მოცარტის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად ფესტივალის მთავარ ნაწილში, ანუ 21 ივლისიდან 31 აგვისტომდე ორგანიზატორებმა ჩაიფიქრეს მოცარტის ყველა ოპერის წარმოდგენა. ამ მიზნის განხორციელებას მიუსადაგეს ერთი დამატებითი თეატრის – მოცარტის სახლის გახსნა (Haus für Mozart), ფესტივალის მთავარი დარბაზის გვერდით აშენდა და 1500-ზე მეტ მსმენელს იტევს.

ბაროკო მუსიკის ფესტივალი სამეზბის დღესასწაულის დროს (2-5 ივნისი) ასევე უკავშირდებოდა მოცარტს (Wege zu Mozart) – ამჟამად წარმოდგენილი იყო კომპოზიტორის მიერ გადაკეთებული ჰენდელის ორი ორატორია, ორიგინალური სიმფონიები, კონცერტები და ბახის ოჯახის ნაწარმოებები, რომელთა გაცნობა სხვადასხვა წყაროების თანახმად, მოცარტს პირადად მოუწია.

პირველი სპექტაკლი, რომელსაც დავესწარი, იყო ჰენდელის ალექსანდრეს ბიემი (Alexander's Feast HWV 75). იგი ფესტივალის დიდ და-



რბაში ჩაგარდა, რომელიც თანამედროვე ერთ დიდ იარუსიან დარბაზს წარმოადგენს. აქ სცენა პირველ რიგთან ძალზე ახლოს მდებარეობს. სადარბაზოდ გამოწყობილ დამსწრე საზოგადოებაში სჭარბობდა საშუალო და უფრო მეტი ასაკის მსმენელი. ახალგაზრდა სახეებს მხოლოდ აგერ-ეგერ თუ ნახავდით, ისიც იარუსზე. მიუხედავად მოცარტის ვერსიისა, ნაწარმოები ინგლისურ ენაზე შესრულდა.

დარბაზის ელერალობამ მომავლთა ბოსტონის კონსერვატორიის დარბაზი, რომელიც სახელგანთქმული ბოსტონის სიმფონიური ორკესტრის მუდმივი სამყოფელია. ჩანაწერის ღონისთან შედარებით, დარბაზში ხმა ისმოდა საშუალოზე უფრო დაბალი სიმძლავრით. აშკარა იყო, რომ დარბაზი უფრო საოპერო და არა კამერული მუსიკისათვის იყო გათვლილი.

უნდა ვაღიაროთ, რომ მოუთმენლად ველოდი ჩემ პირველ შეხებას სახელგანთქმულ

ბერლინის ძველებური მუსიკის ორკესტრთან – რომელსაც მხოლოდ ფირმა „harmonia mundi“-ს ჩანაწერების სახით ვიცნობდი. ჩემი ამრით, ეს ჩანაწერები წარმოადგენს ბაროკო მუსიკის საუკეთესო ნიმუშს, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ბრწყინვალე შესრულებით, არამედ ჩანაწერის გამოვეთილი თავისებურებითაც. აქ კი ორკესტრის ქლერადობამ გამიცრუა იმედები – არ იყო მსგავსება ჩამწერი კომპანიის მიერ შემოთავაზებულ ჩანაწერებთან – როგორც ჩანს, ხმის რეჟისორები საკმაოდ ცვლიან მუსიკალური სურათის ფერებს, მაგებენ მას მეტ მაღალ სიხშირეებს და დახვეწილობას.

ორკესტრი მოიცავდა სადაც 35 წევრს, გუნდი კი ოცს. ძველებური ინსტრუმენტებიდან თვალში საცემი იყო არქილუგნა. კლავესინი და პაგარა ორლანი. შესავალი დაიწყო უვერტი-ურით – ჰენდელისათვის გიჰური მუსიკალური ნაწყვეგით. თუმცა თავს ჰენდელის მუსიკის მოყვარულად ნამდვილად მივიჩნევ, აქამდე ეს ნაწარმოები არ მქონდა მოსმენილი.

ორატორია აღმოჩნდა მისი კამერული გიჰის ორატორიებისა და დიდი მასშტაბური ნაწარმოებების ნაზავი. სჭარბობდა არიები – აღსანიშნავია ვირტუოზული ვოკალური პარტიების გენორისა და სოპრანოსი, განსაკუთრებით გენორის და სოპრანოს პირველი არიები, სადაც ჰელენა იუნგენენმა უჩვენა უბადლო სუნთქვის შესაძლებლობები თავბრუდამხვევი ფიორი-გურების გამველავებაში. არიები ლოგიკურად იყო გადაჯაჭვული გუნდთან, რითაც გარკვეულად ერთვოდა არიებისათვის დამახასიათებელ იმდროინდელ „და კაპო“-ს სტილს. გამიჭირდება ვთქვა, სად იყო აქ მოცარტის მიერ შეგანილი ცვლილებები. პირველი ნაწილის რეჩიგაგივებს კლავესინი ან ლირა უძღვებოდა; ბანი ოდნავ მოგვიანებით შემოვიდა მოქმედებაში ჰენდელისეული ქვედა რეგისტრის ბანის არიით, სასულე ინსტრუმენტების თანხლებით. მოჩვენებითი იდილიური მუსიკა ირღვევა და

მოქმედებაში წუხილი, დაძაბულობა და დარდი ჩნდება. ამას ჰენდელი სოპრანოს პარტიით ახერხებს, მისი მგრძობიარე არიით ვიოლის სევიანი ხმის თანხლებით. არ შეიძლება აქ არ ვახსენო ჰელენა იუნგენენის სამსახიობო უნარი, იგი ავლენდა საკმაოდ ემოციურობას და არგისტი-მს, რომელმაც ეს ბაროკო წარმოადგინა ძალზე ცოცხალი და თანამედროვე გახადა. ამასთანავე ქალურმა კოვეტობამ და ეგზალტაციამ მისი პირველი მოქმედების ბოლო არიაში გაარღვია დარბამის მდუმარე გრადიციულობა და დაიმსახურა მხურვალე აპლოდისმეგები. პირველი ნაწილი დამთავრდა დიდი გუნდით, რომელიც იმეორებდა არიამდე შესრულებულ მოტივს (რაც ჰენდელის გიჰური ნიშანია). გუნდი ისმოდა გემიწენით კამერულად, რამაც ერთხელ კიდევ დამარწმუნა ეკლესიაში ორატორიების შესრულების აუცილებლობაში, სადაც რემონანსი საჭირო სიღინჯესა და დამაჯერებლობას ჰმაგებს მუსიკას.

უკვე პირველი მოქმედების შუა ნაწილიდან სიმებიანი ინსტრუმენტები ნელ-ნელა იღებენ მთავარი თემის განვითარების პასუხისმგებლობას. ორკესტრის სწორი სივრცითი განლაგება ქმნიდა სასიამოვნო ეფექტს. კერძოდ, ორი ჰორნიდან რენე იაკობსმა ბანის არიაში ისინი ორკესტრის საპირისპირო ადგილებში განათავსა, რამაც ერთგვარად ექოს (ან სგერეო) ეფექტი შექმნა. აღსანიშნავია, რომ როგორც ორკესტრანტების მცირე ნაწილი, ასევე მომღერლები ნაწარმოების მსვლელობაში აქტიურად გადაადგილდებოდნენ: სოლისტები ემაგებოდნენ გუნდს, ორკესტრანტები გამოდიოდნენ დირიჟორის მიერ მათთვის მინიჭებულ ადგილებზე. მცირე შეჩერების შემდეგ მეორე ნაწილი დაიწყო. აქ იაკობსმა ლუგნას სოლო ნომერი დაუთმო (გამახსენდა მსგავსი მისი ინტერპრეტაცია ჰენდელის „რინალდოს“ ჩანაწერში). მას გენორის რეჩიგაგივი ორკესტრთან თანდართვით უძლოდა, რაც პომპეზურ გუნდში

გადაიზარდა, რომელშიც ჰენდელისებური გრადიციით გრომპეგები, ჰორნები და სხვა სასულე ინსტრუმენტები სრულად ჩაერთვნენ. შემდგომში მას უკვე გრადიციული ბანის მამხნევებელი არია მოჰყვა – გიპური „და კაპო“, შუა ნაწილში ბანმა შესაშური ლეგატოები კარგად დაძლია და პარტიის მესამე არია მაღალი ნოტის გახანგრძლივებით დაასრულა. დარბაზი ამ ფაქტს უმაღვე აპლოდისმენტებით გამოეხმაურა. იაკობსმა ისარგებლა შესვენებით, ხელმძღვანელობა ხელთ აიღო და ნაწარმოები განაგრძო; ორეესტრის სიმებიანი ნაწილის იდეალური ერთობა მეორე ნაწილში მკაფიოდ გამოჩნდა. აქცენტები იყო გამოკვეთილი და სინქრონული. აუღელვებელი ტემპისაგან უკვე არაფერი დარჩა. შემდეგი ტენორისა და სოპრანოს არიები შეიძლება არ წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ მუსიკალურ ნიმუშებს, მაგრამ კარგად იყვნენ ჩაბმული სიუჟეტურ ხაზში. რეიტაგები უკვე სრულად იყო შეცვლილი ორეესტრის არანჟირებით, რაც ხაზს უსვამდა მოქმედების დრამატიზმს. ნაწარმოები უკვე კი არ სრულდებოდა, არამედ ერთიანად მიჰქროდა – ამ დროს როლში შესული ორეესტრანტები და მომღერლები სრულ ერთობას განიცდიდნენ. მოკლე მეორე ნაწილი დამთავრდა გუნდით – სადაც შეუქმნეველი განმეორებადი კრემენდოები სჭარბობდა.

დამთავრდა სპექტაკლი და მაყურებელი ვერ მალავდა თავის აღფრთოვანებას. იაკობსმა თუ იდეალური არა, ძალზე შთამბეჭდავი შესრულება ნამდვილად შემოგვთავაზა. პირველი ვიოლინო, შესამჩნევად მაღალი და სუსტი ახალგაზრდა მუსიკოსი, აღმოჩნდა ორეესტრის მთავარი ბურჯი. ვოკალისგებიდან უკვე აღვნიშნე კოლორატურული სოპრანო ჰელენა იუნტენი, რომელმაც უბაღლოდ იმღერა თავისი პარტია, ტენორი – შედარებით ასაკოვანი კობი ვან რენსბურგი – მასზე დაკისრებულ მისიის მონდომებით ასრულებდა. ამ ფონზე ბანი

– რუსი ახალგაზრდა შემსრულებელი, ნიკოლაი ბორშოვი. უფრო ბას-ბარიტონი, გამოირჩეოდა უსახო დაბლებითა და კარგი მაღლებით. თავისი ახალგაზრდული ენერგიით იგი გაუმკლავდა ამ პარტიას.

შესრულება გამოვიდა ძალზე აკადემიური, შთამბეჭდავი და დამანახა ბაროკო მუსიკის თანამედროვეობა და უკვდავება. შთაბეჭდილებით აღსავსე დარბაზი ვერმალავდა აღფრთოვანებას და დაუსრულებლივ იწვევდა მუსიკოსებს სცენაზე.

შაბათს, 3 ივნისს წარმოდგენებმა „მოცარტეუმში“ გადაინაცვლა. რომელიც სანაპიროს მეორე (მარჯვენა) მხარეს არის განლაგებული. „მოცარტეუმის“ დიდი დარბაზი ჩვენს კონსერვატორიის მოგვაგონებს. თუმცა სცენა ოდნავ ვიწროა, ხოლო დარბაზს მხოლოდ ერთიანი ფართო ბალკონი ახლავს. ცხადია, ასეთი დარბაზი კამერული მუსიკისთვის უფროა განკუთვნილი. დილით წარმოდგენას იძლეოდა სახელგანთქმული ბახის სპეციალისტი გომ კუპმანი თავის ორეესტრთან ერთად. ამსტერდამის ბაროკო ორეესტრი წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა მანდილოსნებით და პირველი ვიოლინოც ქალბატონი იყო. ორეესტრი 22 წევრისაგან შედგებოდა. დარბაზში სპექტაკლის დაწყებამდე 2 ძველი კლავესინი და ერთი პიანოფორტე იწვევდა მაყურებლების დიდ ინტერესს. პროგრამის პირველი ნაწილი იყო კარლ ფილიპ ემანუელ ბახის 2 სიმფონიიდან (Wq No. 1.4) და ერთი კონცერტიდან კლავესინისა და პიანოფორტესათვის ((Wq 47). კარლ ფილიპი, მამისაგან განსხვავებით, მეტ აქცენტებს გემპზე და ეფექტებზე აკეთებდა, თან (პრუსიის იმპერატორის სიმპათიის გამო) ფლეიტას წამყვან როლს ანიჭებდა; შესრულება იყო უმაღლესი კლასის, რაც იაკობსის ორეესტრს დიდმა დარბაზმა დააკლო. „მოცარტეუმის“ კელლებმა კუპმანის ორეესტრს ფანტასტიკური ქლერადობა მიანიჭა. მგონი მისი ორეესტრი მეტად ასეგურად ჩანს ფირმა Erato-

ს ჩანაწერებში, ვიდრე იმ დღეს ისმოდა დარბაზში. ძველებური ინსტრუმენტები იღუმალ და დავიწყებულ წარსულს მოგაგონებდა და გახსენებდა ლიგერაგურულ გმირებს. აუღელვებელ იაკობსთან შედარებით, კუპმანი აღმოჩნდა ძალზე მოქნილი და ექსპანსიური. კონცერტში იგი თავად უძღვებოდა კლავესინს. პიანოფორტებზე კი გინი მაგო უკრავდა; ამ ნაწარმოებშია, რომელიც უფრო ხუმრობას წააგავდა, მაყურებელი გაგვახალისა. როგორც გრადიციულად ჩანაწერებში, პიანოფორტეს პაგარა და ჩახშული ხმა აღმოაჩნდა, სამაგიეროდ, კლავესინი ისმოდა მთელი დიაპაზონით – ბრწყინვალე ბანებიდან, წკრიალა მაღლებამდე. ორეესგრი იყო კარგად დაბალანსებული, ვიოლინოები მარცხნივ განლაგებული და ბანები მარჯვნივ. შემდეგ შესრულდა ვილჰელმ ფრიდემან ბახის რე-მინორული სიმფონია, რომელიც თავის მუსიკალური ენით მამის მუსიკალურ გილოებს წააგავდა. მაგრამ როდესაც იოჰან სებასტიანის შესრულებამდე გადავიდა ორეესგრი, ნათელი გახდა, რომ ამ ბუმბერამ მუსიკოსს ვერც ერთი ვერ შე-

ედრებოდა. კუპმანმა ამოარჩია მისი კანცატა BWV42-ს შესავალი, რთული და მოდერნისგული ნაწარმოები, რომელიც უდავოდ უსწრებდა ბახის მაშინდელ ეპოქას. სევდა, ფიქრები და ერთიანი სამყაროს განცდა – აი ის, რაც ამ ნაწარმოებმა გამოიწვია. კონცერტი დასრულდა ცნობილი უვერტიურით ორეესგრისათვის NO.3BWV1068. ამ ცნობილი ნაწარმოების მეორე სევდიანი ნაწილისათვის (არია) გემპები იყო ჩქარი. გრომპეგები და ჰორნები სრული მოცულობით იყო ჩართული ყველა სწრაფ და საბეიმო ნაწილებში. ქლერადობა იყო ფანტასტიკური, სრული სიმძლავრით. აღფრთოვანებული მსმენელები კუპმანს სცენიდან არ უშვებდნენ. ისიც გამოეხმაურა მათ და ჯერ სუიგის მესამე ნაწილი, ხოლო მერე მეორე სევდიანი ნაწილი შეასრულა – ამჟამად სხვა აქცენტებით. მეტი სინამით, რითაც კიდე ერთხელ გამოვლინდა ბახის სიდიადე. კონცერტმა იმდენად აღმაფრთოვანა, რომ არ მეგონა, თუ რაიმე წაშლიდა ამ შთაბეჭდილებას.



საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

► 19-20 ივნისს თბილისის გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა დისკუსია თემაზე „ბიბლიოთეკები საქართველოში“. დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პასუხისმგებელი პირები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე ბ. გაგუა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრები. დისკუსიაში მონაწილეობდა ბიბლიოთეკების სპეციალისტი გერმანიიდან კლაუდია ლუქსი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ბიბლიოთეკების მდგომარეობა გერმანიაში. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა წარმოადგინა საბიბლიოთეკო კონცეფციის პროექტი. გადაწყდა, შემუშავდეს საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედება საბიბლიოთეკო პოლიტიკას საქართველოში.

► 20 ივლისს ერედვის ცენტრალურ ბიბლიოთეკას (დირექტორი ც. ლამარიშვილი) ესტუმრნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი მ. აბაშიძე. ამავე ბიბლიოთეკის მეთოდური სამსახურის უფროსი გ. თაყნიაშვილი და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი.

სტუმრები შეხვდნენ დიდი და პაგარა ლიხვის ბიბლიოთეკარებს. სემინარული მუშაობის თემატიკას შეადგენდა ბიბლიოთეკების მდგომარეობა საქართველოში, დიდი და პა-

გარა ლიხვის ხეობის ქართული სოფლების მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საკითხებს. ერედვის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ბიბლიოთეკებისთვის გადასაცემად საჩუქრად გადაეცა ათასზე მეტი წიგნი, საბიბლიოთეკო ტექნიკის ნიმუშები.

► 20 ივლისს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი შეხვდა საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტთა ჯგუფს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი მ. აბაშიძე, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ი. ღარიბაშვილი. განიხილეს საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის ოპტიმიზაციისა, ბიბლიოთეკართა სოციალური მდგომარეობის საკითხები. ამავე საკითხებზე მინისტრი გ. გაბაშვილი აგვისტოს ბოლოს სისტემატურ შეხვედრებს მართავდა რაიონების გამგებლებთან, კულტურისა და საფინანსო განყოფილებების პასუხისმგებელ პირებთან.

► საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მ. აბაშიძის სამღვარვარეთ ყოფნის დროს ურთიერთგაგების ხელშეკრულებები დაიდო რუსეთის სახელმწიფო და ეროვნულ ბიბლიოთეკებთან, უკრაინის პარლამენტისა და ვერნადსკის სახელობის ეროვნულ აკადემიურ ბიბლიოთეკებთან, ბელორუსიის, ყირგიზეთის, ყაზახეთის ეროვნულ ბიბლიოთეკებთან, აგრეთვე რუსეთის სახელმწიფო საჯარო საისტორიო ბიბლიოთეკასთან.



ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების შეხვედრა აკადემიკოს აკაკი შანიძესთან 1967 წ.



საბიბლიოთეკო კურსების მსმენელები და პედაგოგები 1932-1933 წ.წ.



2.00

0 1/16